

კომპლექსური ტექნიკური ანგარიში
შეფასებითი და მონაცემთა ამოღების არქეოლოგიური
კვლევები უბანზე IV-217, KP 225-ზე ახალციხის რაიონში, სამცხე-
ჯავახეთის რეგიონში

მოამზადა:
ირინე ღამბაშიძე
გიორგი მინდიაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის
არქეოლოგიის ცენტრი

უზნადის ქ. №14
0102 თბილისი, საქართველო

გადაეცა:

BTC და SCP მილსადენების კომპანიას

საბურთალოს ქ. №38
თბილისი, საქართველო

სამუშაოები ჩატარდა შემდეგი დაკვეთის საფუძველზე:

C-06-BTC-116628
C-06-SCP-116630
დაკვეთა HL-242

2007

აბსტრაქტი

ეს ანგარიში წარმოადგენს ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევების შედეგებს ძეგლზე IV-217, რომელიც მდებარეობს სამცხის რეგიონში, ახალციხის რაიონში, მილსადენების 225-ე კმ ნიშნულზე.

არქეოლოგიური გათხრები მიზნად ისახავდა ძეგლის გადარჩენითი, მონაცემების ამოღებისა და ფიქსაციის სამუშაოების ჩატარებას. ძეგლი აღმოჩნდა 2004 წლის მარტში მილსადენის მარშრუტის წინასწარული დათვალიერების დროს BP-ის საველე ოფიცრებთან ერთად. მიწის მოხნულ ნაკვეთებში შეიმჩნეოდა დიდი რაოდენობით თიხის ნატეხები, რაც ნახანძრავი ბათქაშის ფრაგმენტებთან ერთად ნამოსახლარის არსებობაზე მეტყველებდა.

საველე და ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდა 2004-2005 წწ. ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, დოქ. ირინე ღამბაშიძის ხელმძღვანელობით.

არქეოლოგიური ძეგლი IV-217 წარმოადგენს გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების მრავალფენიან ნამოსახლარს და სამაროვანს, რომელიც განთავსებულია 3486 მ² ფართობზე. ჩატარებული გათხრების შედეგად დაფიქსირდა 24 ნაგებობა, 94 სამარხი, 6 დამოუკიდებელი კედელი, 32 ორმო, 1 კოლექტორი, 1632 არტეფაქტი. ძეგლი წარმოადგენს ნაქალაქარს, სადაც სტრატოგრაფიულად კარგად იკვეთება სამი ერთმანეთის მომდევნო პერიოდის ფენა. თითოეული ფენა ნახანძრავია და განადგურებულია შემოსევების დროს. არტეფაქტებს შორის გამოირჩევა როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული ნაწარმი.

სარჩევი

სათაო ფურცელი	
აბსტრაქტი.....	i
სარჩევი.....	ii
ტაბულების აღწერა.....	ii
ცხრილების ჩამონათვალი.....	vi
დანართების ჩამონათვალი.....	vii
1.0 შესავალი.....	1
2.0 გარემო პირობები	2
2.1. არქეოლოგიური უბნის ადგილმდებარეობა და აღწერილობა.....	2
2.2. წარსულში არსებული გარემო პირობები.....	2
2.3. მიწის ფართობის გამოყენების ისტორია.....	4
3.0. კულტურული ფონი.....	5
3.1. პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი.....	5
3.2. ადრე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების მოკლე მიმოხილვა...11	
4.0. მეთოდოლოგია	13
4.1. საველე მეთოდები.....	13
4.2. ლაბორატორიული საქმიანობის მეთოდები.....	14
5.0. შედეგები	16
5.1. მიმოხილვა.....	16
5.2. ძეგლები	17
5.3. არტეფაქტები	20
6.0 ინტერპრეტაცია.....	51
7.0 დასკვნები და რეკომენდაციები	69
8.0 გამოყენებული ლიტერატურა	70

ცხრილი №1

ნავეენახარის ნამოსახლარსა და სამაროვანზე მოპოვებული
არტეფაქტების სტატისტიკური მონაცემები

მასალის მიხედვითგვ. 20

დანართების ჩამონათვალი:

დანართი A. ლითონის მასალის კვლევის ანგარიში.....

დანართი C1. ანთროპოლოგიური მასალის კვლევის ანგარიში

დანართი D1. პალეოზოოლოგიური მასალის კვლევის ანგარიში

დანართი E1. პალეობოტანიკური მასალის კვლევის ანგარიში.....

დანართი F1. პალინოლოგიური მასალის კვლევის ანგარიში.....

1.0 შესავალი

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ინფორმაციას BTC და SCP მიღსადენების
სამშენებლო კორიდორის 225-ე კმ-ზე 2004-2005 წლებში ჩატარებული
არქეოლოგიური გათხრებისა და ამ უბანზე (შემდგომში IV-217 უბანი)
მოპოვებული მასალის 2006-2007 წლებში ლაბორატორიული დამუშავებისა და
კვლევის შედეგებს.

პროექტის სპონსორია – BP, BTC და SCP მილსადენების მშენებელი კომპანიები.

საველე სამუშაოები ხორციელდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული არქეოლოგიური კომისიის ნებართვის №14-02.06.04 და №3-10.03.05 საფუძველზე კონტრაქტებით №№C-03-BTC-52923, C-03-SCP-52927 – HL-036, HL-039, HL-045, HL-109, HL-110, HL-111, HL-113, HL-124, HL-125, HL-131, HL-132.

ოფიციალური მოთხოვნების შესაბამისად ექსპედიცია ვალდებული იყო სადაზვერვო თხრილებით გაერკვია ძეგლის ხასიათი და მისი გავრცელება, განესაზღვრა არქეოლოგიური სამუშაოების სპეციფიკა და მოცულობა, მოეხდინა მასალის ამოღება და გაეთავისუფლებინა მშენებლობისათვის საჭირო ტერიტორია არქეოლოგიური ძეგლებისაგან 210X40 მ. ზომის ენერგოკორიდორში.

შესაბამისად ექსპედიციამ IV-217 უბანზე, BTC-ის ნაწილში შეისწავლა 1680მ², SCP-ის ნაწილში – 800მ²;

კვლევების ვადები IV-217 უბანზე – 2004 წ. 05.04-16.06; 2005 წ. 11.03-26.05; ლაბორატორიული სამუშაოები – 2006წ. 15.02-15.03; 2007წ. 02.03-16.05.

პროექტში მონაწილეობდნენ აკც (აი, იგივე-აც)–სა და სხვა მოწვეული თანამშრომლები (იხ. დანართი I გვ.).

კოლექცია დროებით ინახება ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრში (თბილისი, დ. უზნაძის ქ. №14), საბოლოო საცავი – საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

2.0 გარემოს დახასიათება

2.1 არქეოლოგიური ძეგლის მდებარეობა და აღწერა

ნავენახარის ნამოსახლარი მდებარეობს ახალციხის რაიონში. სოფ. კლდის სამხრეთით, მდ. მტკვრისა და მისი შენაკადის მდ. ფოცხოვის შესართავთან, მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, ახალციხიდან ჩრდილო აღმოსავლეთით 3 კმ-ს დაშორებით.

ძეგლი განლაგებულია მდინარისპირა სუსტად დაქანებულ ტერასაზე, რომელსაც სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მდ. ფოცხოვის ჭალა ეკვრის. ძეგლს ბორჯომ-ახალციხის საავტომობილო გზა შუაზე ჰყოფს. იგი 6 ჰა-მდე ტერიტორიას მოიცავს, რომელიც ზღვის დონიდან 983,6-მ. სიმაღლეზეა.

ახალციხის რაიონში ნიადაგების სამი ზონაა გამოყოფილი: გარდამავალი – ტყე-სტეპის, მთის ტყისა და მთის მდელოს ზონები. დაბლობში – მდელოს ყავისფერი და ალუვიურ-კარბონატული ნიადაგებია გავრცელებული, ქედების მთისწინეთში კი ტყის რუხი და ყავისფერი ნიადაგები. ახალციხის რაიონის დიდი ნაწილი აგებულია ოლიგოცენური ასაკის ქვიშაქვებითა და თიხებით; ტუფ-ბრექჩიებით, ანდეზიტებით. რელიეფი რთულია: მოვაკებული ტერასები, მერიდიანული ხეობები, მცირე ქვაბულები, ვულკანური მთები=950–2964მ. ჰავა მთიანეთის სტეპებისაა. ზამთარი ცივი, მცირედ თოვლიანი, ზაფხული – ხანგძლივი და თბილი. იანვრის საშუალო ტემპერატურა – 3,8°C, აგვისტო +20,5°C. ნალექები 520 მმ. არ აღემატება წელიწადში. მცენარეული საფარიდან გაბატონებულია კლდის ქსეროფიტული ბუჩქები და ნახევარბუჩქები (ღვია, გლერძა, ზღარბა), აგრეთვე ქსეროფიტული მრავალწლიანი ბალახეულობა. ასევე გავრცელებულია მუხა და რცხილა.

ცხოველთა სამყარო წარმოდგენილია მცირე რაოდენობით. ძირითადად გვხვდება ირემი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, წავი, ჭრელტყავა, გარეული კატა. შედარებით მეტია დათვი, მგელი, მელა, მაჩვი, კვერნა, დედოფალა,

კურდღელი, ციყვი, წყლის მემინდვრია, ტყის თაგვი. ბევრია გარეული მტრული, ქედანი, გვრიტი, ყვავი, კაჭკაჭი, შოშია, მწყერი. ზოგან გვხვდება ჯოჯო, ხვლიკი, გველხოკერა, ანკარა, გომბეშო, ვასაკა, ტბის ბაყაყი. მდინარეში არის კალმახი, წვერა, მურწა, ხრამული.

2.2. წარსულში არსებული გარემო პირობები

კავკასია, და მათ შორის საქართველო, წარმოდგენდა ძველი სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტერიტორიას, სადაც უძველესი ადამიანის საცხოვრებლად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო შექმნილი. მეოთხეული პერიოდის დარგში მომუშავე მეკვლევარები განიხილავდნენ რა ადამიანის მიერ კავკასიის თავდაპირველი დასახლების პრობლემას, დასაშვებად მიიჩნევდნენ გამოყოფილიყო ამ დასახლების ორი ეტაპი. პირველი, სავარაუდოდ ადრეპლეისტოცენური, ევრაზიის დასახლების დასაწყისი დროის შესატყვისი და მეორე შუაპლეისტოცენური, რომელიც დასაბუთებული იყო კავკასიაში და კერძოდ საქართველოში, მიკვლეული აშელური ხანის კარგად სტრატოფიცირებული ძეგლებით. მოსაზრება დასახლების პირველი, ადრეული ეტაპის შესახებ დღეს უკვე დაკავშირებულია დმანისის ადგილსამყოფელთან, სადაც ოლდუვაის ეპოქის (1,8 მლნ. წ.) ქვის ინვენტარსა და ფაუნისტურ მასალასთან ერთად ჰომინიდების ნაშთებიცაა მიკვლეული. ასევეა აღსანიშნავი სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში კარგად სტრატოფიცირებული ჯერჯერობით ერთადერთი ადრეაშელური ძეგლი – ახალქალაქის ამირანისგორა, რომელსაც შემდგომში ქრონოლოგიურად მოჰყვება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ასობით სხვადასხვა პერიოდის ქვის ხანის ძეგლი (გაბუნია მ., ვეკუა ა. 2005). სწორედ ამ ძეგლებზე მიკვლეულმა ანთროპოლოგიურმა და პალეონტოლოგიურმა მასალებმა დიდი როლი ითამაშა საქართველოში მეოთხეულის პერიოდის ბუნებრივი გარემოს ფორმირების კვლევის საქმეში – ეოპლეისტოცენიდან ადრე პოლოცენის ჩათვლით.

ბუნებრივი გარემოს შესახებ, სადაც არსებობა უხდებოდა უძველეს ადამიანს, პალეონტოლოგიურ მასალებთან ერთად გარკვეულ წარმოდგენას პალეობოტანიკური ნაშთებიც გვიქმნის. ადრეული ჰომინიდების ადგილსამყოფელზე დაღეკილ ფენებში, აგრეთვე ფენებში მიკვლეულ კოპროლიტებში (ძუძუმწოვართა განამარხებული ექსკრემენტები) შემონახული მცენარეთა ნაშთები – მტვრიანები და სპორები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საქართველოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიის იმდროინდელი მცენარეული საფარის შესახებ (კლოპოტოვსკაია ნ. და სხვ. 1989 (1991); კლაპატოვსკაია ნ., ლორთქიფანიძე დ. 1991; გაბუნია ლ. და სხვ. 1998; მაისურაძე გ. და სხვ. 1998).

შესწავლილი მასალების საფუძველზე დაყრდნობით, გარკვეულ დონეზე შესაძლებელია ადრეპლეისტოცენიდან ვიდრე პოლოცენის დასაწყისამდე მოვახდინოთ საქართველოს ტერიტორიაზე პალეოეკოლოგიური სურათის რეკონსტრუქცია. აღნიშნული მასალების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს რელიეფი მთა-გორიანი ლანდშაფტით ხასიათდებოდა, რომელიც ძირითადად ტყით იყო წარმოდგენილი (Шатилова И. И., 1977). მთათაწინეთში და წინამთების ზოლში ხარობდა: მუხა, წიფელი, ნეკერჩხალი, ტირიფი, ცაცხვი, წაბლი, თელა, ძელქვა ხოლო ზედა სარტყელში გაბატონებული მდგომარეობა წიწვოვანებს - სოჭი, ნაძვი, ფიჭვი ეკავათ. ჰავა იყო ნოტიო და ზომიერად თბილი (Ратиани Н. К., 1979). ხოლო ფაუნა ტყიანი ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი სახეობებისაგან შედგებოდა: შველი, ირემი, ფოცხვერი,

აფთარი და სხვა. აღმოსავლეთ საქართველოს რელიეფი, მოცემული პლეისტოცენური ფაუნისა და ფლორის შესწავლის მონაცემებზე დაყრდნობით, ღრმა ხეობებითა და ველებით დანაწევრებულ საშუალო სიმაღლის მთაგორიანი მასივებით ხასიათდებოდა. ჰავა იყო ზომიერად მშრალი და თბილი (გაბუნია ლ., ვეკუა ა., 1997). მცენარეთა ნამარხი ნაშთების საფუძველზე დადგინდა, რომ იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ტყეებში ხარობდა თბილი და ზომიერად ტენიანი ჰავის მოყვარული ჯიშები – მუხა, ტირიფი, ძელქვა, ვერხვი, არყი, თხილი და სხვ. (გაბუნია ლ., ვეკუა ა., 1978). ხოლო ნამარხი ძუძუმწოვრების ძელოვანი მასალის კვლევის შედეგად დადასტურდა ცხოველთა შემდეგი სახეობები; ენოტისებრი ძაღლი, აფთარი, ფოცხვერი, ხმალკბილა ვეფხვი, მაჩვზღარბა, მასტოდონტი, გიგანტური დანამა, მარტორქა, სპილო, გაშლილრქიანი ირემი, შველი, რქაგრეხილი ანტილოპა, ურქო ძროხა, ფრინველებიდან სირაქლემა და სხვა. (გაბუნია ლ., ვეკუა ა., 1997). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა პლეისტოცენში ადგილი ჰქონდა კლიმატის ცვალებადობას. ჰავა უნდა შეცვლილიყო – აშკარად იგრძნობა აცივებისა და ჰავის დანოტივების კვალი. კლიმატური პირობების მკვეთრი გაუარესება გამყინვარების გამოძახილი უნდა ყოფილიყო, რომელმაც, როგორც ჩანს გამოიწვია მხოლოდ ტყის ზოლისა და ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენლის არეალის გადაადგილება, მაგრამ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა არ მოუხდენია და საქართველოს ტერიტორიაზე პალეოეკოლოგიური სურათი დიდად აღარ შეცვლილა. (გაბუნია მ., ვეკუა ა., 2005).

ამრიგად, ადრე პლეისტოცენიდან დაწყებული ვიდრე ადრე პოლოცენამდე საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატური პირობები მკვეთრ ცვლილებებს არ განიცდიდა, ხდებოდა მხოლოდ ჰავის მერყეობა მეტ-ნაკლებ აცივებასა, შესაბამისად ტენიანობის ზრდასა და ძირითადად კი – ზომიერად თბილ, შედარებით ცხელ არიდულს შორის (გაბუნია მ., ვეკუა ა., 2005).

2.3 ტერიტორიის სარგებლობის ისტორია

ნავენახარის ნამოსახლარის ტერიტორიაზე, როგორც ჩანს, გასული საუკუნის შუა ხანებამდე ჯერ ვენახები, შემდგომ კი ხეხილის ბაღები იყო გაშენებული (შესაბამისად მოსახლეობამ ამ ტერიტორიას “ ნავენახარი “ უწოდა). ნავენახარის ტერიტორია დღევანდელი მონაცემებით სოფ. კლდის სასოფლო სამეურნეო სახნავ-სათესს წარმოადგენს, სადაც მოსახლეობას მხოლოდ ერთწლიანი კულტურები მოჰყავს. ვაზის მოყვანა ამ ტერიტორიაზე უკვე აღარ ხდება.

3.0 კულტურული ფონი

3.1 პრეისტორიული და ისტორიული კონტექსტი

საქართველოს ისტორიაში სამცხე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და კულტურულად დაწინაურებული პროვინცია იყო, რომელიც მესხეთის შემადგენლობაში შედიოდა და საქართველოს სამხრეთ დასავლეთი ნაწილი ეკავა. დღევანდელი მონაცემებით სამცხის ტერიტორიის ცნებაში გაერთიანებულია ბორჯომის, ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონის ნაწილი სოფ. ხერთვისამდე.

როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ჩანს დასახლებული, სადაც ეტაპობრივად, წყვეტილის გარეშე მიმდინარეობდა ადამიანის ჩამოყალიბება – განვითარების პროცესი. ამას თვალნათლივ ადასტურებს სხვადასხვა ეპოქების მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლე, რომელთა ქრონოლოგიური დიაპაზონი ვრცელდება პალეოლითიდან დაწყებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით.

ახალციხის რაიონში, სოფ კლდეში გამოვლენილი ნავენახარის ნამოსახლარი და სამაროვნები განეკუთვნება ახ.წ. II –VII სს. საქართველოს ისტორიაში ამ პერიოდში მკვეთრად იცვლება პოლიტიკური ვითარება - ქართლის ტერიტორიის დასაპატრონებლად ერთმანეთს უპირისპირდებიან პართული ირანი და რომის იმპერია, რასაც თან მოსდევს ქრისტიანული რელიგიის შემოსვლა და დამკვიდრება. როგორც ცნობილია, IV საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებას, წინ უძღოდა ამ ტერიტორიაზე ქრისტიანი მისიონერების გამოჩენა. “ქართლის ცხოვრება“ აღწერს, რომ წმინდა ანდრია მოციქული, სწორედ ამ ტერიტორიის გავლით მიემგზავრება სოსანგეთისაკენ (სავარაუდოდ აქ დღევანდელი აწყურის ტერიტორია მოიაზრება). ნავენახარის ნამოსახლარი კი, რომელიც მაგისტრალურ ტრასაზეა გაშენებული, ამ ისტორიული პროცესის დროს ქალაქური ტიპის დასახლება უნდა ყოფილიყო.

ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნამოსახლარზე აღმოჩენილი ნაგებობები სხვადასხვა შემოსევების დროს არის განადგურებული და გადამწვარი. რიგ შემთხვევებში ისინი ქვის სხვადასხვა ზომის სატყორცნი ბირთვებითაა დანგრეული, რაც უშუალოდ იმაზე მეტყველებს, რომ ნამოსახლარი საომარი მოქმედებების დროს გამაგრებული დასახლებული პუნქტი უნდა ყოფილიყო.

ნავენახარის ნამოსახლარზე გაითხარა 24 შენობა და შენობის ნაშთი, 94 სამარხი და განიერი კედლების ფრაგმენტები, რომელნიც ქრონოლოგიურად ერთმანეთის თანმიმდევარ პერიოდებს განეკუთვნება.

შენობებში კარგად იკვეთება სხვადასხვა რელიგიების საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ადგილები. ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი სამცხის ტერიტორიაზე ჯერ არ არის აღმოჩენილი. იგი წარმოადგენს ურბანული დასახლების ტიპს, რომელიც სავარაუდოდ იბერიის სახელმწიფო საზღვრებში შედიოდა.

მობინადრეები ქვის საძირკვლიან სახლებში ცხოვრობდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ ნამოსახლარზე არსებობს დედაბოძიანი და კერიანი შენობები, ერთ შემთხვევაში კი (შენობა № 12) სახლის გადახურვა ერდოიანი უნდა ყოფილიყო. დადასტურებულია კრამიტის არსებობაც, რაც უდავოს ხდის ნამოსახლარზე წარჩინებულთა და საკულტო ნაგებობების არსებობას.

საზოგადოებრივ ყოფაში დაწინაურებული ჩანს მესაქონლეობა. თუმცა მისდევდნენ მონადირეობასაც, რასაც ნამოსახლარზე მრავლად აღმოჩენილი გარეული ღორის, ირმისა და მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლების არსებობა ადასტურებს. როგორც პალეოეთნობოტანიკური კვლევის შედეგად გახდა ცნობილი, ნავენახარის მობინადრენი მისდევდნენ მემინდვრეობასა და მევენახეობას, მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ფეტვი და ბარდა.

ამ პერიოდის ძეგლები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა გამოვლენილი და შესწავლილი, ესენია: ურბნისი, უფლისციხე, ჟინვალი, უჯარმა, რუსთავი, მცხეთა, ბაგინეთი, ჭორატის ნამოსახლარი და სამაროვანი, ქვევრების სერის სამარხი გუჯარეთის ხეობაში.

ქვედა პალეოლითი (დაახლოებით 2,000,000 – 100,000 წლის წინ)

ამ პერიოდში გაჩნდა თანამედროვე აღნაგობის ადამიანი. გვარის Homo (Homo erectus) პირველი წარმომადგენლები ცხოვრობდნენ მცირე ჯგუფებად და იკვებებოდნენ საცხოვრებლის გარშემო არსებული ბუნებრივი რესურსებით. ამ პერიოდის ნაშთები ყველგან იშვიათია. მათი დათარიღება ხდება სხვადასხვა ტექნიკური მეთოდით, მათ შორის არქეომაგნიტური კვლევითა და კალიუმ-არგონის მეთოდით, თუ მოცემული ნაშთები ვულკანურ დანალექშია. დმანისის ობიექტი (თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით) მოიცავს პლიოცენის ფაუნის ნაშთებს და პირველად 1980 წელს იქნა მიკვლეული და დათარიღებული ქართველი სპეციალისტების მიერ. 1991 წელს, შემდეგ კი 2001 წელს, მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა ამ ობიექტზე გამოავლინა Homo erectus-ის ნაშთები. დმანისის ობიექტი, ისრაელში არსებული იორდანეს ველის უბდაისას ობიექტთან ერთად, გვიჩვენებს ძველი ჰომინიდების აფრიკის გარეთ მიგრაციის გზას. დღეს არსებული ცნობების თანახმად, დმანისში აღმოჩენილი Homo erectus-ის ნაშთები უძველესია აფრიკის კონტინენტის საზღვრებს გარეთ აღმოჩენილთა შორის, სავარაუდოდ უფრო ძველი, ვიდრე სანგარიში, იავაზე და ჩოუკოულიანში (ჩინეთი) აღმოჩენილი ნაშთები. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს 16 უბანი, სადაც აღნიშნული პერიოდით ან უფრო გვიანდელი დროით დათარიღებული აშეღური ტიპის ქვის იარაღების კომპლექსია აღმოჩენილი. აქედან ორი უბანი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მილსადენის დერეფნის მიმდებარე ტერიტორიაზე. პროექტის უშუალო სიახლოვეს ამ პერიოდის ობიექტები არ აღმოჩენილა. დმანისის ობიექტიც საკმაოდ დაცილებულია პროექტის ტერიტორიას (40 კმ-მდე წალკის სამხრეთით).

შუა პალეოლითი (100,000 – 35,000 წლის წინ)

ეს პერიოდი ემთხვევა უძველესი Homo sapiens-ის, ნეანდერტალელი ადამიანის წარმოშობას. ევროპაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ადამიანის ისტორიის ამ პერიოდის გვიანი ნაწილი გამოირჩევა ე. წ. მუსტიეს ქვის იარაღების კულტურით, რომელიც აშეღურისაგან განსხვავებით, უფრო უკეთ დამუშავებული და უფრო მრავალფეროვანი ფორმის იარაღებითაა წარმოდგენილი. ისევე როგორც ჩრდილოეთ ევროპაში, საქართველოშიც ამ პერიოდის ძირითადი დრო გლაციურ და პერი-გლაციურ გარემოში გაატარა. საქართველოში მუსტიეს ქვის იარაღების 75-ზე მეტი ადგილსამყოფელია ცნობილი. ამათგან შვიდი ნაპოვნია სამხრეთ და ცენტრალურ საქართველოში, პროექტის სივრცის ძირითად რაიონში.

ზედა პალეოლითი (35,000 წლის წინ – 12,000 ჩვ.წ.ად-მდე)

ზედა პალეოლითი შეესაბამება გვიან პლეისტოცენურ პერიოდს. ამ დროს ხდება საქართველოში, ევროპაში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში აგებულების მხრივ თანამედროვე ადამიანის გამოჩენა. ამ პერიოდის ქვის იარაღების დამზადების ტექნოლოგია მკვეთრად უმჯობესდება. ზოგიერთი არქეოლოგის ვარაუდით, სხვადასხვა ადგილებში აღმოჩენილი ქვის იარაღების სტილისტური განსხვავებულობა მიუთითებს ამ პერიოდში კულტურულად განსხვავებული ჯგუფების არსებობაზე.

ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ ადამიანს მეტყველების უნარი ამ პერიოდში ჩამოუყალიბდა. ზედა პალეოლითის ადამიანები საქართველოში დაკავებული უნდა ყოფილიყვნენ ჯგუფური ნადირობით. ისინი ხოცავდნენ: ირემს, ბიზონს, გარეულ ცხენს, გარეულ თხას, დათვს, გამოქვაბულის ღომს, რომელთა ნაშთები დიდი რაოდენობით არის ნაპოვნი ზედა პალეოლითის ძეგლებზე. ადამიანი სახლობდა ბუნებრივ გამოქვაბულებში, კლდეების ღრმეულებში, მოსანადირებელი ცხოველების სასიარულო ბილიკების მახლობლად.

საქართველოში აღმოჩენილი, სულ ცოტა 33 მნიშვნელოვანი ზედა პალეოლითური ობიექტიდან სამი სამხრეთ საქართველოშია. არცერთი მათგანი არ არის მილსადენის დერეფანში ან მის მახლობლად.

მეზოლითი (12,000 – 8,000 ჩვ.წ.ად-მდე)

მეზოლითის პერიოდის დასაწყისი განისაზღვრება პლეისტოცენის ეპოქის დასასრულითა და პოლოცენის დასაწყისით. განვლილმა ვიურმის გლაციაციამ შექმნა უფრო ზომიერი კლიმატი, რის გამოც გაჩნდა შედარებით დიდი სივრცეების ათვისების საშუალება. ნადირობა არსებობის ძირითად წყაროდ რჩებოდა, მაგრამ ადამიანმა დაიწყო უფრო მრავალფეროვანი ნაწილის დიება. ნადირობდნენ როგორც ჯოგურად, ისე განცალკევებით მცხოვრებ სხვადასხვა ზომის ცხოველებზე.

როგორც ჩანს, ნადირობის ტექნიკა ნაკლებად ინდივიდუალური ჰქონდათ. ველური ცხოველებიდან ნადირობდნენ ირმებზე, ცხენებზე, ცხვრებზე. სეზონური მცენარეული პროდუქტების სისტემატური მოპოვება ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ადამიანი გადავიდა გამოქვაბულის სივრციდან ღია სივრცეების დაკავებაზე. ეს ერთნაირად ხდებოდა საქართველოში, მთელს ევროპაში და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ამ პერიოდის განსაკუთრებული თავისებურებაა იარაღის მასალის და იარაღის ნაირსახეობების მკვეთრი გამრავალფეროვნება. მიკროლითები (კაჟის და ობსიდიანის საჭრელები) და გაპრიალებული სამტვრევი ქვები, რომლებიც მცენარეების დასამუშავებლად გამოიყენებოდა, ამ პერიოდში ჩვეულებრივი მოვლენაა. ქვის საწაფები და ჰარპუნები მიუთითებს თევზჭერის პოპულარობაზე. ზედა პალეოლითის საზოგადოებიდან მეზოლითის საზოგადოებაზე გადასვლა მარტივად განიხილება როგორც პოლოცენის ზომიერი გარემოთი განპირობებულ მრავალფეროვან და უფრო ხელმისაწვდომ რესურსებთან შეგუების პროცესი. საქართველოში მეზოლითის მხოლოდ 12 მნიშვნელოვანი ობიექტია ცნობილი. აქედან არცერთი არ არის მილსადენის დერეფნის სიახლოვეს.

ნეოლითური პერიოდი (8,000 – 3,500 ჩვ.წ.ად-მდე)

ნეოლითური პერიოდის დასაწყისი ცნობილია როგორც რევოლუციური, რამდენადაც ამ დროს მოხდა მკვეთრი ძვრები ადამიანის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ადამიანმა დაიწყო ნადირობიდან და შემგროვებლობიდან ცხოველების და მცენარეების მოშენებაზე გადასვლა და ხელი მიჰყო მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას. ამავდროულად დაიწყო მეთუნეობა, დაგროვებული მცენარეული საკვების შესანახად და მოსამზადებლად. ფართოდ დაინერგა ისეთი ქვის იარაღის კეთება, როგორიცაა: ცული, წალდი, ნამგლის ჩასართები, სასრეს-საფქვავეები და თოხი, რომლებიც მიწის გასასუფთავებლად და გასაფხვიერებლად იხმარებოდა. სადგომისა და საკვების შესანახი სათავესების შენება მნიშვნელოვანი წარმატებით მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, ცხოვრების ნეოლითური წესი ყველგან ერთბაშად და დასრულებული სახით შემოვიდა, რადგანაც არსად ჩანს სოფლის მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლის ნიშნები.

პალეოლითის და მეზოლითის პერიოდებისგან განსხვავებით, მეთუნეობის პროდუქციის ნამსხვრეები (საკვების მოსამზადებელი და შესანახი ჭურჭლის ნარჩენები) ძირითად ნაშთებს ქმნიან ქართულ ნეოლითურ არქეოლოგიურ კომპლექსებში, რაც საკვების დამზადების და შენახვის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს. საქართველოს ნეოლითური მეთუნეობის ფორმებისათვის დამახასიათებელია ბრტყელძირა მრგვალი უყურო ქოთნები და თასები. აპლიკაცია ან ამოკვეთილი ორნამენტი დასაწყისიდანვე ახასიათებს საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ ნეოლით-ენეოლითური ხანის თიხის ჭურჭელს. მრგვალი თასები და შედარებით მცირე ზომის ქოთნები ყველაზე გავრცელებული ფორმებია. თიხის გასამჭლეებლად გამოიყენებოდა: ქვიშა,

ფხვიერი ობსიდიანი, ბზე, ღორღი, მცენარეული ჩანარები და ა. შ. პირველი ნეოლითური სახლები საქართველოს ტერიტორიაზე შედგებოდა ერთმანეთში გამავალი ალიზით ნაგები ოთახებისაგან და სავარაუდოდ გამაგრებული იყო ხის ძელებით. ამგვარი სახლები გადახურული ყოფილა ხის ტოტებით და შლამით. ოთახები მრგვალი ან ელიფსურია. ოთახები სხვადასხვა დანიშნულებისა და სხვადასხვა ზომების იყო. დიდ ოთახებში (2,5X5 მ) ჩაშენებული იყო ღუმელი და როგორც ჩანს, მათ საძინებლად და თავყრილობისათვის იყენებდნენ. საშუალო ზომის ოთახებში (1,25X2 მ) სავარაუდოდ ხელსაქმობდნენ. ხოლო პატარა ოთახები (0,5X0,75 მ) საკუჭნაო უნდა ყოფილიყო. დასახლების ორგანიზაციის მაგალითია იმირის გორის ნასახლარი ქვემო ქართლის რეგიონში. საქართველოში დაახლოებით 60 ნეოლითური ძეგლია ცნობილი. უმრავლესობა დასავლეთ საქართველოშია, თუმცა მათი კონცენტრაცია ფიქსირდება ქვემო ქართლის ტერიტორიაზეც. გვიანი ნეოლითის (ენეოლითის) ერთი ძეგლი მდებარეობს პროექტის გაყოლებაზე ახალციხის რ-ნში.

ძვ. წ. VI-V ათასწლეულებში, საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია მაღალგანვითარებული მიწათმოქმედების კულტურა. დადასტურებულია სხვადასხვა ჯიშის ხორბლეულის, ქერის, ფეტვის, შვრიის, აგრეთვე პარკოსნების (მუხუდო, ოსპი), ნესვის, მჟაუნას და სხვ. ნაშთები. აღმოჩენილი ყურძნის წიპვები კი მიჩნეულია კულტურულ ვაზზე გარდამავალ ფორმად. დადასტურებულია მარტივი საირიგაციო სისტემის გამოყენებაც.

ბრინჯაოს ხანა (3,500 – 800წწ ძვ.წ.)

ბრინჯაოს ხანა იყოფა ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდებად. ადრე ბრინჯაოს ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელმაც სახელწოდება პირველი აღმოჩენის ადგილის მიხედვით მიიღო. ხასიათდება: ალიზის, ქვის, ან თიხალესილი სარ-ლასტის ნაგებობებით, მაღალგანვითარებული სამეთუნეო, მეტალურგიული საქმიანობით და ამავე დროს განვითარებული მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით. ბორჯომის ხეობაში ამ ხანის ძეგლები ნაკლებადაა გამოვლენილი. მტკვარ-არაქსის კულტურის მასალები აღმოჩნდა საკოჭავის მრავალფენიან ნასახლარსა (ღამბაშიძე, ტატიშვილი 1982: გვ. 63-73) და მხეთამხის სამაროვანზე (Насидзе 1986: გვ. 446).

მტკვარ-არაქსის კულტურას ცვლის ადრეეორდანული კულტურა, რომელიც ისევე როგორც მტკვარ-არაქსის კულტურა, მიმდებარე რეგიონების ტერიტორიაზეც ვრცელდება. ადრეეორდანული კულტურის ორი ეტაპი გამოიყოფა: მარტყოფული და ბედენური. მეცნიერების გარკვეული ჯგუფი ადრეეორდანულ კულტურას ადრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნებს, ნაწილი, კი, შუაბრინჯაოს.

შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებულია ე.წ. თრიალეთის კულტურა (2500-1500 წწ). ეს კულტურა ხასიათდება დიდი ზომის ყორღანული სამარხების არსებობით, ბრწყინვალე სამეთუნეო და ბრინჯაოს მეტალურგიით, საიუველირო ხელოვნებით. სადღეისოდ თრიალეთის კულტურა შესწავლილია მხოლოდ სამარხეული კომპლექსების მეშვეობით. ჯერ-ჯერობით უცნობია ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების ნამოსახლარები.

ბორჯომის რაიონი და მიმდებარე სამცხე-ჯავახეთის რეგიონი განსაკუთრებით ინტენსიურად სახლდება და კულტურულად დაწინაურდება შუა ბრინჯაოს ხანის ბოლო ეტაპიდან დაწყებული (ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანები) და შემდგომ გვიანბრინჯაოს ხანაში. ამ რეგიონის აღნიშნული პერიოდის ძეგლების კვლევის ისტორიაზე დაწვრილებით შეგხერდებათ.

არქეოლოგიური ძეგლების კვლევა ბორჯომის ხეობაში 1912 წლიდან დაიწყო, როცა ე. თაყაიშვილმა სოფ. რველში ყობანური პერიოდის სამარხები გათხარა, რომლებიც 3500 წლით განისაზღვრა. (Такаишвили 1912) გვიან ბრინჯაოს ხანის საკვლევ რეგიონში აღმოჩენილი ძეგლებიდან აღსანიშნავია: სოფ. რველში (ბანისხევში) შემთხვევით აღმოჩენილი კულტურული ფენა (Известия Археологической Комиссии 1911); სოფ. წაღვერში გათხრილი გვიანბრინჯაოს ხანის მეღითონეობის სახელოსნოს ნაშთი; აქვე, სოფ. წაღვერში გათხრილი ამავე პერიოდის რამდენიმე სამარხი; გუჯარეთის ხეობაში პროფ. გოროდცოვის მიერ გათხრილი სპილენძ-ბრინჯაოს გადამამუშავებელი სახელოსნოს ნაშთები და მისთვის დამახასიათებელი თანმხლები მასალა; სოფ. თელოვანში შემთხვევით მოპოვებული ბრინჯაოს ინვენტარი (კოლხური ცულები, აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის ცულები, ლითონის ყალიბები, ზოდები და სხვ.), რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობის ღირებულ ფაქტად არის მიჩნეული (ღამბაშიძე 1967); სოფ. გომნაში გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების დროს 1940 წ. გამოვლენილი სამაროვანი (ნიორაძე 1943: გვ. 173). ამ არასისტემატური ხასიათის არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად მოპოვებული ძეგლები საგრძნობლად გამდიდრდა 50-იანი წლებიდან დაწყებული გეგმაზომიერი და ფართოდ წარმოებული გათხრების შედეგად. ამ რეგიონში 80-იან წლებში გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთური კულტურის სამარხეული ძეგლები ო. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი 1981); 1966 წლიდან ო. ღამბაშიძის ხელმძღვანელობით მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა გვიან ბრინჯაო-ადრეკინის ხანის ძეგლები რველში, ჩითახევში, კვირაცხოველში, ბორნიღელეში, ბერბუკებსა და მაჭარწყალში; ზველსა და ოქროყანა-ახჩის შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანები. (Гамбашидзе, Квижинадзе 1979: გვ. 55-60; 1981: გვ. 57-64; 1985: გვ. 31-36)

განსაკუთრებული ღირებულებისა აღმოჩნდა 50-იან წლებში აღმოჩენილი უდეს განძი ადიგენის რ-ნში, რომელიც შეიცავდა კოლხური კულტურის ბრინჯაოსა და რკინის იარაღ-საჭურველსა და სხვა ნივთებს. (ჯავახიშვილი, ჩუბინიშვილი: 1959) მესხეთ-ჯავახეთის ბრინჯაოს ხანის ძეგლებით დაინტერესება განსაკუთრებით გაძლიერდა ბ. კუფტინის მიერ 30-იანი წლების მეორე ნახევარში ჩატარებული გათხრების შემდეგ ფარავნისა და ტაბაწყურის ტბების მახლობლად. (Жоржикашвили, Гогадзе 1974: გვ. 26-27).

მტკვარ-არაქსული პერიოდის ძეგლებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ტ. ჩუბინიშვილის ხელმძღვანელობით ახალციხესთან გათხრილი ნამოსახლარი და სამაროვანი, რომელიც ამირანის გორის სახელითაა ცნობილი. იგი დღემდე რჩება სამხრეთ კავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანის ყველაზე მასშტაბურად შესწავლილ ქრესტომათიულ ძეგლად (ჩუბინიშვილი 1963)

მესხეთ-ჯავახეთში აღმოჩენილი მტკვარ-არაქსული კულტურის ძეგლების მიხედვით ცხადი ხდება, რომ ადრე ბრინჯაოს ხანაში ეს მხარე ერთნაირი ინტენსივობით არ არის ათვისებული. ამ პერიოდის ძეგლები ძალზე ნაკლებია ბორჯომის და ადიგენის რაიონში. ზოგი მეკვლევარი ამას იმით ხსნის, რომ მტკვარ-არაქსული ტომები უფრო ნაკლებად ტყიან, უმთავრესად კი კონტინენტური კლიმატის ზონას ირჩევდა საცხოვრებლად. (ჯაფარიძე 1976)

ბორჯომის რ-ნში კოდიანის მთაზე, ბაკურიან-ციხისჯვრიდან საკირე-ტაძრისის გადმოსასვლელ ქედზე ნავთობსადენის კორიდორში (КР 193) 2004 წ. ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გაითხარა ადრეყოფილი კულტურის ადრეული ეტაპის - მარტყოფის ყორღანი. ეს პერიოდი კი

ქრონოლოგიურად უშუალოდ ებმის მტკვარ-არაქსის ფინალურ ხანას (ბორჯომის არქ. ექსპედიციის 2004 წ. გათხრების ანგარიში. ხელნაბეჭდი).

მტკვარ-არაქსული კულტურის ნასახლარი გაითხარა ნინოწმინდის რ-ნის სოფ. სათხეში. (Isaac და სხვ. 1994) აქვე იქნა გათხრილი ყორღანი რომლის სამარხეული ინვენტარი ანალოგიურია მტკვარ-არაქსული პერიოდის ქვაცხელას სამარხისა. ამდენად, იგი რეგიონში გამოვლენილი ყველაზე ადრეული ყორღანი უნდა იყოს.

3. ადრე ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად უნდა ჩაითვალოს მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალის და მისი ადრე ყორღანების კულტურასთან მიმართების საკითხი. გარკვევას საჭიროებს ის ფაქტი, იყო თუ არა მტკვარ-არაქსის კულტურული გარემო ის საფუძველი, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ადრე ყორღანების კულტურა. როგორ და რა მიზეზებით ხდება მტკვარ-არაქსის კულტურის დაკნინება და შეცვლა სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოს ტერიტორიაზე **გვიანბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. 1500-800 წწ.)** ყალიბდება ორი განსხვავებული კულტურული წრე. დასავლეთ საქართველოში - კოლხური კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში კი სამთავრული და ე. წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურები. კოლხური კულტურა რკინის ხანაშიც განაგრძობდა არსებობას და სწორედ ამ ხანიდან შეინიშნება სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ ურთიერთობანი ეგეოსურ სამყაროსთან. აღმოსავლურ გვიან-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კულტურებში შეინიშნება უფრო წინააზიურ სამყაროსთან არსებული კავშირები.

რკინის ხანა.

რკინის მეტალურგიაზე გადასვლა იწყება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში. ამ პერიოდიდან იწყება რკინის ხანის ათვლაც. ბრინჯაოს დამუშავებიდან რკინის მეტალურგიაზე გადასვლამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია საზოგადოების ცხოვრებაში, მისი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაში. საქართველოში ამ ხანის მრავალი ძეგლია გამოვლენილი, მათ შორის ზოგიერთი ბორჯომის რაიონშიცაა მიკვლეული, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

ანტკური ხანა. მოიცავს ძვ. წ. VI-ახ. წ. IV საუკუნეებს. ძველი ბერძენი ავტორების თხზულებებში მრავალი საინტერესო ცნობაა შემონახული საქართველოსა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის შესახებ. საბერძნეთთან უწყვეტი კონტაქტი მყარდებოდა შავი ზღვის სავაჭრო გზით. ბერძნები მოგვიანებით რომაელებმა შეცვალეს. რომაელებმა სარდალმა პომპეუსმა მითრიდატე ევპატრის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის დროს საქართველოშიც ილაშქრა. ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი იძლევა განსაკუთრებით საყურადღებო წერილობით ცნობებს ამ პერიოდის საქართველოს შესახებ. საქართველოს ორივე ნაწილში ამ პერიოდის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლია გამოვლენილი. მილსადენის დერეფანში ამ ხანის ძეგლები იშვიათია.

შუასაუკუნეების პერიოდი (ჩვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარი XIX საუკუნე).

მეოთხე საუკუნის დასაწყისში კაპადოკიიდან საქართველოში შემოდის წმინდა ნინო და იწყებს ქრისტიანობის ქადაგებას. მეფე მირიანი იღებს ქრისტიანობას (337 წ.). ქართული დამწერლობის პირველი შემორჩენილი ნიმუში - ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერა მეხუთე საუკუნით თარიღდება; ოდნავ უფრო ადრეული წარწერა იერუსალიმშია აღმოჩენილი. კერპთაყვანისმცემელთა და მუსულმანთა მრავალი შემოსევის მიუხედავად, საქართველო მაინც ქრისტიანულ ქვეყნად დარჩა.

VII საუკუნეში საქართველოში არაბები იჭრებიან, XI საუკუნეში გამოჩნდნენ თურქ-სელჩუკები, XIII საუკუნეში კი მონღოლები, რომლებიც შემდგომ ოსმალებმა შეცვალეს. პერიოდულად საქართველოს თავს ესხმოდა სპარსეთი, ჩრდილოკავკასიელი ტომები, რამაც საბოლოო ჯამში ქვეყნის დანაწევრება და დაკნინება გამოიწვია. ამით ისარგებლა რუსეთმა და საქართველო 1801 წლიდან თავისი იმპერიის ფარგლებში მოაქცია, რაც ქართველი ხალხის სურვილის გარეშე მოხდა. ამ დროიდან მოყოლებული ქართველი ხალხი დამპყრობლების წინააღმდეგ მუდმივად განაგრძობდა ბრძოლას.

თანამედროვე პერიოდი.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ აღიდგინა თავისი დამოუკიდებლობა, თუმცა 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ კვლავ დაპყრობილი იქნა. საბჭოთა დიქტატურა XX საუკუნის 90-იან წლებმდე გაგრძელდა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველომ კვლავ აღდგინა თავისი დამოუკიდებლობა. ამ დღიდან მოყოლებული საქართველოს რესპუბლიკა გახდა მსოფლიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი..

3.2 წინა პერიოდში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების მოკლე მიმოხილვა

ახალციხის რაიონში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა სოფ. წნისში დაადასტურა ანტიკური ხანის (ძვ.წ. IV-III სს) სამაროვანი, რომელიც სოფ. კლდის ნავენახარის ნამოსახლარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1-კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

წნისისხევის სამაროვანი –სამაროვანი - ძვ.წ. IV–III სს.– 1981-1985 წწ.

1. ოთ. ღამბაშიძე, კ. კვიჟინაძე, ოთ. ტყეშელაშვილი, ვ. ლიხელი
“მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1981 წლის ანგარიში”
2. ოთ.ღამბაშიძე, კ.კვიჟინაძე, მ. აბრამიშვილი
“მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1982 წლის ანგარიში”
3. ოთ.ღამბაშიძე, კ.კვიჟინაძე, ირ. ღამბაშიძე
“მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1983 წლის ანგარიში”
4. კ.კვიჟინაძე
“მესხეთ-ჯავახეთის აქეოლოგიური ექსპედიციის წნისის რაზმის 1984 წლის ანგარიში”
5. კ.კვიჟინაძე
“მესხეთ-ჯავახეთის აქეოლოგიური ექსპედიციის წნისის რაზმის 1985 წლის ანგარიში”

ტექნიკური ანგარიშები ინახება ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქივში.

გამოქვეყნებული ლიტერატურა:

1. Гамбашидзе О.С.; Квижинадзе К.Д.; Ткешелашвили О.В.; Личели В.Т.;- „Месхет-Джавахетская Экспедиция“- ПАИ в 1981г. Тбилиси 1984г с. 18-22;
2. К.Д. Квижинадзе, “Отчёт о работе цнисского отряда“, ПАИ в 1984-1985 гг. Тбилиси 1987г, с. 32-35;
3. კ. კვიჟინაძე - წნისისხევის სამაროვანი - ძეგლის მეგობარი №4-1987წ

4.0 მეთოდოლოგია

4.1 საგელე მეთოდები

ძეგლზე სამუშაოები დაიწყო სასინჯი თხრილების გავლებით. სულ გავლებულ იქნა 37 სხვადასხვა სიღრმის 10X1მ ზომის თხრილი. სასინჯი თხრილების განლაგება მიზნად ისახავდა შესამოწმებელი ფართობის მაქსიმალურად შესწავლას. თხრილების სიღრმე დამოკიდებული იყო არქეოლოგიური ნაშთებისა (ფენა, სამარხი) და დედაქანის სიღრმეულ მდებარეობაზე. სამუშაოების შედეგად 21 თხრილში გამოვლენილ იქნა სამაროვნისა და ნამოსახლარის ნაშთები.

თხრილებმა გვაჩვენა, რომ ნამოსახლარის ნაშთებს შორის (№1 და №28 თხრილები) მოქცეული იყო სამაროვანი, საკმაოდ მჭიდროდ განლაგებული სამარხებით, მიწის ზედაპირიდან 0,5-1,0 მეტრის სიღრმეზე.

სამუშაოების I ეტაპმა მილსადენის მთელ სიგანეზე ნამოსახლარის არსებობა დაადასტურა; ნამოსახლარს იქვე ჰქონდა სამაროვანი. დერეფნის გარეთ ჩატარებულმა დათვალიერებამ კი დაგვარწმუნა, რომ ძეგლი მილსადენის დერეფნის გარეთაც ვრცელდებოდა. საჭირო იყო სტაციონარული გათხრების ჩატარება და ძეგლის შესწავლა მილსადენის მთელ სიგანეზე, როგორც ნავთობსადენის, ისე გაზსადენის მხარეს 210 მეტრის სიგრძეზე. სამუშაოების პირველ ეტაპზე გაკეთდა ტოპოგეგმა, რომელზეც დატანილ იქნა თხრილები.

გათხრების დაწყებამდე ენერგოდერეფნის ის მონაკვეთი, რომელშიც მოხდა ძეგლის ნაწილი დაიყო 10×10 მ ზომის ნაკვეთებად, რომლებიც თავის მხრივ 2×2 მ. კვადრატებად დანაწევრდა. მასალის აღების პროცესში მოპოვების ადგილის მითითებისას, ლათინური ანბანის დიდი ასოთი და არაბული რიცხვით A /15 აღინიშნება 10×10 მ ნაკვეთები, ხოლო მცირე ასოთი და რიცხვით a/3 - 2×2 მ კვადრატი. გათხრების გარკვეული ეტაპიდან დავიწყეთ ნაგებობების, კედლების და ორმოების დანომრვა. უფრო ადრე სამუშაოების პირველ (სასინჯ) ეტაპზე დავნომრეთ პირველი სამარხები. ძეგლზე, გათხრის პროცესში მიმდინარეობდა გრაფიკული, ფოტო და ციფრული კამერით ფიქსაცია.

2005 წელს სამუშაოები დაიწყო გაზსადენისათვის განკუთვნილ მხარეს, ბორჯომ-ახალციხის გზასთან. გაითხარა ერთმანეთზე მიბმული 14×5 მ და 17×8 მ ფართობი, რომელიც მოექცა A და A' 33, 34, 35 ნაკვეთებში. A' გამოჩენა გამოიწვია 2004 წლის ფიქსაციის სისტემაზე ჩრდილოეთისაკენ ახალი ნაკვეთების დამატების აუცილებლობამ, რომელშიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ხდება ნაკვეთების ათვლა - A'; B'; C'; უცვლელი დარჩა პირობითი ±0 წერტილი, რომელიც ნავთობსადენის მხარეს, დერეფნის გარეთ მდგარ ელექტროგადამცემი ხაზის ბეტონის ბოძზეა მონიშნული (D-30 ნაკვეთი, ზღვის დონიდან 983,6 მ). სამუშაოები მიზნად ისახავდა გაზსადენის 8მ სიგანის ზოლში არქეოლოგიური ძეგლების შესწავლასა და სამშენებლო ტერიტორიის გათავისუფლებას. 2005 წელს გარდა აღნიშნული ფართობისა ექსპედიციამ გაავლო 17 თხრილი, რათა დადგენილიყო გაზსადენის მხარეს ძეგლის გავრცელების ინტენსივობა. თხრილების ზომები იყო 4×1, სადაც სიღრმე დამოკიდებული იყო დედაქანისა და კულტურული ფენის გამოვლენაზე. თხრილებით შემოწმდა მილსადენის ღერძიდან ორივე მხარე 2-2 მეტრის დაშორებით. მანძილი საძიებო თხრილებს შორის 5 მ შეადგენდა. სამუშაოების პროცესში მოხდა იმ თხრილების გაფართოება და გაერთიანება, რომლებშიც აღმოჩნდა არქეოლოგიური ობიექტები.

გათხრები განხორციელდა ჰორიზონტალურად, 0,2მ სისქის პლასტებად-ბარისპირებად, ნაგებობების, ქვაყრილების, სამარხების გამოჩენამდე.

მასალა აიკრიფა დონეების მიხედვით არქეოლოგიურ ობიექტებთან ურთიერთმიმართებაში. განათხარი მასალები საველე პირობებში იქნა აღებული და შეფუთული. ყველა მათგანს გაუკეთდა საველე ეტიკეტი. დახარისხდა მათი აღმოჩენის მონაცემების მიხედვით. ველიდან წამოღებული იქნა ყველა არტეფაქტი: კერამიკა, ქვა ძვალი, ლითონის ნივთები და სხვა. ანთროპოლოგის მიერ იქნა შერჩეული სამარხებიდან მხოლოდ თავის ქალები. ყველა იმ ადგილას სადაც ნაგებობები იყო, გაკეთდა საკონტროლო თხრილები დედაქანის გამოჩენამდე.

2005 წლის გასათხრელი ფართობი გაზის მხარეს 10×10 მ ნაკვეთების ბადით მიბმული იქნა ნავთობის მხარეს არსებულ სისტემაზე და ±0 წერტილზე.

ძეგლზე აღმოჩენილი ნაგებობების, სამარხების, სამეურნეო ორმოებისა და კედლების აზომვა და ჩახაზვა ხდებოდა რამდენიმე ეტაპად 1:10; 1:25; 1:50; 1:100; 1:200 სმ-იან მასშტაბში. ხდებოდა საინტერესო დეტალების გამოტანა და სტრატეგრაფიულად მნიშვნელოვანი ჭრილებისა და პროფილების გამოხაზვა მილიმეტროვან ქაღალდზე ფანქრით.

მიწისა და დანალექების ნიმუშები შეგროვდა, პალეოლოგიისა და პალეობოტანიკისათვის, ნაგებობების იატაკების იმ ნაწილებიდან, რომლებიც ახლოს იყვნენ სარიტუალო ადგილებთან (კერა, საკურთხეველი), თიხის ჭურჭლების ძირებიდან და სამეურნეო ორმოების ფსკერიდან. აგრეთვე აღებულია სამარხებში დაფიქსირებული ჭურჭლების შიგთავსები. ერთ შემთხვევაში (ნაგებობა № 1) პალეოლოგიური ანალიზისათვის ნიმუშები აღებულია თანამედროვე ველის ზედაპირიდან იატაკისა და დედაქანის ჩათვლით (11 ნიმუში).

4.2 ლაბორატორიული საქმიანობის მეთოდები

ლაბორატორიული სამუშაოების I ფაზაში მოხდა:

მოპოვებული არტეფაქტებისა და ძვლოვანი მასალების დახარისხება. გარეცხვა, გადარჩევა, ჯგუფების გამოყოფა კომპლექსების მიხედვით (ნაგებობა, სამარხი, კედელი, ორმო, თხრილები და რიგ შემთხვევებში ნაკვეთების შესაბამისად).

კერამიკული მასალები დაინომრა ერთი ჭურჭლისადმი მათი მიკუთვნების მიხედვით. ასეთ ჯგუფებს მიეცათ დამოუკიდებელი ნომერი და ცხრილში ჩაიწერა, როგორც მათი რაოდენობა, ისე აღმოჩენის ვითარება საველე ეტიკეტის შესაბამისად.

კომპლექსების გარეთ მოპოვებული მასალები დაჯგუფდა მორფოლოგიური ნიშნის, ფერის, კეცისა და შემკულობის მიხედვით.

სამარხეული ინვენტარის მასალები გატარდა შეთანხმებული ცხრილების შესაბამისად: კერამიკა, ლითონი, მინა, ქვა, ძვალი, სადაც აღინიშნა მათი ფუნქცია: სამზარეულო, სამეურნეო, სამშენებლო, სარიტუალო, სუფრის კერამიკული ნაწარმი, სამკაული და იარაღი (სულ 1632 არტეფაქტი).

გადარჩეული მასალის ის ნაწილი, რომელიც კვლევისათვის გამოუსადეგარია დათვლილი და აღრიცხულია.

მოხდა 2004 და 2005 წწ. წლის ფოტო ნეგატივების კადრობრივი დახარისხება, აღრიცხვა და აღწერა.

აღირიცხა, გადათეთრდა და ცხრილებში იქნა შეყვანილი საველე გრაფიკული დოკუმენტაცია (ნახაზები).

მიწის ნიმუშები გადახარისხდა მათი პალეოლოგიური და პალეობოტანიკური განსაზღვრის მიზნით, რაც აუცილებელია ძეგლის თანადროული კლიმატური ბუნებრივ-სამეურნეო პირობებების რეკონსტრუქციისა და სამეურნეო საქმიანობის დარგების განსაზღვრისათვის.

შეგროვილი ცხოველების ძვლები დახარისხებულია პალეონტოლოგიური შესწავლისათვის. შინაური და გარეული ცხოველების სახეობების განსაზღვრისათვის, რათა გამოიკვეთოს სამეურნეო საქმიანობის პრიორიტეტები (მესაქონლეობა? მონადირეობა?).

ანთროპოლოგის მიერ სამარხებიდან აღებულია მიცვალებულთა თავის ქალები. მათი სქესისა და ასაკის, რიგ შემთხვევებში დაავადებებისა ან გარდაცვალების მიზეზების დასადგენად და შესასწავლად.

ყველა მონაცემი შეყვანილ იქნა ცხრილების შესაბამის ფორმებში (ძეგლების, არტეფაქტების, მიწის საანაღზე ნიმუშების, ნახაზების, ფოტოფირების, ანთროპოლოგიური და პალეონტოლოგიური).

ყველა მონაცემი შეინახება კომპიუტერულ ფაილებად პროგრამებში Word-სა და Excell-ში და მოხდება მათი დუბლირება CD-ზე 3 ცალად.

ძეგლზე მოპოვებული მასალები დაცული იქნება არქეოლოგიური ცენტრის საცავში.

5.0 შედეგები

5.1 ძირითადი მონაცემების მოკლე მიმოხილვა

ნავენახარზე გამოვლენილი და დაფიქსირებულია მეტ-ნაკლებად გადარჩენილი 24 ნაგებობის ნაშთი. მათ უმრავლესობასთან დადასტურდა კედლების ქვის საფუძვლები (19 შემთხვევა) (ტაბ.3).

შესწავლილ ტერიტორიაზე სულ გაიწმინდა 94 სამარხი; გამოვლენილი სამაროვნები ლოკალიზდება სამ, მეტნაკლებად კომპაქტურად განლაგებულ, ჯგუფად და განცალკევებულ A, B და C სამაროვნებს წარმოადგენენ (ტაბ.4-6).

ძეგლზე გაიწმინდა რიყისა და ფლეთილი ქვით ნაგები ექვსი კედელი და კედლის საფუძველი, რომელთა დაკავშირება კონკრეტულ ნაგებობასთან (იატაკთან) ყოველთვის ვერ ხერხდება.

ასევე დაფიქსირდა სადრენაჟე არხი. არხს ორივე ნაპირი გამაგრებული ჰქონდა რიყის ქვის ცალპირა წყობით.

ნამოსახლარზე გამოვლენილ ნაგებობებში და სამაროვნებზე გაიწმინდა სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის 32 სამეურნეო ორმო, რომელთაგან ზოგიერთი მოგვიანებით გამოყენებულია მიცვალებულთა დასაკრძალავად.

ძეგლებსა და კულტურულ ფენებში მოპოვებულია არქეოლოგიურია სხვადასხვა სახის არტეფაქტმა. სულ 6407 ერთეული (ეს რაოდენობა ასახავს ძეგლზე მოპოვებული არტეფაქტების საერთო რაოდენობას, ხოლო არტეფაქტების ნუსხაში მოცემული ნუმერაციის ქვეშ ხშირ შემთხვევაში გაერთიანებულია რამდენიმე არტეფაქტი ანუ რამდენიმე ჭურჭლის შემორჩენილი ნატეხი):

თიხის ჭურჭელი – 5156 ცალი; **ქვის არტეფაქტები** – არქიტექტურული დეტალები, სამეურნეო და საბრძოლო იარაღები – 51 ერთეული; **ნახევრად ძვირფასი ქვები** (სარდიონი, ალმანდინი, აქატი, ქარვა, გიშერი და პასტა) შეადგენს 344 ერთეულს; **მინის ჭურჭლისა და მინის სამკაულის** საერთო რაოდენობა – 291; **ლითონის არტეფაქტების** რაოდენობა შეადგენს (ოქრო – 8, ვერცხლი – 15, ბრინჯაო – 40, რკინა – 31) სულ 94 ერთეულს. **ძვლის არტეფაქტები** 13 ცალია, **ნიჟარა** – 2 ცალი, **სადაფისა** - 18 ცალი. **პალეოზოოლოგიურად** განისაზღვრა 382 ძვლის ნიმუში. **ანთროპოლოგიურად** განისაზღვრა 56 ადამიანის თავის ქალა.

ამდენად, ძეგლებზე და კულტურულ ფენებში მოპოვებულია მასალის 95,6% ანუ 6125 ერთეული, შემთხვევით მოპოვებული კი 4,4% - 282 ერთეული.

ნავენახარის ნამოსახლარი წარმოადგენს სტრატეგრაფიულად მრავალფენიან ნამოსახლარს, სადაც კულტურული ფენები გათხრილი ფართობის

ტერიტორიაზე სხვადასხვა სიმძლავრით არის შემორჩენილი. ძეგლი მრავალჯერ არის განადგურებული და ამდენად შემორჩენილი ნაგებობების ნაშთებიც ფრაგმენტულია. ნავენახარის ნამოსახლარზე სტრატиграფიულად გამოიკვეთა სხვადასხვა პერიოდის ნეგებობები, სამარხები და სამეურნეო დანიშნულების ორმოები.

ცალკეულ მონაკვეთებზე მოხერხდა სტრატиграფიული თანმიმდევრობის დაფიქსირება:

I – ფენა - ახ.წ. II- IV სს. ნაგებობები №№ 16, 23 24; ორმოები №№ 19 და 29

II – ფენა - ახ.წ. IV-Vსს. ნაგებობები №№1,5,6,12,13,14,17

III – ფენა - ახ.წ. V-VIIსს. ნაგებობა №20

ნავენახარის ნამოსახლარი და სამაროვნები სტრატиграფიული მონაცემების მიხედვით, ერთმანეთის თანმიმდევარი პერიოდის მრავალფენიანი ძეგლია, რომლის ფუნქციონირების ხანა ახ.წ. II-VII სს. მოიცავს.

5.2 ძეგლები

ნაგებობები

ნაგებობების გეგმა მართკუთხედის მოყვანილობისაა და დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ (ტაბ. 3).

ნავთობსადენის მხარეს ნაგებობები და მათი ნაშთები (კედლები) კომპაქტურად იყო ერთმანეთზე განლაგებული D18, D19, D20, C20, D21, C21, D22, C22, D23, C23, ასევე D28, C28, D30, C30, C31, B31, C32, C32 ნაკვეთებში. დასავლეთისკენ დასახლება მთავრდება E12, D12, E13, D13 ნაკვეთების გადაკვეთაზე გაწმენდილი ნაგებობის (№2) ნაშთით.

გაზსადენის მხარეს ძეგლების (ნაგებობა, სამარხი, ორმო) კომპაქტური განლაგებით გამოირჩევა 5 მონაკვეთი:

1. A17-B17-A18-B18 ნაკვეთებში ადრეშუასაუკუნეების დროინდელი სამაროვანი.

2. A19 ნაკვეთში ნაგებობა №17-ის ნაშთი და შიგ გამართული ორი სამარხი, რომელსაც აღმოსავლეთით მოსდევს 40მ სიგრძის ცარიელი მონაკვეთი.

3. A24-26 ნაკვეთებში ნაგებობები №№18, 19, რომელსაც მოსდევს 10 მეტრიანი ცარიელი ადგილი.

4. A27-A29; A30-A'30 ნაკვეთებში გამოვლინდა გვიანანტიკური ხანის სამარხები და ორმოები.

5. A30-A32 ნაკვეთების ჩრდილოეთ ნახევარსა და A'30-A'32 ნაკვეთების სამხრეთ ნაწილში; ასევე – A33, A34-A'33 A'34, A35 ნაკვეთებში იწყება მჭიდროდ განლაგებული ნაგებობების ჯგუფი – ნაგებობები №№16, 12, 20, გვიანანტიკური ხანის სამაროვანი და ორმოები.

ამ დასახლების არქეოლოგიურად გამოვლენილი ფართობი სამაროვნებითურთ 3486 მ²-ს მოიცავს. იგი განფენილია ოდნავ დაქანებულ, ტერასისებურ ფერდობზე. მის ზედა და ქვედა ტოპოგრაფიულ წერტილებს შორის, 250მ. მანძილზე, დონეთა განსხვავება მხოლოდ 4მ-ს შეადგენს, ანუ ფერდი, რომელზედაც დასახლებაა გაშენებული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 5 გრადუსითაა დახრილი.

კედლების ტექნოლოგიის თვალსაზრისით ძირითადად ოთხი სახე გამოიყოფა (ტაბ.7):

I- კედელი, რომელიც შედგება ორი საპირე წყობისაგან, სადაც მათ შორის მოქცეული სივრცე თიხითაა ამოვსებული.

II- კედელი საპირე წყობებით, სადაც შიდა სივრცე ასევე (საპირე წყობათა ანალოგიურად) ქვების გრძივი მწკრივითაა შევსებული.

III- კედელი საპირე წყობებით, სადაც შიდა სივრცე ხურდითაა ამოვსებული (რიყისა და ნაგლეჯი ქვა, თიხისა და მიწის მასივი).

IV- კედელი, რომელიც შედგება ერთი შიდა მწკრივისაგან (შიდა აქ გულისხმობს ნაგებობის ინტერიერის მხარეს) და თიხით ფორმირებული კედლისაგან. ქვის წყობა შედგენილია თიხით.

კედლები (ტაბ.10)- ნავთობსადენის მხარეს C 21, C22, C23 ნაკვეთებში გაიშინდა 0.4-0.9მ და 1.5მ სიგანის რიყისა და ფლეთილი ქვით ნაგები კედლები და კედლის საფუძვლები (№№ IV, V, VI), რომელთა დაკავშირება კონკრეტულ ნაგებობასთან (იატაკთან) ყოველთვის ვერ ხერხდება.

გამოიკვეთა კედლების შენების სხვადასხვა ტექნიკა, ზოგ შემთხვევაში კედლის საფუძვლად გამოყენებული წყობა ერთნაირი ზომის ქვებისაგანაა შედგენილი, ზოგ შემთხვევაში კი კედლები ორი პარალელური დიდი ზომის ქვით არის გავლებული, მათ შორის სივრცე კი მომცრო ქვებითა და ტალახით არის შევსებული.

სადრენაჟე არხი (ტაბ. 6) – რომელიც გამართულია A'-A 29 ნაკვეთებში.

ორმოები (ტაბ.11-12) – ნამოსახლარზე გამოვლენილ ნაგებობებში, სამაროვნებზე და მათ შორის გაიშინდა სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომის 32 სამეურნეო ორმო, რომელთაგან ზოგიერთი მოგვიანებით გამოყენებულია მიცვალებულთა დასაკრძალავად (№№ 55, 57, 86 სამარხები).

სამარხები

შესწავლილ ტერიტორიაზე სულ გაიშინდა 94 სამარხი; გამოვლენილი სამაროვნები ლოკალიზდება სამ მეტნაკლებად კომპაქტურად განლაგებულ ჯგუფად და განცალკევებულ სამაროვნებს წარმოადგენენ; ისინი მოქცეულნი არიან:

A სამაროვანი C25-26 ; D25-26 ნაკვეთებში (ტაბ.4);

B სამაროვანი A17,18; B16,17,18 ნაკვეთებში (ტაბ.5);

C სამაროვანი კი A 28,29,33; A'33; B 30,31,32 ნაკვეთებში (ტაბ.6)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ A და B სამაროვნები, C სამაროვანისაგან განსხვავებით, ნაგებობებისგან გამოცალკევებულია.

მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა სამარხი ნაგებობის კედელშია ჩაჭრილი (სამარხი №43 ჩაჭრილია ნაგებობა №6-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში), რაც ქრონოლოგიური სხვაობით აიხსნება (ტაბ.13).

№№67 და 68 სამარხები, №17 ნაგებობაში მის კედელთან არის გამართული, რაც ნაგებობის ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ უნდა მომხდარიყო (ტაბ.14)

№80 სამარხი №18 ნაგებობის კედელს აქვს გადაფარული, რაც უდაოს ხდის მათ შორის ქრონოლოგიურ სხვაობას.

ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, გაფანტული სახით, შეგვხვდა №16 ნაგებობაშიც, თუმცა იქ სამარხის არსებობაზე ლაპარაკი ჭირს. ნაგებობასთან დაფიქსირებულია №89 სამარხიც.

გათხრილი 94 სამარხიდან გამოიყოფა სხვადასხვა პერიოდის რამდენიმე ტიპი:

1. ორმოსამარხი – 76(ტაბ. 15)
2. კვერით გადახურული ორმოსამარხი – 2 (ტაბ.15ა, 15ბ)
3. ქვევრსამარხი – 1 (ტაბ. 16)
4. ქვაყუთი – 12 (ტაბ. 17)
5. ქვევრით გადახურული ორმოსამარხი – 2 (ტაბ. 18)
6. რიყის ქვებით ამოშენებული – 2 (ტაბ. 19)

A სამაროვანი (ტაბ. 4) გაითხარა 2004 წელს, სამარხები კონსტრუქციისა და დამხრობის ერთგვაროვნებით ხასიათდება. აქ დაფიქსირდა 43 სამარხი, რომელთა შორის გამოიყო:

1. ორმოსამარხი - 41

2. ქვაყუთი - 1

3. ქვევრით გადახურული და რიყის ქვებით ამოშენებული -1

სამარხებისათვის გამოყენებულია ცალკეული ქვები სამარხის ორმოს ნაპირებში და ხის ძელები თუ ფიცრები. სამარხები დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და მათში დაკრძალულია როგორც ზურგზე გაშლილი, ისე გვერდზე დასვენებული ხელ-ფეხმოკეცილი მიცვალებულები. სამი სამარხის დამხრობა ჩრდილო-დასავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზეა (№27, 29, 45). სამარხებს შორის არის როგორც ინდივიდუალური ასევე, კოლექტიური დაკრძალვის შემთხვევები.

B სამაროვანი (ტაბ. 5) – გათხარა 2005 წელს. სულ სამაროვანზე 19 სამარხია:

1. ორმოსამარხი – 8

2. ქვაყუთი – 10

3. რიყის ქვით ამოშენებული ოთხკუთხა სამარხი – 1

სამარხების ძირითადი ნაწილი ქვის დიდი ფილებით იყო ნაგები. სამარხების უმეტესობა ორიენტირებულია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სამაროვანზე ქვის ფილებით ნაგები სამარხების გვერდით დადასტურდა რიყის ქვებით ნაგები ორმოსამარხიც, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ფილაქვებით ნაგებ სამარხებს. სამარხთა უმეტესობაში დაფიქსირებულია მიცვალებულთა კოლექტიური დაკრძალვის წესი (2 და მეტი მიცვალებულის ჩონჩხით). ორ შემთხვევაში ორმოსამარხი გადახურული იყო კვერით. გარდა სამარხებისა აქ აღმოჩნდა წრიული და მოგრძო მცირე ზომის სამეურნეო ორმოები, რომელიც ნათელი დადასტურებაა, რომ სამაროვნის ადგილზე უფრო ადრეული ნამოსახლარის ფენებიც არსებობდა.

C სამაროვანი (ტაბ. 6) ლოკალიზებულია გათხრილი ფართობის აღმოსავლეთ ნაწილში და იმის გამო, რომ ჩვენს მიერ გათხრილია მხოლოდ მილსადენების ვიწრო დერეფნები, ამიტომ სამაროვანი სამ ჯგუფად არის დაყოფილი, ამ ჯგუფებში გაერთიანებული სამარხები ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ფაქტობრივად ერთმანეთის თანმიმდევარ პერიოდს განეკუთვნება და ამდენად სამარხების ტიპში, დაკრძალვის წესსა და სამარხულ ინვენტარში სხვაობა ძალზედ მცირეა. C სამაროვანზე გათხარა 19 ორმოსამარხი.

C სამაროვანი თავისთავად დაყოფილია 3 ჯგუფად:

I ჯგუფი გამართულია B30,31,32 ნაკვეთებში (6 სამარხი);

II ჯგუფი A34-35, A'33-34 ნაკვეთებში (6 სამარხი);

III ჯგუფი A24-25;28-29-31 ნაკვეთებში (7 სამარხი);

დაკრძალვის წესი ძირითადად მიცვალებულის ხელ-ფეხ მოხრილი მდგომარეობა დასტურდება მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. სამარხები არის, როგორც ინდივიდუალური ასევე წყვილადი. სამარხები ძირითადად ინვენტარიანია.

ეს სამაროვანი განეკუთვნება უძველეს ანუ გვიან ანტიკურ ხანას, სადაც სხვადასხვა ინტენსივობით არის სამარხები განლაგებული.

სამარხების სიხშირე შეინიშნება №12 და №16 ნაგებობების მიმდებარედ A24,25,28,29, B30,31,32 და A'33, 34 ნაკვეთებში (16 სამარხი). სხვა შემთხვევებში სამარხები გაფანტულია ნამოსახლარის ტერიტორიაზე. კერძოდ: №13 და №21 ნაგებობების აღმოსავლეთით (5 სამარხი), №16 ნაგებობის დასავლეთით (7 სამარხი) და ნაგებობა №23 და №24-ის ჩრდილოეთით (6 სამარხი) (ტაბ. 6).

ადრეული პერიოდების სამარხები (20 სამარხი) თითო-თითოდ გაფანტულია ასევე ნამოსახლარის სხვადასხვა ნაწილში.

სამაროვნები ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან ინვენტარითა და დაკრძალვის წესითაც.

საერთოდ, ძეგლზე დადასტურებულ სამარხებს შორის გამოიყოფა მიცვალებულთა დაკრძალვის სხვადასხვა პოზა

1. 41 სამარხში გაშოტილი (ტაბ. 20; 20ა)
2. 28 სამარხში გვერდზე, ხელფეხმოხრილი (ტაბ. 21; 21ა)
3. 22 შერეული (ტაბ. 22; 22ა)
4. 1 “ლოტოსის” პოზა(ტაბ. 23; 23ა)
5. 2 კენოტაფი (ტაბ. 24)

5.3 არტეფაქტები

არტეფაქტი	ძეგლზე კულტურული ფენაში მოპოვებული არტეფაქტების რაოდენობა	შემთხვევით მონაპოვარი არტეფაქტების რაოდენობა	საერთო რაოდენობა
კერამიკა	4878	278	5156
სადა	3445	266	3711
შედებილი	109		109
ორნამენტიანი	1224	12	1236
ქვა	49	2	51
არქიტექტურული	7	1	8
სამეურნეო	32		32
საბრძოლო	10	1	11
ნახევრად ძვირფასი სამკაული	343	1	344
სარდიონი, ალმანდინი, აქატი	28	1	29
ქარვა, გიშერი, პასტა	315		315
მინა	290	1	291
ჭურჭელი	10	1	11
სამკაული	280		280
ლითონი	94		94
ბრინჯაო	40		40
რკინა	31		31
ვერცხლი	15		15
ოქრო	8		8
ნიჟარა	2		2
სადაფი	18		18
ძეგლოვანი მასალა	451		451
ნაკეთობა	13		13
ადამიანის	56		56

ცხოველის	382		382
საერთო რაოდენობა	<u>6125</u>	<u>282</u>	<u>6407</u>

კერამიკა

ნავენახარზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებს შორის გამოიყოფა ორი ჯგუფი – ნამოსახლარისა და სამაროვნისა. ნამოსახლარის კერამიკულ მასალებს შორის ძირითადი ნაწილი ადგილობრივ – ე. წ. “მესხურ” ტიპს განეკუთვნება, რომელსაც პარალელური ეძებნება იმდროინდელი ქართლის (იბერიის) სამეფოს ფარგლებში და ადრექრისტიანული პერიოდის (IV–VI სს), აღმოსავლურ-ქართული კულტურული წრის ძეგლებს განეკუთვნება. თუმცა არის კერამიკის ზოგი ისეთი სახეობაც, რომელთა ტექნოლოგია და შემკულობის ხასიათი ჭურჭელთა გამორჩეულობაზე – საგანგებო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს და, შესაძლოა, ქართლის სხვა, უფრო დაწინაურებული სახელოსნო ცენტრებიდან იყოს შემოტანილი.

ქვემოთ წარმოდგენილ ჩვენს მიერ შემუშავებულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს ჭურჭელთა დანიშნულება მოყვანილობა და სტილი, რომელსაც თან ერთვის შემკულობა (ორნამენტაცია – წიბოები, ჰორიზონტული რელიეფური რკალები – ნათითურები, ნაჭდევები, ფოსოები, კანელურები და სხვა). აქვე, ქვეჯგუფთა დახასიათებისას, მხედველობაშია მიღებული ჭურჭლების გამოწვის ხარისხიც და ზედაპირის შეფერილობა (გამოწვამდე – ზედაპირის დაფარვა სხვადასხვა ფერის თხელი ანგობით) და გაპრიალების წესით.

ნავენახარის ნამოსახლართა კერამიკულ მასალაში გამოიყო შემდეგი დანიშნულების ჭურჭელი და სამომხმარებლო საგნები, ხოლო მოყვანილობის მიხედვით დაჯგუფდა მათი ტიპები და ქვეტიპები (აღინიშნება შემკულობის ხასიათიც). ასეთია:

1. სუფრის ჭურჭელი
2. სამზარეულო ჭურჭელი
3. სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი,
4. საოჯახო და სამზარეულო-სამეურნეო მოხმარების საგნები
5. საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთები
6. სამშენებლო კერამიკა

სუფრის ჭურჭელი

კლდის ნამოსახლარში მოპოვებული სუფრის ჭურჭელი მრავალსახოვანია. აქ წარმოდგენილია: ჯამები, ფიალები, ჭინჭილები, ხელალები, დოქები. გამონაკლისია – დეკორატიული ქილა, წითელი თიხისა, სამფეხა, კანელურებიანი და წითელპრიალა.

ნავენახარის ნამოსახლარზე დადასტურდა სხვადასხვა ზომისა და ფომის **ჯამები** (ტაბ. 25) – №№356, 718/1, 390, 612. 675, სხვადასხვაფერად არის გამომწვარი ძირითადად ჩალისფერი და ღვია მოშაო ფერისა. მათ შორის გვხვდება ნაპრიალები ხაზებითა და ჰორიზონტული ღარებით შემკული ჯამებიც. მიახლოებითი პარალელებით ისინი IV-VI საუკუნეებშია გავრცელებული, რომელნიც თბილისის, დმანისისა და რუსთავის ნაქალაქარების კულტურულ ფენებში დაფიქსირებული.

ფიალა №940 (ტაბ. 26) მოწითალო-მოყავისფრო სუფთა თიხისაგან დამზადებული. ქუსლიანი, პირ-კალთა მრგვალი, კიდემოვიწროებული, შიგნიდან პირი დაბალია. ცეცხლშია მოხვედრილი. აღმოჩენილია 23-ე შენობის №23 ორმოში. ასეთი ჯამები და ფიალები (ჩალისფერი ან მოვარდისფროდ გამომწვარი) მოპოვებულია ურბნისში, ჭერემში, რუსთავში

და თარიღდება IV-VI საუკუნეებით (ჭილაშვილი ლ., 1964: ტაბ. XXX, სურ. 3; ლ. ჭილაშვილი, 1958: ტაბ. XXIX, 2).

ჭინჭილები (ტაბ. 27) – №№695, 690. ისინი მოვარდისფრო თიხის, ბიკონუსური ფორმის, მაღალი, უყურო, წვრილყელიანი ჭურჭელებია. მცირედ პირგადაწეული, თხელი კიდიტ. ტანი დაბრტყელებულია, ძირი ბრტყელი. აღმოჩენილია მე-16-ე შენობაში, საკურთხეველთან. მსგავსი ჭურჭელები ურბნისში დათარიღებულია IV (ჭილაშვილი ლ., 1964: გვ. 62) და VI-VIII საუკუნეებით (ტაბ. XI-1). (სინაურიძე მ., 1966: XIII-XV; ჭილაშვილი ლ., 1964: გვ. 62).

ფინჯანი (ტაბ. 28) №693 მცირე ზომის ხელით ნაძერწი უხეში მოყავისფრო თიხისაა და სქელკედლიანი. აქვს წაკვეთილი კონუსის ფორმა, წათლილი ძირით. დაბრტყელებულ ტანზე მიძერწილია პატარა შვერილი ყური. აღმოჩნდა №16 ნაგებობის საკურთხეველში. ზოგადი პარალელების მიხედვით ურბნისში, რუსთავეში, მცხეთაში ასეთი ფინჯან-ჭინჭილები IV-V საუკუნეებით თარიღდება.

დოქ-ჭინჭილები (ტაბ. 29) №554 №692 მოვარდისფროდ გამომწვარი სუფთა თიხისა, თხელკედლიანი და ძირბრტყელი. აღმოჩენილ სამტრუხა ჭინჭილას მსხლისებური ტანი აქვს, მუცელგამობერილი. ყელშევიწროვებული, ტუჩს ქვემოთ ჩანს დაბალი ირგვლივი წიბო. წვრილი, მრგვალგანიკვეთიანი ყური პირს ქვემოთ ყელის წიბოსთან ებმის. გარედან მცირედ არის გაპრიალებული შვეული ხაზებით. აღმოჩნდა №16 ნაგებობის №18 ორმოსა და ამავე ნაგებობის საკურთხეველის კედლის ძირში.

ურბნისში ასეთი დოქ-ჭინჭილები დათარიღებულია VI-VIII საუკუნეებით (ტაბ. XI-1). (სინაურიძე მ., 1966: ტაბ. XIII-XV; ჭილაშვილი ლ., 1964: გვ. 62).

საერთოდ, ვარდისფრად და ჩალისფრად გაპრიალების კვალი შიგნიდან კი – განივი მჭიდრო ხაზები, ადრეფეოდალური ხანის ტექნოლოგიისთვის არის დამახასიათებელი. ზოგადი პარალელების მიხედვით ასეთი დოქ-ჭინჭილები IV-V საუკუნეებით თარიღდება (ურბნისში, რუსთავეში, მცხეთაში).

დოქები და ხელადები (ტაბ. 30-30ა) – №395, 199, 382, 721, 882, 913-1131. ასეთი ჭურჭელი უმთავრესად საღვინეა ან წყლისა. ნამოსახლარზე დადასტურებული ეგზემპლარები ცალყურაა და გამოირჩევა სხვადასხვა შეფერილობით – ჩალისფერიდან წითელ ტონალობამდე. ზოგიერთი მათგანი ანგობირებული, შვეულად გაპრიალებული. არის როგორც მრგვალტუჩა და სამტრუხა ასევე გადაწეული პირის კიდიტ და ყელწიბოიანი. მსხლისებური მოყვანილობისა.

დოქების ერთი ნაწილი სფერულმუცლიანი და ყელმოვიწროებული, წითელწერნაქიანი. ზოგიერთ ეგზემპლარებს ირგვლივ შემოუყვება სველ თიხაზე რბილად, მაგრამ მოკლე ნათითურებით მჭიდროდ ჭდეული “ფოსოების” სამი სალტე. ამის გამო სალტეებს ერთმანეთისგან გამოყოფს ორი დაბალი წიბო. გარედან მთლიანად დაფარულია თხელი წითელი წერნაქით და გაპრიალებულია შვეული ხაზებით. მიახლოებითი პარალელის მიხედვით (რუსთავედან, მცხეთიდან, ურბნისიდან) ნიმუში მიეკუთვნება IV-V საუკუნეების წარმოებას დამახასიათებელი ფორმებისა და ჭდეული ორნამენტის გამო.

„სამტრუხა“ ხელადებიდან (ტაბ. 31) №№913; 1131 განსაკუთრებით შესამჩნევია – კანელურებით შემკული, ცალყურა, სითხის ჭურჭელი – საკიდად გამოყენებული. ხელადა ღია-მოვარდისფროდ არის გამომწვარი, სუფთად განლექილი, მტკიცე თიხისაგან, თხელკედლიანია. ტანი მსხლისებურია: ძირისკენ რბილად დაშვებული (ბრტყელი ძირი მოტეხილია) და გამობერილი მუცლის მქონე. ჭურჭელი ყელშევიწროვებულია, ირგვლივ, რბილად, ნათითურით ჩაზნექილი სალტე შემოუყვება, რის გამოც ორი (წყვილი) დაბალი წიბო იკვეთება. ძაბრვივით გაშლილი პირი, ორივე მოპირდაპირე

კიდევ გამოწვამდეა შეზნექილი, რაც ჭურჭელს “სამტუნა” მოყვანილობას აძლევს. პირის კიდე მცირედ შესქელებულია. ტანს ირგვლივ, მთელ სიმაღლეზე, ჩანს რბილად ჩაზნექილი რვა შვეული ღარი, რაც ჭურჭელს (ამოზნექილი არეების გამო) “კანელურებით” შემკობის იერს აძლევს. ოვალურ-მრგვალი ყური ყელის წობოდან იწყება და მხარს ებმის. ჭურჭელი მთლიანად დაფარულია მოვარდისფრო თხელი ანგობით და გაპრიალებულია შვეული გაცვილული ხაზებით.

მასზედ, რომ ჭურჭელი საკიდად ყოფილა გამოყენებული, მეტყველებს ყელის ორივე მხარეზე, თანაბარი ინტერვალთ, გამოწვამდე დაყოლებული საზონარე ნახერცების წყვილ-წყვილად (ორ-ორად) განლაგება (შესაძლოა რაიმე სიმაღლეზე ჩამოსაკიდი ან სამგზავროდ, უნაგირზე ზონარით გამოსაბმელი ჭურჭელია).

მსგავსი ჭურჭელი (ზონარით გამოსაბმელი) შენიშნულია ურბნისის მასალაში და მკვლევართა მიერ თარიღდება V-VI საუკუნეებით (სინაურიძე მ., 1966; ჭილაშვილი ლ., 1964).

ადრეშუასაუკუნეების ძეგლებზე ისინი მრგვალმუცლიანებია, დაბრტყელებული ძირით. ურბნისის და მცხეთის მასალების მიხედვით იგი IV-V საუკუნეებით თარიღდება (სინაურიძე მ., 1966: გვ. 59; ბოჭორიშვილი ლ., 1946: I; ჭილაშვილი ლ., 1964: გვ. 62).

მრგვალპირიანი, სამტუნა და ყელწიბოიანი დოქები კი ურბნისში აღმოჩენილია IV საუკუნის სამარხებში (ჭილაშვილი ლ., 1964: ტაბ. XX-3, XXI-4, XXII-4, XXIII-1, 2, 3, 5).

სამფეხა “ლარნაკი” (ტაბ. 32-32ა). წითელპირილა, კანელურებიანი. ეს არის მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი, კარგად განლექილი თიხის ჭურჭელი. ტანმაღალია, მსხლისებური ფორმის, მრგვალპირიანი და სამფეხა შვერილებზე მდგარი. შემორჩენილია ცალი ყური (შესაძლოა მეორე მოტეხილია?). ტანი ირგვლივ შემკულია ოვალური ფორმის ჩაზნექილი ღარებით, რომელიც ჭურჭლის მუცლის ზედაპირს ხუთ თაღოვან ნაწილად ყოფს. მთლიანად დაფარულია წითელი წერნაქით. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია რუსთავის განათხარ მასალასაც, მაგრამ ის შვერილ ფეხებზე არა დგას და თარიღდება განვითარებული შუასაუკუნეებით (IX-XI სს). აქვე უნდა ითქვას, რომ მისი მსგავსი ჭურჭელი თუმცა ურბნისშიც აღმოჩნდა (სამფეხა ლანგარი), მაგრამ დათარიღება (აღმოჩენის პირობების გამო) სანდო არ არის და დღემდე გაურკვეველია (ჭილაშვილი ლ., 1964: გვ. 46). ვფიქრობთ, კლდის სამოსახლოზე აღმოჩენილი ზემოაღწერილი დეკორატიული თუ სასუფრე ქილა სტრატეგრაფული მონაცემებით ადრეშუასაუკუნეების საწყის ეტაპს არ უნდა სცილდებოდეს (IV-VI სს) და ალბათ შემოტანილია. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ურბნისის IV საუკუნის სამარხებში თუმცა აღმოჩენილია წითელპირილა დოქები მხარზე ჩხვლეტილი ორნამენტით, მაგრამ ისინი სამფეხა არ არის (ჭილაშვილი ლ., 1964: ტაბ. XX-1, 2, 4; XXI-1, 2, 3).

სამზარეულო ჭურჭელი

დაყოფილია ორგვარი მოხმარების მიხედვით: 1 – ცეცხლზე სადგამი და 2 – თაროზე სადგამი (ანუ უცეცხლოდ სახმარი) ჭურჭელი.

ცეცხლზე სადგამი ჭურჭელია: ქოთნები, კოჭობები, კეცი, ტაფა (შვერილყურიანი ნატეხები).

ქოთნების უმრავლესობა (ტაბ. 33-33ა) – №№473, 321, 326, 355, 360, №473, (72), 474, 381, 611, 578, 439, 149-150, 142 აღმოჩენილია №№ 5,13,14 და 16 ნაგებობებში. ქოთნების დამზადების ტექნოლოგიაში გამოიყოფა ორგვარი დამზადების წესი: ერთი ლეგა-ყავისფრად არის გამომწვარი, ხოლო ქოთნების მეორე

ნაწილი შედის იმ ჯგუფში, რომელსაც მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი კეცი აქვს, მაგრამ რადგან ესენიც ცეცხლზეა ხმარებული, მათაც გამურვის კვალი ატყვიათ. ზომით ისინი დიდია, ორყურა, სფერულმუცლიანი, დაბალი ყელით, მცირედ პირ-კიდე გადაწეული და ძირბრტყელი. მხარს ირგვლივ მცირედ გაშლილი ტალღოვანი ზოლია. უყურო ქოთანია №142 (აღმოჩენილი №5 შენობაში). იგი დაბალია, ჩალისფერ-მოვარდისფრო თიხისა და სადა. ცეცხლშია მოხვედრილი, პირის კიდე ოდნავ გადაწეული და თხელია, ტანი – ოვალური. გავრცელებულია ადრეშუასაუკუნეებში.

ჭურჭელთა საერთო ნიშანია: ორმხრივ (შიგნით და გარედან), სველ თიხაზე (გამოწვამდე) მჭიდროდ განლაგებული, წვრილჭდეული “ვარცხნილი” ხაზების სიხშირე, რაც ადრეშუასაუკუნეების ტექნოლოგიისთვის არის დამახასიათებელი და გვხვდება ურბნისისა და ჭერემის მასალებში (IV-VI სს). ამ ჯგუფის ქოთნები ზოგჯერ ნიშნაინცაა: №357 ზომით პატარა ქოთნის პირ-ყურ-კედლის ნატეხია, რომელზეც ამოკაწრულია “ჯვრის” ნიშანი – X. ეს ნიმუში აღმოჩენილია მე-13-ე შენობაში. ყველა მონაცემის მიხედვით იგი ადრეშუასაუკუნეების ნიშნაინ ჭურჭელს ეკუთვნის. ჭერემში ასეთი ნიშნაინ ყურები V საუკუნის II ნახევრითაა დათარიღებული (სინაურიძე მ., 1966: გვ. 52-53; მამაიაშვილი ნ., 2004: ტაბ. XII; ჭილაშვილი ლ., 1964: ტაბ. XII).

კოჭობები (ტაბ. 34) №479-442-498 აგრეთვე ცეცხლზე სადგამი ჭურჭელია. სახეობების მიხედვით გამოიყოფა ცალქურა და უყური კოჭობები. მათი ძირითადი ნაწილი აღმოჩენილია №16 ნაგებობაში. ისინი ჩალისფრად და შავად არის გამომწვარი.

სფერულმუცლიანი, მრგვალი ყურით, პირი ოდნავ გადაწეული და თხელი კიდით. პირი მუცლისგან დაბალი ღარით გამოიყოფა, ძირბრტყელია. კოჭობი გარედან გაპრიალებული ხაზებით არის შემკული. მსგავსი ჭურჭელი ცნობილია მცხეთის გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეებით დათარიღებულ სამარხებიდან.

არის კოჭობები აგრეთვე საკულტო დანიშნულებისაც – შესაწირავი. მაგ.: მე-16-ე ნაგებობაში ე. წ. საკურთხეველის მასალაში, 15 ცალი ჭურჭლიდან ერთ-ერთი არის კოჭობი №694 (ტაბ.35). ეს არის მუცლის ნატეხი, თავბოლო მოტეხილი. გამომწვარია მოყავისფროდ, შემკულია ნაპრიალები ხაზებით. მუცელთან მიძერწილია მცირე ზომის გახვრეტილი ყური ზოომორფული შვერილით. ფორმით ოვალურ-დაბრტყელებულია. შესაძლოა იგი ჩამოსაკიდად იყო გათვალისწინებული. ამგვარი ჭურჭელი ურბნისშიც არის და IV-V საუკუნეებით თარიღდება. ასევე თარიღდება საკურთხეველის გარშემო შემოწყობილი სხვა დანარჩენი ჭურჭელიც.

კოჭობების ნაირსახეობაა – მიღტუნიანი ჭურჭელი №332 და №498 (ტაბ.36-36ა). ისინი აღმოჩენილია №13 და №16 ნაგებობებში. გამომწვარია მოვარდისფრო თიხისგან. საშუალო ზომისა, სამზარეულოში სახმარი ჭურჭელია. აქვს გადმოსადვრელი მიღტუნი. ეს გადმოსადვრელი მიღტუნი შიგნიდან გარეთ, მხართან გადმოდის. ჩანს, ბრტყელძირა იქნებოდა, მცირედ ყელმოვიწროებული და პირ-კიდე გადაწეული. ეს კოჭობი არ არის ცეცხლზე ნადგამი – ალბათ საოჯახოა, თაროზე სადგამი. პირი მცირედ არის გადაწეული, კიდე თხელი, ყელი არ გამოიყოფა. გარე პირი შევული ნაპრიალები ხაზებითაა შემკული. ადრეშუასაუკუნეებისაა. ასეთი ჭურჭელი არის რუსთავშიც, ურბნისშიც, ჭერემშიც (მამაიაშვილი ნ., 2004: ტაბ. XIX; სინაურიძე მ., 1966: ტაბ. V).

თაროზე სადგამი ანუ უცეცხლოდ სახმარი ჭურჭელია:

უცეცხლოდ სახმარი სამზარეულო ჭურჭელია: ბადიები (ანუ ლუთერიები), ორშიმო (ხაპი), კოკები, ჩაფი, ქილები (მომცრო ზომისა).

ბადიები ანუ ლუთერიები (ტაბ. 37, 37ა) აღმოჩენილია №№ 2,12, 13, 16, 20 და 23 ნაგებობებში. №№82, 216-23, 332, 714, 720-4, 441. ეს ჭურჭელი მონაპოვარ მასალაში განსაკუთრებით აღწერის ღირსია. ისინი ძირითადად მოყავისფრო-ლევად გამომწვარი თიხისაა, დაბალია, გარედან მცირედ გაპრიალებული ხაზებით. პირის კიდიდან კი გადმოსადრეული ტუჩია გადმოშვებული.

მათი უმეტესობა ადგილობრივი ნამზადია, თუმცა გავრცელების არეალის მიხედვით მთელ ამიერკავკასიაშია დიდად მიღებული ჭურჭელი და მისი ფორმებიც იმდენად მდგრადია, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე ვრცელდება (დაწყებული ძვ. წ. III-II საუკუნეებიდან ახ. წ. IV-VIII საუკუნეების ჩათვლით. თუმცა განვითარებულ შუასაუკუნეებშიც მზადდება აღნიშნული მოხმარების ჭურჭელი, თავისებური გამოწვით, ფორმისა და შემკობის სხვადასხვა ვარიანტებით. ასეთი ბადიები – საწველელი გვხვდება ადრეფეოდალური ხანით დათარიღებულ ფენებში – უჯარმაში, ბიჭვინთაში, რუსთავში, არმაზისხევში, დმანისში, ურბნისში, მცხეთასი და სხვა (სინაურიძე მ., 1966: ტაბ. IV, V). ურბნისის გამთხრელნი (მ. სინაურიძე, ლ. ჭილაშვილი) ასეთ ჭურჭელს III-IV საუკუნეებს აკუთვნებენ, რომელთა დამზადება ვრცელდება VIII საუკუნემდეც კი. სომხეთში (დვინში) ასეთი ჭურჭელი VII-VIII საუკუნეებით თარიღდება (Кафадарян К., 1952: სურ. 160). ჭერემში ბადიები დათარიღებულია III-IV საუკუნეებით (მამაიაშვილი ნ., 2004: ტაბ. 2). არის VI საუკუნის II ნახევარშიც (მამაიაშვილი ნ., 2004: ტაბ. VI-3; VII-1). გადმოსადრეულტუჩიან ბადიებს ც. ჩიკოიძე თელავის განთხარში ადრეფეოდალურ ხანას აკუთვნებს (ჩიკოიძე ც., 1979: ტაბ. X-4)

ორშიმო (ტაბ. 38) სითხის (დვინის, წყლის) ამოსაღები ჭურჭელია. კლდის მონაპოვარში შემორჩენილია დეტალი: №545. მოვარდისფრო-ჩალისფერი თიხის მრგვალგანიგვეთიანი შვერილი ყურია (ტაფისმაგვარი), რომლის ერთი ბოლო ზეაწეულია და მარყუქივით მოხვეული, შუაში ნათითურისთვის ღიობია. თანმხლებ მასალასთან ერთად, ეს ყურიც ადრეშუასაუკუნეების კუთვნილი უნდა იყოს. ორშიმო მევენახეობის კულტურას უკავშირდება.

კოკები (ტაბ. 39-39ა) №147,566,199, 679,302-392,608 დაფიქსირებულია №№ 5,12,13,16 და 17 ნაგებობებში.

კლასიფიცირებულ მასალაში ორგვარი მოყვანილობისა გვხვდება: ა) მოზრდილი წყლის ჭურჭელი – ოვალურ ტანიანი, მრგვალპირიანი და ძირბრტყელი, ყელს ირგვლივ რელიეფური წიბოს მქონე, უმთავრესად ცალყურაა, მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა; ბ)სამტუჩა – მოზრდილი წყლის ჭურჭელი, სფერულმუცლიანი, ყელწიბოიანი, დაბრტყელებული ტანით. მათაც ემჩნევათ შიგნიდან მჭიდროდ ჭდებული წვრილხაზოვანი “ვარცხნილი” ორნამენტი, ხოლო ყურის მხარზე დაძერწილია თითო ან ორი კოპი. ასეთი ჭურჭელი უმეტესად მოვარდისფრო-ჩალისფერია და გარედან შემკულია შვეული ნაპრიალები ხაზებით. მათი ასაკი V-VI საუკუნეებისაა პარალელური მასალების მოშველიებით. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია რუსთავში, მცხეთაში, დმანისში, ურბნისში; გ) არის ლეგანაცრისფერი თიხის კოკებიც, ყელმოვიწროებული.

ზოგიერთ მათგანს ზემოდან თხელი მოთეთრო ანგობი უსვია. ზურგზე დაძერწილი აქვს ორი კოპი, მათ შორის ერთი – მხარზე. მსგავსი ჭურჭლები ადრეფეოდალური ხანისა.

ჩაფი (ტაბ. 40) ორყურაა ფართოყელიანი დიდი ჭურჭელია, უმთავრესად სითხის (დვინის, წყლის) გადმოსასხმელი და დასაყენებელი.

№860 (23-ე შენობიდან) აღმოჩნდა №23 ნაგებობასა და №23 ორმოში. ყელწიბოიანი, გრეხილყურიანი. ჭურჭელი სამზარეულო დანიშნულებისაა, მოვარდისფრო-მოყავისფრო მტკიცე თიხისა.

ორყურა ჩაფები (ან ქილებიც) ადგილობრივ ნამზადია, რაც თიხის შემადგენლობისა და გამოწვის ხარისხშიც აისახა: ეს უკანასკნელი მონაცრისფროდ, მოყავისფრო-ღეგა ან მოწითალო-მოყავისფრო თიხისგანაა გამომწვარი, მაგრამ დანიშნულებით, ფორმებით და გამოყენების მიმართულებით ეს ჭურჭელი თანხვედრია მეზობელ რეგიონებში გავრცელებული ჭურჭლებისა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ეგზემპლარები კატასტროფის შედეგად ცეცხლში, ხანძარშია მოხვედრილი და დამწვარი ან წარმოების დროს არათანაბარი ტემპერატურის შედეგად არის ჩამუქებული, მაგრამ ფორმები თითქმის იდენტურია; ახასიათებს ფართო და კიდეშესქელებული პირი, ორყურაა, ბრტყელი ყურები ყელს ირგვლივ შემოვლებულ მაღალრელიეფურ წიბოსთანაა მიძერწილი. ასეთი ჭურჭელი დიდი, ტანმსხვილი, ძირისკენ მცირედ შევიწროებული, ზედაპირიც და სარჩულიც ხშირად ირგვლივი მჭიდრო ხაზებითაა დასერილი, მაგრამ ხაზები არცთუ პარალელურია; ყელს ირგვლივი წიბო ზოგჯერ მკვეთრადაა ამოზრდილი, ზოგჯერ – გადაგლუვებულიც, მაგრამ აქ უთუოდ ბრტყელ-ოვალური ყურები ებმის და ყურის ძირში ზოგჯერ დაბრტყელებული კოპი უზის. ტანი მუცლის არეში ფართოა, თანდათან ოდნავ შევიწროებული და ბრტყლად წაკვეთილი განიერი ძირისკენ. მსგავსი ჭურჭელია აღმოჩენილი ურბნისში (სინაურიძე მ., 1966: ტაბ. IX-1, X-1, 3). ასეთი ჭურჭელი პრაქტიკული გამოყენებისაა იყო (ორი ყურის გამო ადვილი ასაწევია) და ხანგრძლივად იწარმოებოდა კიდევ დროის მანძილზე. გამთხრელები მათ წარმოებას IV-VI საუკუნეებს მიაკუთვნებენ (სამთავროსა და არმაზისხევის კულტურული ფენების გათვალისწინების გამო), ხოლო “ჯვრისებური” ნიშნების დატანას (ყურზე) VII საუკუნის შემდგომ ხანას უკავშირებენ, როცა ჯვრის ღერძის დაგრძელება ხდება (ურბნისი, ლოჭინი, უჯარმა, მცხეთა).

ქილები, დერგები (ტაბ. 41; 41ა; 41ბ) – №№ 3, 6, 8, 572-574, 607, 196, 613, 529, 534, 646, 414, 395, 474, 47-59; 397

ქილები – ნავენახარის ნამოსახლარის მასალაში დიდ-პატარა ზომისაა და ყველაზე მრავალრიცხოვანიც. ეს არის პირმოყრილი და სფერულმუცლიანი ქილები, კიდემოვიწროებული და ძირბრტყელი ჭურჭელი მრავალგვარი გამოყენებით. ზოგს კიდევ მცირედ აქვს გადაწეული, სადა ორნამენტით შემკული: გაშლილი ტალღოვანი ხაზია ან ირგვლივ ჭდეული ფოსოების რიგია. მათი უმრავლესობა -

ა) პირველ ჯგუფში გაერთიანებული დერგები გამომწვარია მოვარდისფრო-ჩაღისფრად და მცირედ არის შემკული არათანაბარი, შეეული, ნაპრიალები ხაზებით. ჭურჭლის სარჩულზე ჩანს განივი წვრილხაზოვანი (ჩარხისეული) “სავარცხლისებური” ხაზები, რაც მათ ადრეშუასაუკუნეების წარმოებაზე მოგვანიშნებს. ამავე ჯგუფს ეკუთვნის მოყავისფრო თიხის ქილებიც, მოტეხილი ყურის ნაშთით ან უყურო, სფერულმუცლიანი, პირმოყრილი, უყელო, მაგრამ მათ არ უჩანთ ცეცხლზე ხმარების კვალი. ეს სამზარეულოში, თაროზე სადგამი ჭურჭელია. ქილები ასევე დიდი ზომისაა, უყურო მარცვლეულის ან ბლანტი სითხის შესანახი.

ეს ჭურჭელი ტიპურია ადრეშუასაუკუნეებში დამზადებული ისეთივე ჭურჭლებისა, რომლებიც მრავლადაა აღმოჩენილი: რუსთავის ნაქალაქარზე (IV-V სს) (რუსთავი, 1998: II, ტ. XXX-9, 11); ურბნისში (ჭილაშვილი ლ., 1964: ტაბ. XXX-5; სინაურიძე მ., 1966: ტაბ. VIII, გვ. 49), ჭერემში (მამაიაშვილი ნ., 2004: ტაბ. VIII, 1). ასეთი დიდი ჭურჭელი ურბნისში VI-VIII საუკუნეების ფენაშიცაა დადასტურებული, რომელიც მონეტით თარიღდება (ჭილაშვილი ლ., 1964: გვ. 94-97).

ბ) მეორე ჯგუფის სამზარეულო ქილები ღეგა-ყავისფერი ან ღეგა-მოწითალო თიხისგანაა გამომწვარი, თუმცა ფორმები ჭურჭლისა და მარტივად შემკობის

(წიბო, ტალღოვანი ზოლი, მრგვალი ნაჭდევეები) ტექნოლოგია აქაც რჩება. მათ არ ემჩნევათ ცეცხლზე გამოყენების კვალი, თუმცა ნახანძრავი კია; ამდენად ეს ჯგუფი სამზარეულოში, თაროზე სადგამი, ანუ უცეცხლოდ სახმარ ჭურჭლად მიგვაჩნია. ასეთი დიდი ჭურჭელი ურბნისში VI-VIII საუკუნეების ფენაშია დაასტურებული (რომელიც მონეტით თარიღდება) (ჭილაშვილი ლ., 1964: გვ. 94-97).

სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი

ქვევრები (Pithoi) (ტაბ. 42-42ა) №№ 383, 632; 656; 659; 382 აღმოჩენილია ნაგებობა №№ 2,15,16,17 და ნაგებობებს გარეთ კულტურულ ფენებში. ორ შემთხვევაში ქვევრი სამარხის კონსტრუქციებში არის გამოყენებული (სამარხები №№ 21 და 23). ისინი წარმოადგენენ დიდ საღვინე ჭურჭელს, მათში ჩანს ორგვარი ფორმა: ა) მსხლისებური ტანისა, უყელო; ირგვლივი თხელწიბოიანი რკალებით შემკული, მოწითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა; ზოგს ბრტყელი ბაკო აქვს. ბ) სფერულმუცლიანი მოყავისფრო თიხისა, უყელო. ირგვლივ შემკული მჭიდროდ მიჯრილი რკალებით, “თოკური” ორნამენტით (ნათითურებჭდეული).

ქოცო (small pithos) – მომცრო ქვევრი (ტაბ. 43; 43 ა) №№ 14; 108-205; აღმოჩენილია №2,5,12,16 ნაგებობებში. მსხლისებური ტანით, მოყავისფრო თიხისა, დაბალყელიანი, სადა.

ასეთი ჭურჭლები გვიანანტიკური ადრეშუასაუკუნეების ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი.

დიდი ზომის სამეურნეო მოხმარების ჭურჭელს უყელო ფორმები აქვს, მხარგაშლილია და ირგვლივი მჭიდროდ „გრეხილი“ რგალები ან რელიეფური სადა წიბოები აქვს. ქვევრები არის ორგვარი მოყვანილობისა: ა) სფერულმუცლიანი, უყელო და მცირედ პირგადაწეული, მჭიდროდ, ერთმანეთთან მიჯრით განლაგებული რელიეფური რგალები „თოკურად“ გრეხილია ნაჭდევი ირიბი ნათითურებით. ბ) არის უყელო, მაგრამ მხარგაშლილი, ძირისკენ ტანმოვიწროებული ქვევრები, დერგები, ძირბრტყელი და ბაკობრტყელი.

მსგავსი ჭურჭლები აღმოჩნდა ჭორატისა (ახალციხის რაიონი) და სანაცრეების ნამოსახლარებზე (სოფ. საკირე, ბორჯომის რაიონი). მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი შემოსაზღვრება II – VIII საუკუნეებით.

სამეურნეო და საოჯახო მოწყობილობა

კეცი (ტაბ. 44) №555 აღმოჩნდა №16 ნაგებობაში. უმთავრესად ტლანქი თიხისაა, მსხვილმარცვლოვანი და უხეში ნაკეთები, მოწითალო-მოყვითალო თიხისაგან ხელით ნაძერწი. მაგრამ არის სწორი პირ-კედელგანიერი (აღბათ სწორკუთხოვანი ძირით) მოვარდისფრო თიხისა, უკეთ გამომწვარი.

ჭრაქი (თიხის) № 308 (ტაბ.45) №12 ნაგებობიდან. იგი ხელით ნაძერწია, მოყავისფრო მინარევებიანი თიხისა. ლამბაქისებური, ფართო გამოყვანილ ფეხზე დგას. საფიქრებელია, რომ ეს სანათი ზეთისთვის და მასში ჩადებული პატრუქისთვის არის მოწყობილი. გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში ლამბაქისებური ფეხიანი ჭრაქები ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ისინი ხელით ნაძერწია და ტუჩთან კიდეშებოლილი და მიტყლეტილია – პატრუქის გასამაგრებლად. ჭრაქი სადაა, წელზე შემოსდევს პროფილირებული რელიეფური ნაწიბური. ცილინდრული ფეხი ზოგჯერ ამოღრუებულია. არის რამდენიმე ნატეხი უქუსლო, გულისებური ფორმის ჭრაქებისაც. ნავენახარის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ფინჯანისებური ჭრაქი ტიპოლოგიურად მიეკუთვნება გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის ნაწარმს (IV-V სს). იგი მსგავსია ლოჭინის, ურბნისის, თრიალეთის ჭრაქებისა (V-VII

სს). ფეხიანი ფინჯანისებური ჭრაქები აღმოჩენილია აგრეთვე ამიერკავკასიის მეზობელ ქვეყნებში.

წითელლაკიანი ჭრაქის ფრაგმენტები (ტაბ. 46,46ა) № 689 - 11 ფრაგმენტი; აქედან 5 ფრაგმენტისაგან აღდგა დისკოს ანუ ფარაკის ცენტრალური ნაწილი; 4 მცირე ფრაგმენტი კედლების და 2 ფრაგმენტი ძირ-კედლის. ძირი ბრტყელია, გამოყვანილი. ფარაკზე შემორჩენილია პეგასოსის გამოსახულება; აკლია თავი და წინა მარცხენა ფეხის ნაწილი, აგრეთვე ფრთების ბოლოები. ფრთები ბუმბულების ორი რიგითაა გამოსახული. კუდი დაღარულია. შემორჩენილია ცენტრალური ნახვრეტი ზეთის ჩასასხმელად. საღებავი მუქი წითელია, ლუქისფერი. თიხა მოყავისფროა, კარგად განლექილი.

ფარაკზე ზეთის ჩასასხმელი ნახვრეტი (საზეთე) და უფრო მცირე ზომის ნახვრეტი ნემსისთვის. ამგვარი ჭრაქები მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში იწარმოებოდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. ჭრაქებზე დიდმა მოთხოვნილებამ გამოიწვია სპეციალიზებული სახელოსნოების წარმოშობა ისეთ მსხვილ ცენტრებში, როგორიცაა ეფესო, პერგამონი, სამოსი, ათენი, რომი, კართაგენი, ალექსანდრია და სხვ.

ნიმუში ყალიბშია დამზადებული. მიეკუთვნება რომაული ტიპის ჭრაქებს. მის დათარიღებას აძნელებს ფრაგმენტულობა – აკლია ისეთი ძირითადი დამათარიღებელი ელემენტი, როგორიცაა საპატრუქე. დათარიღება ვერც მეორე განმსაზღვრელი ელემენტის – ორნამენტის საფუძველზე მოხერხდა; ვერ მოვიძიეთ ანალოგია ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენში ჭრაქები ჯერ კიდევ ადრეანტიკური ხანის ძეგლებზე იჩენს თავს, თუმცა არცთუ ისე დიდი რაოდენობით. სიმაგრის ნამოსახლარზე აღმოჩენილია ძვ.წ. VI ს-ის იონიური ჭრაქები (მიქელაძე თ. 1978: გვ. 67, ტაბ. XIV).

რამდენიმე იმპორტული ჭრაქის ფრაგმენტი დაფიქსირებული ვანის ნაქალაქარის გვიანელინისტური ხანის ფენებში. ორიოდე ფრაგმენტი ოჩამჩირის და ეშერის ნამოსახლარებისა და ნოქალაქევის ელინისტური ხანის ფენებში (კაჭარავა დ. 1972: გვ. 146; ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ა., გვინჩიძე გ. 1984: გვ. 72; Шамда Г.К., 1980: с. 39, табл. IV).

კვაშტის ძვ.წ. V ს-ის ნამოსახლარიდან აღგილობრივი ჭრაქის ერთი ფრაგმენტი არის ცნობილი (კახიძე ა., მამულაძე შ., 1993: გვ. 69).

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილია რომაული ხანის ბრინჯაოსა და თიხის ჭრაქები (ებრაღიძე ტ., 2005: გვ. 53-66).

გვიანტიკური ხანის ძეგლებიდან დიდი პიტიუნტის ჭრაქები საგანგებოდაა შესწავლილი (კიდურაძე ნ., 1977: გვ. 211-222).

კვირისტავეები და გორგოლაჭები (ტაბ. 47-47ა) კვირისტავეები №№ 745,746,748,751 №12 ნაგებობიდან. №16 ნაგებობიდან №767, №22 ნაგებობიდან №713, №23 ნაგებობიდან №717, თხრილებიდან და კულტურული ფენებიდან №753, 763, 49, 772. გამოჭრილი გატეხილი თიხის ჭურჭლისაგან, გახვრეტილი; გვერდები სპეციალურად დამუშავებული და სიმრგვალე მიცემული. არის ძელისგან გამოჭრილიც. გორგოლაჭები ძირითადად კულტურული ფენებიდან არის მოპოვებული №№ 762,769,770,961,963,984,1059,1154,1193,1263 გატეხილი კერამიკული ჭურჭლისგანაა გამოჭრილი. მათი ფუნქცია დაუდგენელია. ისინი გვიანბრინჯაოს ხანიდან იწყებს ფუნქციონირებას, მაგრამ მათი ზუსტი დანიშნულება გაურკვეველია.

მეორე ჯგუფი კერამიკული ნაწარმისა გვიანანტიკური ხანის თიხის ნაწარმია, რომელნიც ძირითადად სამარხებში არის დადასტურებული. ისინი სუფრის ჭურჭლებს წარმოადგენენ და სამარხებში მათი ჩატანების ფაქტები დაკავშირებული უნდა იყოს წარმართულ დაკრძალვის წესთან.

ნაგენახარის სამაროვნის კერამიკა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა.

სამტუჩა ხელაღები (ტაბ. 54, 54ა). აღმოჩენილია №№3, 44, 58 და 87 სამარხებში. ამათგან გამოირჩევა №87 სამარხში აღმოჩენილი სამტუჩა ხელაღა, რომლის ტანი რელიეფური კოპებითაა შემკული. სამტუჩა ხელაღები სუფრის ჭურჭლის მეტად გავრცელებული სახეობაა საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში ელინისტური ხანიდან მოყოლებული. აღმოსავლეთ საქართველოში ისინი არაერთ გვიანანტიკური ხანის ძეგლზეა დაფიქსირებული. რიყიანების ველის სამაროვნის (აღაიანი) № 7 სამარხში მსგავსი ჭურჭელი ახ.წ. I ს-ის შუა ხანებით თარიღდება აქ აღმოჩენილი ვერცხლის მონეტებზე დაყრდნობით (ოროდ II-ის ვერცხლის დრაქმა, ავეუსტუსის ორი დენარი, კალიგულას კესარიული დრაქმა, ახ.წ. 37-38 წწ) (მირიანაშვილი, 1983: გვ. 26-27).

კიდევ ერთი ამგვარი ხელაღა ამავე სამაროვნის №18 სამარხში აღმოჩნდა, ავეუსტუსის ვერცხლის დენარებთან ერთად (ძვ.წ. 2-ახ.წ. 4 წწ). გამთხრელი ამ სამარხს ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით თარიღებს (მირიანაშვილი, 1983: გვ. 42-43).

ამავე დროს ქუშანანთგორის სამაროვანზე მსგავსი სამტუჩა ხელაღები ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება (რამიშვილი რ., 1979: გვ. 64-65).

მსგავსი ჭურჭლები საერთოდ დამახასიათებელი ჩანს შიდა ქართლის ტერიტორიისათვის, კერძოდ, ისინი ცნობილია მცხეთიდან (კალანდაძე ა. 1949: გვ. 259-287; მაკალათია 1928: გვ. 180; Ивашенко 1980: გვ. 78, სურ. 61-65).

თბილისიდან (ქორიძე, 1958: გვ. 74, 79, 83).

აღსანიშნავია სამტუჩა ხელაღა № 87 სამარხიდან, რომლის კორპუსი ბურცობებითაა შემკული. მსგავსი ბურცობებით ჭურჭლის ტანის შემკობა დამახასიათებელია სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ახ.წ. I-III სს-ის ჭურჭლისათვის (Ивашенко, 1980: გვ. 77).

ყელწიბოიანი ხელაღები (ტაბ.55). №№ 1488; 1506 აღმოჩენილია №№ 89 და 94 სამარხებში. მსგავსი ხელაღები ჩნდება ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში და არსებობას განაგრძობენ ახ.წ. I-III სს-ის მანძილზე (ნიკოლაიშვილი 1978; Ивашенко 1980: გვ. 76-77).

დროთა განმავლობაში ამ ტიპის ჭურჭლის ფორმა განიცდის მთელ რიგ ცვლილებებს – ჭურჭელი დაბლდება, პირი ფართოვდება, ქობა ხდება მასიური და წახნაგოვანი, ფართოვდება მუცელი და ძირი (მირიანაშვილი 1983: გვ. 48-50).

ახ.წ. II ს-დან ჭურჭლები უხეშდება, მიძიმდება, მთლიანად ქრება ანგობი.

მრგვალპირიანი ხელაღები (ტაბ. 56), №№1416, 1470, რომელთაც ყური პირის კიდეზე და მხარზე აქვთ მიძერწილი აღმოჩნდა №№56 და 85 სამარხებში. ამ ტიპის ხელაღები საკმაო რაოდენობითაა შიდა ქართლის ტერიტორიაზე, ხოლო ქრონოლოგიურად მოიცავენ დიდ დიაპაზონს ძვ.წ. IV-III სს-ებიდან მოყოლებული ახ.წ. I-IV სს-ებამდე (მირიანაშვილი 1983: გვ. 46-47).

ნაკლული ხელაღები (ტაბ 57), (მხოლოდ კორპუსია შემორჩენილი). №№1390, 1408; 1415, 1463 აღმოჩნდა №№26, 53, 55, 79 სამარხებში. კორპუსის ფორმით შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც სამტუჩაპირიან, ასევე ყელწიბოიან ხელაღების რიცხვს. თარიღზე ძნელია რაიმეს გადაჭრით თქმა. ამათგან ცალკე გამოსაყოფია ხელაღა №26 სამარხიდან, რომელსაც გამოყოფილი, გარეთ გაზიდული ძირი ახასიათებს.

ცალყურა ქოთნები (ტაბ.58,58ა) №№1395, 1409, 1424; 1469, 1654, 1482, 1490, რომლებსაც მხარზე დაძერწილი ყური აქვთ, თუმცა მათ შორის არსებობს გარკვეული განსხვავებანი ზომისა და ტანის გაფორმების მიხედვით. აღმოჩნდა №№41, 54, 57, 84, 87, 89 და 90 სამარხებში. მეტნაკლებად განსხვავებულია მათგან №41 სამარხში აღმოჩენილი მსგავსი ქოთანი,

რომელსაც ყური მიძერწილი აქვს პირის კიდესა და ტანზე. მსგავს ჭურჭელს ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი სპეციალურ ლიტერატურაში, თანაც სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. სე მაგალითად, მ. ივაშჩენკო მათ უმეტესობას II ტიპის ხელაღებში გამოყოფს (Ивашченко 1980: გვ. 77). ხოლო რ. რამიშვილი მრგვალპირა სასმისისებრ ჭურჭლებს უწოდებს (რამიშვილი რ., 1979: გვ. 64). თუ სამთავროს სამაროვნის მასალების მიხედვით მსგავსი ჭურჭლები ზოგადად ახ.წ. I-III სს-ის თარიღდება, ქუშანაანთგორის ანალოგიური თანმხლები მასალების მიხედვით რ. რამიშვილი ახ.წ. III-IV სს-ის დამდეგით ათარიღებს.

ჯამები (ტაბ. 59) ნავენახარის სამაროვანზე სულ სამი ცალითაა წარმოდგენილი. ერთი, პირისკიდე აკეცილი №1391 № 26 სამარხიდან, მეორე, ნაწიბურით კალთაზე, №1503 93 სამარხში, ხოლო მესამე კი №1426 №58 სამარხიდან: პირველი მათგანი მეტად ჩვეულებრივ და გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ანტიკური ხანის მანძილზე მთელ საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მეორეს ანალოგიები ჩვენ ვერ მოვიძიეთ. მესამე ჯამი: პირმოყრილი, ნაწიბურით კალთაზე, ცნობილია კარსნისხევის სამაროვნიდან (ახ.წ. I-III სს.) (აფაქიძე და სხვ., სურ. 93).

განხილვის გარეთ ვტოვებთ კერამიკის ცალკეულ ფრაგმენტებს ორი სამარხიდან (№№89, 93), რომლებიც რაიმე სახის იდენტიფიკაციას არ ექვემდებარებიან.

ამდენად, ნავენახარის სამაროვნის კერამიკა მეტად შეზღუდულია თავისი ასორტიმენტით. საქართველოში გვიანანტიკური ხანის მასალის შესწავლის თანამედროვე დონე ვერ იძლევა მათი ქრონოლოგიურად დანაწევრებული დათარიღების შესაძლებლობას და ამდენად მთელი ეს მასალა ზოგადად ახ.წ. I-III სს-ით უნდა დათარიღდეს ლიტერატურა

საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთები

საკურთხეველი (ტაბ.48,48ა) №№621 და 1568; №№16 და 23 ნაგებობებიდან მოწითალო, უხეში, მსხვილმარცვლოვანი თიხისგანაა გამომწვარი და ცეცხლისგან გადამწვარი, რომლის ბრტყელ ძირს ნამჯის ანაბეჭდებიც კი ეტყობა. საკურთხეველებიდან ერთი სწორკუთხაა, მეორე კი – ნალისებური. გვერდებაკეცილი, ფართო და ბრტყელი ბორტით.

მინიატურული საკურთხეველი (ტაბ. 49,49ა) №1574 №23 ნაგებობის №27 ორმოდან. საკურთხეველს ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი. იგი შედგება ბაზის, საკურთხეველის ოთხწახნაგა ტანისა და გვირგვინისაგან. ბაზა წარმოადგენს ოთხსაფეხურიან, წაკვეთილი პირამიდის ფორმის მოცულობას (სიმაღლე - 3,5სმ.), რომელსაც ზემოთკენ ოდნავ შევიწროვებული ოთხწახნაგა “სვეტი” ემყარება. ბაზის საფეხურები საკმაოდ უხეშად გამოძერწილი ლილვებითაა შედგენილი.

საკუთრივ საკურთხეველი წარმოადგენს ნაკვეთ სწორკუთხა სვეტს (გვერდების სიგანე საფუძველთან - 5სმ. და ზემოთ - 4,5სმ.), რომელზეც ნივთის მთელი აზრობრივი და მხატვრული დატვირთვაა გადატანილი. სვეტის ოთხივე წახნაგი რელიეფური დეკორითაა დაფარული. საკურთხეველის წახნაგები მკაფიოდაა დიფერენცირებული, ფიგურული რელიეფით აქცენტირებული მთავარი ფასადი. სვეტის წახნაგების კუთხეებში გლუვი 3/4 სვეტებია, რომელთა ლილვები წახნაგების მოჩარჩოებას ქმნის. თითოეული წახნაგის არე მოქცეულია ბაზის ზედა საფეხურისა და კუთხის სვეტების ლილვისებურ ჩარჩოებში.

საკურთხეველის საფასადო სიბრტყეს (კადრის ზომებია: სიმაღლე- 4,5 სმ., ქვედა ზოლი – 3 სმ. ზედა – 2,5 სმ) მთლიანად ავსებს ფეხზე მდგომი

მამაკაცის ფრონტალური ფიგურა, რომელიც კადრში მჭიდროდაა ჩატედილი. ერთმანეთთან მიტყუებული ფეხების განზე გაშლილი ტერფები მყარად დგას ბაზის ზედა საფეხურზე, თავი პირდაპირ კაპიტელზეა მიბჯენილი. იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი აღორაჯის ქესტით ზემოთაა აღმართული, იდაყვში მოხრილი მარცხენა ხელი წელთან აქვს მიტანილი. ფიგურა მოცულობითადაა გადაწყვეტილი. ბლოკისებური განზოგადებული ფორმების მოცულობა ზედაპირის ჩაწნევით უფრო საგრძნობი ხდება. მოცულობითი მიდგომის მანიშნებელია ისიც, რომ თუმცა რელიეფის ზედაპირი თითქმის არ სცილდება კუთხის სვეტებით შექმნილი წარმოსახვითი სიბრტყის დონეს, ფიგურისათვის მეტი მოცულობითობის მისანიჭებლად მის გარშემო ფონი საგანგებოდაა ჩადრმავებული. გამოსახულების მინიატურული ზომების მიუხედავად, მამაკაცის ფიგურა ერთიან მოცულობით ფორმას წარმოადგენს. ფორმების განზოგადებასთან ერთად, ოსტატს აშკარად ეტყობა დეტალების კონკრეტიზაციის სურვილი. რელიეფური ზედაპირის დაზიანება, მართალია, ართულებს დეტალების შესახებ მსჯელობას, მაგრამ კოსტიუმის საერთო ხასიათი კარგად განირჩევა. მამაკაცს მოსავს მუხლზემოთა მოკლე კაბა, სწორი ჰორიზონტალური ქობით, წელთან ოდნავ შევიწროვებული და მუხლს ზემოთ ოდნავ გაფართოებული. კაბის ფართო ქობაზე მკრთალად განირჩევა პარალელური ვერტიკალური ჩანაჭდეების მწკრივი. მარჯვენა მხართან შეინიშნება მხრის მოხაზულობის მიხედვით ჩატრილი ხაზი, რომელიც, შესაძლოა, ზედა უსახელო სამოსელს მიანიშნებდეს (ჯაჭვის პერანგის მსგავსს). ეს დეტალი გვახსენებს საბრძოლო სამოსელს, რომელიც გავრცელებული იყო რომაულ და პართულ სამყაროში და რომლის არაერთი ნიმუშია შემონახული რომაულ და პართულ რელიეფებზე. მინიატურული, ამასთანავე უკიდურესად პირობითი, თანაც საკმაოდ დაზიანებული რელიეფი ამ ეტაპზე უფრო ზუსტი განსაზღვრის საშუალებას არ გვაძლევს. განზოგადებულ გამოსახულებაში ოსტატს არ გამორჩენია სამოსის ისეთი დეტალი, როგორიცაა ზეადმართულ მკლავზე კარგად გასარჩევი გრძელი სახელოს მაჯის პლასტიკურად ნაჩვენები ფორმა. ეს დეტალი უფრო მკრთალად, მაგრამ მაინც საცნობია წელთან მიტანილ მარცხენა მკლავზეც. რელიეფურ კომპოზიციაში ორი გაუგებარი დეტალია: ფიგურის მარჯვნივ ჩარჩოს მიუყვება ვერტიკალური მოცულობა, რომელიც ნიადაგის ზოლიდან მამაკაცის იდაყვამდე ამოდის, მეორე – ასეთივე მოცულობითი ფორმა, რომელიც იწყება კომპოზიციის მარჯვენა ქვედა კუთხეში წაწვეტილებული ფორმით, შემდეგ რკალური მსხვილი ლილვი შემოწერს ფიგურის შესაბამის ფორმას და მის წელთან მთავრდება.

მამაკაცის თავი ზოგადი მრგვალი ფორმითაა გადმოცემული, იგი პირდაპირ მხრებზეა დასმული, უკისროდ. სახეზე მინიშნებულია მხოლოდ პირის მკრთალი მოხაზულობა, შუბლის ამოწეული ფორმა და ცხვირის მსუბუქი ვერტიკალი. შუბლს ზემოთ კიდევ ერთი ლილვისებური ჰორიზონტალური ფორმაა – თმის მასა ან თავსაბურავი. აქაც ზედაპირის დაზიანება მეტი დაზუსტების საშუალებას არ იძლევა.

საკურთხევლის სამი დანარჩენი წახნაგის შემკულობაში ერთი ორნამენტული სქემაა გამოყენებული. საფასადო მხარის მომიჯნავე ორივე გვერდითი წახნაგი ერთნაირი დეკორითაა დაფარული. განსხვავებაა მხოლოდ ზედაპირის შემამკობელი ნახევარსვეტების რიცხვში: მარჯვენა წახნაგს ოთხი სვეტი ამკობს, მარცხენას – სამი. სვეტების დეკორატიული დამუშავება იდენტურია – სვეტების ზედაპირი დაფარულია პარალელური, ოდნავ წამახვილებული რკალების წყობით, რაც გრეხილი სვეტების შთაბეჭდილებას ქმნის. საკურთხევლის ერთმანეთის მოპირდაპირე წახნაგების იდენტურობას არღვევს ერთგვარი ასიმეტრია, გამოწვეული სვეტების განსხვავებული რიცხვით. ეს

უთუოდ, ოსტატის მიერ შეგნებულად ნახმარი ხერხია. დეკორატიული ნახევარსვეტების ანალოგიურ დამუშავებას ვხვდებით V-VI საუკუნეების ქართული ქვაჯვარების სვეტების დეკორში. ამგვარად, საკურთხეველის გვერდითი წახნაგების დეკორატიული სქემა – ორ გლუვ ღიღვს შორის მოთავსებული გრეხილი სვეტების წყობა არ არის უცხო ადრექრისტიანული ხანის ქართული პლასტიკისათვის.

ზურგის მხარეს საკურთხეველის წახნაგიც ანალოგიური პრინციპითაა შემკული – კონცენტრული პარალელური რკალების წყობით (საკმაოდ დაუდევრად შესრულებული). ოღონდ ამ შემთხვევაში წახნაგის ცენტრში გავლებული ვერტიკალური ღარი ამგვარ ორნამენტულ სქემას პალმის რტოს სტილიზებულ გამოსახულებად გარდაქმნის. პალმის რტოს მოტივი რომაული სამყაროდან ადრექრისტიანულ იკონოგრაფიაში გადმოდის, როგორც ღიღვების, ტრიუმფის სიმბოლო. ამგვარად, თუ სწორია ვარაუდი ამ მოტივის როგორც პალმის რტოს განსაზღვრა, ისეთ წმინდა საგანზე, როგორიც საკურთხეველია, ამ სიმბოლური დატვირთვის მქონე ორნამენტის გამოყენება საკვებით ლოგიკურია.

საკურთხეველის დამაგვირგვინებელი ნაწილია კაპიტელი (h=3,5სმ.). საკურთხეველის არქიტექტონიკაში გარკვეული თანაბარზომიერება შეინიშნება: კაპიტელის ზედა სიბრტყის პერიმეტრი (7X6 სმ.) და მისი სიმაღლე ზუსტად შეესაბამება საკურთხეველის ოთხსაფეხურიანი ბაზის ზომებს. ე.ი. ბაზა და კაპიტელი ორ ერთნაირ მოცულობას წარმოადგენს. კაპიტელის ორი ნაწილი პირობითად ექინად და აბაკად შეიძლება მოვიაზროთ (დორიული სვეტის კაპიტელის ანალოგიით). ექინი – გადაბრუნებული წაკვეთილი პირამიდაა, აბაკა – ჰორიზონტალური ფორმა, შემკული ერთმანეთის მიმართ თავშექცეული სამკუთხედების მწკრივით. კაპიტელის ზურგის მხარე გლუვია, უორნამენტო, რითაც დამატებით ხაზგასმულია მთავარი ფასადის მნიშვნელობა. სამივე წახნაგზე სამ-სამი სამკუთხედი, მათი ზომები კარგადაა შეთანხმებული მართკუთხედის არათანაბარი ზომის გვერდებთან. წახნაგების კუთხეებზე გადასვლა ოსტატურადაა გადაწყვეტილი, დაცულია სამკუთხედების რიგის უწყვეტობა. ამგვარი ორნამენტი – თავშექცეული სამკუთხედების მწკრივი – გავრცელებულია V საუკუნის ქართულ რელიეფებზე (იხ. ბოლნისის სიონის რელიეფური დეკორი და ადრეული შუა საუკუნეების სირიული რელიეფური ფილების ორნამენტული მოტივები).

საკურთხეველის კაპიტელის ზედა სიბრტყეში ამოკვეთილია დაახლოებით 2–2,2 სმ. სიღრმის ფოსო, რომელსაც ზედა სიბრტყიდან 0,5 სმ-ის სიმაღლეზე ამოწეული, ჩაღრმავებული ბუდის მომჩარჩოებელი ვერტიკალური “კედელი”. იგი ხაზს უსვამს საკურთხეველის ამ ნაწილის მნიშვნელობას და სიღრმეს მატებს მას.

სამშენებლო კერამიკა

წარმოდგენილია ორგვარი კრამიტით:

- ა) ბრტყელი – გვერდაკეცილი; ზოგი შეღებილია.
- ბ) ღარიანი – მოწითალო-მოყავისფრო თიხისა.

შენობის დეტალებია – თიხისგან ნაძერწი მორთულობა:

- ა) კარნიზის (ფრიზის) ნატეხი – ღრმა შვეული ღარების მქონე.
- ბ) გორელიეფი – ტოლმელავა “ჯვრის” ერთ-ერთი მელავის ნატეხია, რომელიც კედლის ბრტყელ ზედაპირზე უნდა ყოფილიყო მიკრული.

კრამიტები (ტაბ. 50-50ა) – №3 №1 ნაგებობიდან, №508 №16 ნაგებობიდან, №714 №22 ნაგებობიდან, №780-781 №6 ორმოდან, 784 №1 ორმოდან, 786 №3 ორმოდან, №№797, 798, 801 №2 ორმოდან, №№869-871 II-VII კედლებიდან, №875 III კედლიდან, №885 VI კედელთან, №930 №6 ნაგებობიდან, №993 №9

ნაგებობიდან, №1025 კულტურული ფენიდან, №№1071-1072, 1078, 1160, 1176, 1224, 1279, 1350, 1354, 1541 კულტურული ფენიდან, №1581 №94 სამარხთან. კრამიტები არის ორნაირი ბრტყელი და ღარიანი. ბრტყელი კრამიტები არის სადა, მაღალღობიანი (გვერდაკეცილი) და მოწითალოდ შეღებილიც (ნაწილობრივ). ადრეფეოდალური ხანის მანძილზე – მცხეთის, ურბნისის, კვეტერის, თბილისის კრამიტები მაღალი ბორტით ხასიათდება, არის მოწითალო საღებავით დაფარულიც და ნიშნიანიც. მომდევნო საუკუნეებში ბრტყელი კრამიტების ბორტი დაბლდება და სადა ხდება.

ჯვარი (ტაბ. 51) - №736 აღმოჩნდა №20 ნაგებობის იატაკზე. იგი ბოლოებგაფართოებული ჯვრის ფრაგმენტია.

ეს დეტალი წარმოადგენს ტოლმკლავა ჯვრის ერთ-ერთ მკლავს, გამომწვარს წითელი თიხისგან, რომლის გარე ნაწილი ფართოა, ხოლო ცენტრთან შეერთების კიდე შევიწროებული და მოტეხილი დანარჩენი სამი ფრთისგან.

თიხის ფილა ცხოველების რელიეფური გამოსახულებებით (ტაბ.52, 52ა) №1575 აღმოჩნდა ნამოსახლარის A-35 ნაკვეთში კულტურულ ფენაში. თიხის ფილა გამომწვარია და წარმოადგენს რელიეფური ფრიზის ფრაგმენტს. ფილაზე შემორჩენილია ცხოველების ბარელიეფური გამოსახულებების ორი პორიზონტალური ზოლი. ამ ორ ზოლს შორის ფილის მსუბუქი პროფილირება შეინიშნება (ზედა ფრიზის ფონი თითქოს ოდნავ უფრო ჩაღრმავებულია). ფილის ზედაპირი დაზიანებულია, რის გამოც რელიეფის პლასტიკურ ღირსებებზე მსჯელობა ძნელდება, თუმცა სავსებით ნათელია ფიგურული გამოსახულებების სტილური ნიშნები.

ფილის ზედა ნაწილში შემონახულია ერთ მხარეს (მარჯვნივ) მიმართული ორი ცხოველის ბარელიეფური გამოსახულება. მარცხენა ცხოველია შველი (გამოსახულია მოძრაობაში), მარჯვენა, სავარაუდოდ, ჯიხვი უნდა იყოს (მისი გამოსახულების უმეტესი ნაწილი ჩამოტეხილია). ასეთი ვარაუდის უფლებას მაძლევს ცხოველის მოკეცილი უკანა ფეხების მდებარეობა, ამოზიდული გავა, მკერდთან ოდნავ გასარჩევი დახრილი ხაზი, რომელიც ცხოველის კისრის უკან მობრუნებისას მკერდთან დამახასიათებელ სილუეტს ქმნის. ადრეული შუა საუკუნეების ქართულ რელიეფებზე გავრცელებულია ამგვარი პოზით (დამჯდარი პოზა, უკან მიბრუნებული თავი) წარმოდგენილი ჯიხვების გამოსახულებები (აიაზმის კაპიტელი, ნაღვარევის სტელა, დმანისის ადრეული ეკლესიების რელიეფური დეკორი – VI ს.).

შველის რელიეფის ზედაპირი დაზიანებულია, ამიტომ მისი პლასტიკური დამუშავების შესახებ ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ მთლიანად შემონახულია მისი ფიგურა, ლაკონური სილუეტით, ფორმების ზოგადი ჩვენებით. მისი მოხაზულობა შორეულ ასოციაციას იწვევს უძველეს ქართულ ბრინჯაოს მცირე პლასტიკასთან: ოდნავ დახრილი ზურგის ხაზი, დიაგონალურად ზეადმართული კისრის მთლიანი მოცულობა, წაგრძელებული დრუნჩი.

ცხოველთა ამ ორ გამოსახულებას შორის დარჩენილ ფონზე საკმაოდ დაუდევრად შესრულებული ჯვრისებრი მცენარეული მოტივია. ჯვრის ფუძე შესქელებული ფორმაა, რაც თითქოს ბაზაზე უნდა მიუთითებდეს. ამავე დროს, ვერტიკალური მკლავები (თუ კი ეს ნამდვილად ჯვარია) მკაფიო ფორმას მოკლებულია და ამასთანავე, მისი მარცხენა, ქვემოთკენ ჩამოშვებული “მკლავი” რაღაც გაურკვეველი შესქელებით მთავრდება. შეიძლება დაუშვათ, რომ ეს რელიეფის ამოწნეხვის ან ფილის გამოწვის დროს მიღებული დეფექტია (?).

ფილის ქვედა ზოლზეც ორი ცხოველია, ორივე იმდენად დაზიანებულია, რომ ძნელდება მათი იდენტიფიცირება. სავარაუდოდ, მარცხენა ცხოველი ვერძია (წერილი, გაურკვეველი ფორმის ფეხები, სხეულის პორიზონტალურად გაშლილი მთლიანი მოცულობა), მარჯვენა კი – ტახი (ერთიანი მოცულობით

გადმოცემული სხეულის დაუნაწევრებული მასა, წერილი და მოკლე აპრეზილი კუდი, მოკლე ფეხები). ამ მეორე ცხოველის ზურგზე განიწვევა მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით გამოსახული ფრინველის თითქმის მთლიანად გადაფხეკილი გამოსახულება. შეიძლება გავარჩიოთ ორი წერილი ფეხი, დაგრძელებული ვიწრო სხეული და გრძელი დაკეცილი კუდი, რომელზეც მცირე ჩანაჭდეებით ბუმბულებია აღნიშნული. ფრინველის სხეულზე წერტილოვანი ფაქტურა შეინიშნება (ფარშევანგი?).

თიხის ფილის ეს ფრაგმენტი, უთუოდ, შენობის მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილების ჯგუფს მიეკუთვნება. რელიეფური გამოსახულებები მათზე ამოწნეხვის ტექნიკით სრულდებოდა, რის შემდეგაც ხდებოდა მათი გამოწვა ქურაში. შენობის შემოვლის ამგვარი პრაქტიკა თავის დასაბამს შუამდინერეთიდან იღებს, საიდანაც შემდგომში იგი გარცელდა მთელს ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის ირანში.

უნდა აღინიშნოს, რომ პართულ მასალაში (მაგ. სუზის პართული ფენა) ნაგებობათა ფრაგმენტებს შორის აღმოჩენილია კრამიტის გადახურვის ნაშთები და რელიეფებით შემკული ტერაკოტის აკროტერიები. აქვე ქ. სუზაში მიკვლეულია ტერაკოტის ოსტატთა სახელოსნოები. აღმოჩენილია ტერაკოტის ფირფიტების დიდი რაოდენობა მფარველი ღვთაებების რელიეფური გამოსახულებებით.

ფილები (ტაბ. 53,53ა) №141 – ნაგებობა №10; №539 – ნაგებობა №16, საკურთხეველში. №1329,1347 – კულტურული ფენიდან. ფილები გამომწვარი თიხისაგანაა დამზადებული აქვს მოგრძო ფორმა, ბრტყელია, ცალ მხარეს შემორჩენილი აქვს მცენარეული კვალი. კეცი სქელი, მსხვილი მინარევებით.

ქვა

ნავენახარის ნამოსახლარზე დადასტურდა ასევე სხვადასხვაგვარი ქვებისაგან დამზადებული არტეფაქტები:

1. სამეურნეო იარაღები
2. საბრძოლო იარაღი
3. სამშენებლო
4. სამკაული

არქეოლოგიურ ქვის მასებს შორის გამოირჩევა ნახევრადძვირფასი ქვებისაგან დამზადებული სამკაულები: სარდიონის (cornelian/carnelian/sard), ალმანდინის, აქატის, ქალცედონის, ქარვისა და გიშრის მძივები, საყურისა და ბეჭდის თვლები.

სამეურნეო მოხმარების ქვები

კეერის ქვები (კოხები) (ტაბ.) № 1455 (220ც.) და № 1460 (120ც.) სამარხები №№70 და 76. ბაზალტის ქვისაგან დამზადებული, რომელთაც რომბული ფორმა აქვთ. ისინი ყველა მეტნაკლებად ერთი ზომისაა და ძირითადად გამოიყენებოდა კეერის ხის ნაწილში ჩასარტობად. ქვებს ერთი მხარე გახეხილი აქვთ კეერი გამოიყენებოდა მარცვლეულის გასალეწად. ორივე შემთხვევაში სამარხი გადახურული იყო კეერებით. კეერიანი სამარხები საქართველოში ჩნდება შუა ბრიჯაოს ხანის მიწურულიდან (ძვ.წ. XV ს.) და სულ 16 შემთხვევაა დადასტურებული. ნავენახარის შემთხვევაში ამ სამარხების დათარიღება №76 სამარხში აღმოჩენილი გემიანი ბეჭდის საშუალებით არის შესაძლებელი (ახ.წ. IV ს.)

ხელსაფქვაკები (ტაბ. 61,61ა) - №№ 630,1555 ნაგებობა №16; №812 ორმო №5; კულტურული ფენებიდან და თხრილებიდან №№1074,1552,1553,1554,1556; ხელსაფქვაკები ხასიათდება წრიული ფორმით, ცალი მხარე ბრტყელი, მეორე კი ამოზურცული, პოროვანი ბაზალტისაგან დამზადებული. ცენტრალური

ნაწილი გახერეტილი. ზედაპირზე ნაპირთან სახელურისათვის გაკეთებული ფოსოთი. ხელსაფქვაგები გამოთლილია. ისინი გამოიყენებოდა მარცვლეულის დასაფქვადად.

სასრესები-სანაყები (ტაბ. 62, 62ა) – №97, 99, 100 ნაგებობა №3; №201 ნაგებობა №12; №№ 559, 560 ნაგებობა №16; №897 კულტურული ფენა, B 17 ნაკვეთი. რიყის ქვისა. მოგრძო და ბირთვისებური ფორმისა. მოგრძოს პირი, ხოლო ბირთვისებურს გვედები გაცვეთილი. ამ ტიპის სამეურნეო იარაღი სპეციალურად არის არჩეული მდინარის ნაპირზე. ისინი უძველესი დროიდან გამოიყენება როგორც მარცვლეულის, ასევე მადნების დასანაყად. მოგრძო გამოიყენება როდინში დასანაყად.

საღესები (ტაბ. 63,63ა) – №789 ორმო №3; №№937-938 ორმო №23; №1627 თხრილი 49; №№1013, 1017, 1090 კულტურული ფენებიდან. ნავენახარის ნამოსახლარზე სხვადასხვა ფორმისა და ზომის საღესები არის დადასტურებული; წარმოდგენილია როგორც ოთხკუთხა, პრიზმის მოყვანილობის, ასევე ბრტყელი, მრგვალი, სოლისებური ჭრილით. ემჩნევათ ხანგძლივი გამოყენების კვალი.

საბრძოლო ბირთვები (ტაბ. 64) – №98 ნაგებობა №3; №111,112 ნაგებობა №5; №404 ნაგებობა №16; №931 ნაგებობა №6; №№202, 285 ნაგებობა №12; №376 ნაგებობა №14; №№1168, 1276, 1540 კულტურული ფენებიდან. ისინი ქვიშაქვისა და სხვადასხვა ქანებისაგან არის დამზადებული, აქვთ კარგად მოყვანილი მრგვალი ფორმა ისინი ზომებში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ზოგიერთ მათგანზე კარგად შეიმჩნევა დარტყმის კვალი. ისინი გამოიყენებოდა ბრძოლის დროს კატაპულტის მეშვეობით.

არქიტექტურული დეტალები (ტაბ.65) – №№405, 631, 1562 ნაგებობა №16; №987 სამარხი №94 თავზე; №1560 კულტურული ფენიდან. მასიური, თეთრი კირქვისა და ქვიშაქვისაგან გამოთლილი სფერული ძირგადაჭრილი, აგრეთვე არის მსხლისებური ოვალური ფორმისაც, ერთ-ერთ მათგანს ეტყობა ორნამენტის კვალი. როგორც ჩანს ეს არქიტექტურული დეტალები გამოიყენებოდა ნაგებობათა შესამკობად.

სამკაული

მძივები №1367 სამარხი №10; №1370 სამარხი №11; №1373 სამარხი №14; №1375 სამარხი №15; №1379 სამარხი №16; №1380 სამარხი №18; №1403 სამარხი №51; №1412 სამარხი №54; №1424 სამარხი №56; №1429 სამარხი №59; №1431 სამარხი №50; №1476 სამარხი №72; №1473 სამარხი №85; №1480 სამარხი №87; №1489 სამარხი №89; №№1497-1498 სამარხი №90; №№771 აქატის მძივი და 764 სარდიონის მძივი აღმოჩნდა კულტურულ ფენაში. ნავენახარის სამაროვნებზე და ნამოსახლარზე დადასტურდა სარდიონის, აქატის, ქალცედონის, ქარვისა და გიშრის მძივები.

გიშერი

ცილინდრული (ტაბ. 66) (სამარხი №5, ინვ. №1367 – 2 ცალი; სამარხი №11, ინვ. №1370 – 6 ც.; სამარხი №51, ინვ. №1403 – 13 ც.; სამარხი №61, ინვ. №1440 – 35 ც.), **მარცვლისებური** (ტაბ.66ა) (პირობითად) – ცილინდრულ ფორმას მიახლოებული, ნახერცის ღერძის გასწვრივ წაგრძელებული, ზედაპირი – გამობერილპროფილიანი (სამარხი №5, ინვ. №1367 – 1ც.; სამარხი №10, ინვ. №1368 – 35 ც.; სამარხი №11, ინვ. 1370 – 1 ც.; სამარხი №14, ინვ. №1373 – 7ც.; სამარხი №15, ინვ. №1375 – 10 ც.; სამარხი №18, ინვ. №1380 – 1ც.; სამარხი №56, ინვ. №1423 – 6ც.; სამარხი №89, ინვ. №1489 – 7ც.; სამარხი №90, ინვ. 1498 – 2ც.), **წახნაგებიანი** (ტაბ. 66ბ) (სამარხი №51, ინვ. №1403 – 2ც.; სამარხი №56, ინვ. №1423 – 49ც.).

გიშრის ორი მძივსაკიდი (ტაბ. 66ც) სამარხი №16, ინვ. №1379; სამარხი №61, ინვ. №1440 ე.წ. მსხლისებური ფორმისაა ანუ ბიკონუსური (ზედა კონუსის სიმაღლესთან შედარებით ქვედა კონუსის სიმაღლე მცირეა).

გიშრისგან – ადგილობრივი მასალისგან – ნაკეთები სამკაული განსაკუთრებით პოპულარულია ახ. წ. პირველი საუკუნეების საქართველოში და მრავლადაა ფიქსირებული ამ ხანის ძეგლებზე (რამიშვილი რ. 1979: გვ. 92. ავტორი საყურეებს „წიწიბოსებრს“ უწოდებს).

მათ რიცხვს ნავენახარის სამაროვანიც ემატება.

აქატის მძივი (ტაბ. 66დ) – № 771 კულტურული ფენიდან. ცილინდრული ფორმის, დამზადებულია ფერადი აქატისაგან. ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი.

თორმეტწახნაგა სარდიონის მძივები (ტაბ.67) №1404 სამარხი №53; სამი მძივი ოთხკუთხა მოყვანილობის, დაწახნაგებული, დამზადებულია გამჭვირვალე, მუქი შინდისფერი სარდიონისაგან. მსგავსი მძივები ფართოდაა გავრცელებული, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. საქართველოში ისინი გვხვდება სამთავროს №№89, 136, 144, 348 სამარხებში, ასევე ბორში და სუფსაში (Ивашенко М., 1980: გვ. 130-131). ასეთი მძივები ხერსონესში (ჩრდილო შავიზღვისპირეთი) ნახაია მონეტებთან ერთად, რაც საშუალებას იძლევა, რომ ისინი ახ. წ. I-IV სს. დათარიღდეს.

ბეჭდებისა და საყურეების ნახევრად ძვირფასი თვლები ლითონის მასალებთან ერთად იქნება განხილული.

მინა

ნავენახარის ნამოსახლარზე მინა წარმოდგენილია ჭურჭლებისა და მძივების სახით. სალათისფერი, მოლურჯო, ცისფერი და უფერო მინის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ფაცეტებიანი მინის ჭურჭლის ნატეხი (ტაბ.68) – №768 აღმოჩნდა კულტურულ ფენაში C 21 d2 ნაკვეთში. ღია მწვანე ფერის მინისა. სქელკედლიანი, ოვალური ფაცეტებით დამზადების ტექნიკის მიხედვით ფაცეტები შიგნით არის ჩატყელებილი. იგი სუფრის ჭურჭლის ნატეხი უნდა იყოს. ანალოგიური ჭურჭელი აღმოჩენილია ჭერემში I უბნის №4 სამარხში. დათარიღებულია IV საუკუნის II ნახევრით. ჭურჭელი სირიულია და ღურა-ვეროპისის E ჯგუფის ფიალებთან დგას ახლოს. (მამიაშვილი ნ., 2004: გვ. 32, ტაბ.X-90; საგინაშვილი მ., 1998).

სანელსაცხებლე (ტაბ.69,69ა) – №744 ნაგებობა №9; №758 ნაგებობა №1; №1417 სამარხი №56; №1441 სამარხი №61; №1445 სამარხი №62; დამზადებულია მწვანე და უფერო მინისაგან. ისინი ძირითადად საპირფარეშო დანიშნულების ჭურჭლებია. მინიატურული სანელსაცხებლე №56 სამარხიდან (№1441). მსგავსი ჭურჭლები დადასტურებულია ურბნისის სამარხებში რომელნიც თანმხლებ მასალებთან ერთად ახ.წ. I საუკუნით თარიღდება (საგინაშვილი მ., 1970: გვ. 20), მცხეთაში სამთავროს სამარხებში (IV-V სს.) რუსთავის მარჯვენა ნაპირის სამაროვანზე, სადაც ისინი III-IV სს. თარიღდება (ჩხატარაშვილი მ., 1978: გვ. 10-11). საერთოდ, სანელსაცხებლე დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ჭურჭელია IV-V საუკუნეთა სამთავროს სამარხებში ერთი ცალია აღმოჩენილი და გადმონაშთის ხასიათს ატარებს (უგრელიძე ნ., 1967: გვ. 40).

მინისებური პასტის მძივები (ტაბ.70-70დ) – გაუმჭვირვალე მინის ანუ ე.წ. პასტის მძივები იმეორებენ ზემოდასახელებულ ფორმებს; შედარებით ფართოა ფერების სპექტრი – გარდა ზემოაღნიშნულისა, დასტურდება ღია: ყვითელი, თეთრი-მორუხო (ან პირიქით), რუხი, მოყავისფრო, აგრეთვე, პოლიქრომიული ნიმუშები (სამარხი №5, ინვ. №1367; სამარხი №15, ინვ. №1375; სამარხი №16, ინვ. №1379; სამარხი №18, ინვ. №1380; სამარხი №23, ინვ. №1383; სამარხი №51,

ინგ. №1403; სამარხი №56, ინგ. №1423; სამარხი №60, ინგ. №1431; სამარხი №61, ინგ. №1440, სამარხი №87, ინგ. №1480; სამარხი №90, ინგ. №1499; განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. მოზაიკური ("ხალჩისებრი") მძივები (სამარხი №87, ინგ. №1480). მსგავსი ნიმუშები ცნობილია როგორც ელინისტური ხანის, ისე ახ. წ. პირველი საუკუნეების ძეგლებიდან (მაგალითად, კლდეეთი) (დომთათიძე გ., 1955: გვ. 62-64, ტაბ. III 7-8).

მძივები (ტაბ.71,71ა,71ბ) – №1363 სამარხი №1; №1367 სამარხი №5; №1376 სამარხი №15; №704 №1379 სამარხი №16; №1380 სამარხი №18; №1411 სამარხი №54; №1431 სამარხი №60; №1440 სამარხი №61; №1443 სამარხი №62; №1472 სამარხი №85; №1480 სამარხი №87; №1484 სამარხი №88; №1500 სამარხი №90; №1504 სამარხი №93. ისინი დამზადებულია სხვადასხვა ფერის მინისაგან განსხვავებული ზომისა და ფორმის გლუვი და დაღარული ზედაპირით. დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით ისინი ჩამოსხმულია. აღსანიშნავია ოქროთი დაფერილი მინის მძივები №54 სამარხიდან. თანმხლებ ინვენტართან ერთად ზოგადად ისინი გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების პერიოდით თარიღდება.

ლითონი

ნაგენახარის ნამოსახლარსა და სამაროვნებზე ლითონის 94 ნივთი აღმოჩნდა. აქედან ძირითადი სამარხეულ ინვენტარზე მოდის (85 ერთეული) და ძირითადად სამკაულს წარმოადგენს. ნაგებობებსა და კულტურულ ფენებში ნაპოვნია ლითონის 9 სამეურნეო, საბრძოლო და საოჯახო იარაღები. სამკაულებში ლითონი გვხვდება, როგორც ცალკე ისე ნახევრადძვირფასს ქვებთან და მინასთან ერთად. ერთი შემთხვევაა მინის მძივების ოქროთი დაფერვისა.

ნაგენახარის სამაროვანზე მხოლოდ 37 სამარხში დადასტურდა ლითონის სამკაულების აღმოჩენის შემთხვევები. ესენია სხვადასხვა სახის საყურეები, მძივები, სამაჯურები, ბეჭდები, ბალოები. აგრეთვე, ბრინჯაოს საკიდი და ოქროს ფირფიტა-გარსაკრავი.

საყურეები აღმოჩნდა №№10, 14, 16, 25, 26, 31, 54, 55, 58, 61, 62, 64, 83, 89, 90 სამარხებში. წარმოდგენილია 24 ერთეულის სახით (მათ შორის, სავარაუდოდ, 5 წყვილია): 2 ცალი ოქროსია, 10 – ვერცხლის, 12 – ბრინჯაოსი.

საყურეები მრავალსახოვნებით გამოირჩევა, მიუხედავად შედარებით შეზღუდული რაოდენობისა, გამოიყოფა შემდეგი (შვიდი ტიპი):

I. საყურე-რგოლები.

II. მტევნისებურსაკიდიანი საყურეები.

III. ბურთულებიან-რგოლიანი საყურე.

IV. მოძრავსაკიდიანი საყურე (პირობითად, საყურე ნაკლულია).

V. საყურეები პირამიდისებური დაბოლოებით.

VI. ღერძზე ასხმული საკიდიანი (ანუ რგოლოვან-ღეროვანი) საყურე.

VII. თვალბუდიანი საყურეები.

I. საყურე-რგოლები ვერცხლისა (ტაბ.72) სამარხი №26, ინგ. №1389 – წყვილი; სამარხი №62, ინგ. №1444-I - 1 ცალი, 2 ფრაგმენტის სახით; სამარხი №83, ინგ. №1467 - 1 ცალი ან ბრინჯაოსი სამარხი №14, ინგ. №1371, 1372 - სავარაუდოდ, წყვილი; სამარხი №54, ინგ. №1413 - წყვილი; სამარხი №55, ინგ. №1414 - წყვილი; სამარხი №58, ინგ. №1427 - წყვილი; სამარხი №64, ინგ. №1448 - 1 ცალი; სამარხი №89, ინგ. №1485 - 1 ცალი. №64 სამარხში აღმოჩენილი საყურის ლითონის ზუსტი განსაზღვრა ვიზუალურად ვერ ხერხდება. გამორიცხული არ არის საყურე ვერცხლისაა, რაზეც მიუთითებს ტექნიკური ხერხების ხასიათი - ბურთულის მირჩილება და სხვ.

რგოლები წრიულია (წრიულს მიახლოებული), გახსნილი. შედგენილია მრგვალგანიკვეთიანი ღეროსგან. ერთ შემთხვევაში (ინგ. №1444-I) ღერო

ოვალურგანიკვეთიანია. ორ ნიმუშზე ბოლოები დავიწროებულია (ინვ. №1371; 1389 - წვეტილიდან ერთზე, მეორეზე ბოლოები შემორჩენილი არ არის), ერთზე (ინვ. №1485) - მცირედ შემსხვილებული. რგოლები სადაა, მხოლოდ ერთ რგოლზე (ინვ. №1448) დარჩილია მცირე ზომის ბურთულა (საყურე-რგოლი დეფორმირებულია და ნაკლული).

შემორჩენილი მთელი ნიმუშების მიხედვით რგოლების დმ 12-16,5 მმ-ს შორის მერყეობს; ღეროს დმ - 1-2 მმ-ს შორის.

მცირე ზომის წრიული გახსნილი საყურე-რგოლების გავრცელების გეოგრაფიული და ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა. რგოლები, როგორც დამოუკიდებელი სამკაული ან რთული შედგენილობის საყურის ერთ-ერთი ელემენტი, საქართველოში ცნობილია ელინისტური პერიოდიდან (გაგოშიძე ი., 1967: გვ. 58-59 ; Гагошидзе Ю., 1979: с. 74; ნადირაძე ჯ., 1975: გვ. 39; თოლორდავა ვ., 1980: გვ. 52; ჭყონია ა., 1981: გვ. 69-70). მათი აღმოჩენის შემთხვევები დასტურდება ახ. წ. I-IV საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის სამარხებში (Ивашенко М., 1980: с. 103-104. ნიკოლაიშვილი ვ., 1978: გვ. 98. მირიანაშვილი ნ., 1983: გვ. 94).

ამდენად, მათი ზუსტი თარიღის განსაზღვრა ვერ ხერხდება.

II. მტევნისებურსაკიდიანი (ტაბ.73) საყურეები ვერცხლისაა. სულ სამია - სამარხებში დაფიქსირდა თითო ცალის სახით (სამარხი №10, ინვ. №1369 - ორი ფრაგმენტი, ნაკლული; სამარხი №25 ინვ. №1385 - ორი ფრაგმენტი, სრული; სამარხი №31, ინვ. №1394 - სამი ფრაგმენტი, სრული). საყურეების ძირითადი შემადგენელი ელემენტებია რგოლი და საკიდი. რგოლი წრიულია (ან წრიულს მიახლოებული), გახსნილი, სადა; მიღებულია მრგვალგანიკვეთიანი ღეროსგან (ერთ შემთხვევაში - ინვ. №1385 - ნაწილობრივ ოთხკუთხაგანიკვეთიანია). საკიდი (გავრცელებული ტერმინოლოგიით - „მტევანი“ ან „კუნწულა“) წარმოადგენს ერთმანეთთან მირჩილულ გარკვეული თანამიმდევრობით (ერთი, სამი, ერთი) ხუთ ბურთულას. საკიდი (ანუ ბურთულები) მირჩილულია რგოლზე. ერთ ნიმუშზე (ინვ. №1385) ზედა „ბურთულა“ - რგოლთან შემაერთებელი დეტალი - დეფორმირებულია, ალბათ, რჩილვის დროს (ცილინდრს ემსგავსება). ამგვარად, საყურეები სტატიკურია, მოძრავი დეტალების გარეშე, განსხვავებით საყურეთა იმ ჯგუფისგან (ბორი, კლდეეთი), (Придик Е., Вып. 34, табл. II, рис. 2.; ლომთათიძე გ., 1957: გვ. 41-42), სადაც ბურთულები, ასევე მტევნებად განლაგებული, მოძრავად - ყუნწის მეშვეობითაა დაკავშირებული რგოლთან.

საყურეების ზომებიც მსგავსია: რგოლის დმ - 15 მმ-ია, ღეროს დმ - 2-2,5 მმ.

მტევნისებურსაკიდიანი (ანუ უძრავბურთულებიანი) საყურეების გავრცელების გეოგრაფიული საზღვრები, თავისი მარტივი აგებულების გამო, ფართოა. ასევე დიდია მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი (მარტივი სამკაული შეიძლება დამოუკიდებლად წარმოქმნილიყო ყველგან და ყოველ დროს). სადა რგოლისა და ბურთულების ერთობლიობით შედგენილი საყურეები ცნობილია ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულის ძეგლებშიც კი. (Becatti J., 1955: ტაბ. XXV, 290ა-ბ; Higgins R., 1961: pl. 12 F).

მსგავსი ნიმუშები დასტურდება აშნაკის (Кинжалов Р., 1961: с. 52, рис. 1) ხერსონესის მონაპოვარში (Пятышева Н., 1959: с. 49-50, табл. XI, рис. 9). ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ კოლექციაში (Marshall F., 1911: p. 292, N2501, pl. LIII).

საქართველოში ყველაზე მრავლად მსგავსი საყურეები დაფიქსირდა სამთავროს ახ. წ. IV ს-ით დათარიღებულ სამარხებში (სამხრეთ უბანი, 1938 წ. ქვისსამარხი №2; 1939 წ. კრამიტსამარხი №81; 1939 წ. ორმოსამარხი №84;

1940 წ. ქვისსამარხი №216; 1939 წ. ქვისსამარხი №140; კრამიტსამარხი №211; 1939 წ. კრამიტსამარხი №134) (ინახება ს. ჯანაშიას სახ. ეროვნულ მუზეუმში). ამ ტიპის საყურეები გავრცელებულია ახ. წ. II-III საუკუნეებშიც (რამიშვილი რ., 1979: გვ. 90).

III. ბურთულებიან-რგოლიანი (ტაბ.74) საყურე ვერცხლისაა, წარმოდგენილია ერთი ნიმუშის სახით (სამარხი №25, ინვ. №1386 - ორი ფრაგმენტი, ნაკლული); შედგება საყურე - რგოლისა და საკიდისგან. საყურე-რგოლი სადაა, გახსნილი(?) - ნაკლულია; გამოყვანილია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან. საკიდი, რომელიც საყურე-რგოლზე იყო დამაგრებული-მირჩილული (ამჟამად ავარდნილია), ასეთი სახისაა: მცირე ზომის რგოლზე მირჩილულია სამი ბურთულა სიმეტრიულად-ერთმანეთისგან თანაბარი ინტერვალის დაშორებით. საყურე-რგოლის დმ - 14 მმ, ღეროს დმ - 2მმ, საკიდის რგოლის დმ - 3მმ, ბურთულას დმ - 2-2,5მმ.

საყურე აგებულია პრინციპით ემსგავსება მტევნისებურსაკიდიან საყურეებს. აღსანიშნავია, რომ სამარხში აღმოჩნდა მტევნისებურსაკიდიან საყურესთან (ინვ. №1385) ერთად (№25 სამარხშივე დაფიქსირდა კიდევ ერთი საყურე, ე.წ. რგოლოვან-ღეროვანი ტიპისა. იხ. ქვემოთ).

ზოგადად, უძრავბურთულიანი საყურეები, შედგენილი მცირე ზომის რგოლისა და ბურთულების („ცვარას“) სხვადასხვა ვარიაციებით, გავრცელებულია ახ. წ. პირველ საუკუნეებში. ხშირია მათი აღმოჩენის შემთხვევები ახ. წ. IV-V საუკუნეებში. (შდრ.: ნიკოლაიშვილი ვ., 1985: გვ. 97. Пяташева Н., 1956: с.51 (№53), табл. XI рис. 3 (პიატიშევა ნ., საყურეს ახ. წ. II-IV სს.-ებით ათარიღებს და მას კავკასიური წარმოშობის ნიმუშად განსაზღვრავს).

IV. „მოძრავსაკიდიანი (ტაბ.75) საყურე ვერცხლისაა, მოოქრული (სამარხი №16, ინვ. №1378 - სამი ფრაგმენტი, ნაკლული). შემორჩენილია საყურე-რგოლის ნაწილი და მასზე მირჩილული მცირე ზომის რგოლი-ყუნწი, რომელზეც, სავარაუდოდ, მოძრავად, ასევე ყუნწით, დამაგრებული იქნებოდა საკიდი. საყურე-რგოლი წრიულადაა მოხრილი, შედგენილია მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან. „ყუნწიც“ წრიულია, ასევე მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან გამოყვანილი. საყურე-რგოლის ღეროს ჭრილში - გადანატეხში ნათლად ჩანს რუხი ფერის (დაჟანგული) ვერცხლი. მოოქრული ზედაპირი ალაგ-ალაგ დაზიანებულია და გამოსჭვივის ასევე რუხი ფერის მასა. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ლითონი განისაზღვრა ოქროდ. შემდგომი დამუშავებისა, აგრეთვე, დაზიანებული ნაწილის მიხედვით დადგინდა, რომ საყურე ვერცხლისაა, ზედაპირმოოქრული. საყურე-რგოლის დმ - 12 მმ, ღეროს დმ - 1,2 მმ, ყუნწის უდიდესი დმ (გარე მხრიდან) 3 მმ, ღეროს დმ - 0,8 მმ.

ნიმუშის ცალკე ტიპად გამოყოფა პირობითია ფრაგმენტულობის გამო. ასევე პირობითია - ზოგადია სახელწოდებაც (მოძრავსაკიდიანი საყურე). შემორჩენილი ფრაგმენტი შემაღგენელი ნაწილი უნდა იყოს რთული აგებულების სამკაულისა, მაგალითად, რგოლოვან-ღეროვანი საყურისა, რომელიც გავრცელებულია ახ. წ. III-IV საუკუნეებში.

V. საყურეები პირამიდისებური (ტაბ.76,76ა) დაბოლოებით ორი ვარიანტითაა წარმოდგენილი (სულ ორი ცალია): სადა და პოლიქრომული.

სადა საყურე ვერცხლისაა (სამარხი №62, ინვ. №1444 - ნაკლული); მოხაზულობით ოვალს უახლოვდება (ზედა ნაწილი აკლია), ქვემოთ შემსხვილებულია და ოთხწახნაგა პირამიდის მსგავსადაა გაფორმებული (წვერით ქვემოთ).

საყურის შემორჩენილი სიმაღლე - 12 მმ; „პირამიდის“ სიმაღლე - 5 მმ, უდიდესი სიგანე - 7-7,5 მმ.

მეორე საყურე ოქროსია (სამარხი №61, ინვ. №1434 - სრულია, ზედა ნაწილი მცირედ დეფორმირებულია): გახსნილი, ქვემოთ ოთხწახნაგა პირამიდის მსგავსად (წვერით ქვემოთ) შემსხვილებულ „რგოლზე“ მჭიდროდ (უძრავად) დამაგრებულია (ღერძის გამოყენებით?) გაუმჭვირვალე მინის (?) ცილინდრული მძივი, მის ქვემოთ, ასევე მჭიდროდ - ოქროს ბუდეში მოთავსებული კონუსური ფორმის ალმანდინის თვალი. ცილინდრული მძივის ზედაპირი მოთეთრო-რუხია (ირიზაციის კვალი?), შიდა ნაწილი - ყავისფერი.

საყურე ოქროს სქელი ფირფიტისგანაა დამზადებული; ზედა ვიწრო ნაწილს წახნაგი გასდევს - პირამიდისებურად შემსხვილებული ქვედა ნაწილის ერთ-ერთი წახნაგის გაგრძელება. ზედაპირი გაპრიალებულია, პირამიდისებური შემსხვილების შიდა მხარე დაუმუშავებელია, ოქრო-მუქი ყვითელი.

საყურის სიმაღლე - 23 მმ, პირამიდისებური შემსხვილების სიგანე (მოპირდაპირე წახნაგებს შორის) - 8 მმ; მძივის სიგრძე - 4 მმ; თვალბუდის დმ - 6 მმ. ამ ტიპის საყურეების აღმოჩენის შემთხვევები ხშირია მცხეთაში, ახ. წ. II-III საუკუნეებით დათარიღებულ სამარხებში; ცნობილია ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ნიმუშები, როგორც სადა, ისე პოლიქრომული (აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., 1955: გვ. 49, 99, 102, 131; ტაბ. LII,4; LIII,2; LXXXVII, 2. Ивашенко М., 1980: с. 103.; აფაქიძე ა., აბდუშელიშვილი მ., ნიკოლაიშვილი ვ. და სხვები, 1981: გვ. 155, 156, სურ. 610, 624; მანჯგალაძე გ., 1985: გვ. 49 (№42, სურ. 253), გვ. 57 (№103-104, სურ. 312-313, 588-589), გვ. 60 (№119-120, სურ. 327-328), გვ. 62(№137), გვ. 86 (№291, სურ.490), გვ. 91 (№323-324, სურ. 518-519).

ბრინჯაოს(?) (ვერცხლის?) საყურეები დადასტურებულია თრიალეთის VIII ყორღანში არსებული ერთ-ერთ ორმოსამარხიდან, რომელიც ბ. კუფტინის მიერ „რომაული და პართული ეპოქების“ სინქრონულადაა მიჩნეული (Куфтин Б., 1941: рис. 27, 7).

ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს საყურეები მომდინარეობს ახალი ქინვალის III საუკუნით დათარიღებული სამარხებიდან, ხოლო ვერცხლისა და ბრინჯაოსი - ქუშნაანთგორის ე. წ. გვიანარმაზული ხანის სამაროვნიდან. (რამიშვილი რ. 1979: გვ. 84, 90 (ავტორი საყურეებს „წიწიბოსებრს“ უწოდებს). განხილული ტიპი ახ. წ. პირველი საუკუნეების მრავალფეროვან საყურეთა შორის თავისებურად გამოიყურება. მისი გავრცელების სივრცე ჯერჯერობით საქართველოთი, უფრო ზუსტად - აღმოსავლეთ საქართველოთი შემოიფარგლა (შესაძლებელია, აშნაკის სამაროვანზე გამოვლენილი ოქროს წვეილი საყურე, შემკული ცვარათი (ახ. წ. II საუკუნე. იხ.: Кинжалов Р., დასახ. ნაშრ., გვ. 52, №№ 6-7, სურ. 1) ფორმის მხრივ ერთგვარი გამოძახილი იყოს საყურეებისა პირამიდისებური დაბოლოებით.

სავარაუდოა, საყურის ამ ტიპის ადგილობრივი წარმოშობა.

VI. ღერძზე ასხმული საკიდიანი (ტაბ.77) ანუ რგოლოვან-ღეროვანი საყურე ოქროსია (სამარხი №25, ინვ. №1384 - ნაკლულია); შემორჩენილია საყურე-რგოლზე დამაგრებული ღერძი მძივის თუ მძივების გარეშე (დაკარგულია). რგოლი არასწორი მოყვანილობისაა (ოვალური?) - ნაწილობრივ დეფორმირებული, გახსნილია, ბოლოები ერთმანეთთან ახლოსაა მისული; შედგენილია სადა, მრგვალგანიკვეთიანი ღეროთი. რგოლზე დამაგრებულია ღერძი უძრავად, ყუნწის მეშვეობით - ყუნწი მჭიდროდ ეკვრის რგოლს (ღეროს). ღერძი შეეუღლადა მიმართული, ბოლოში შემსხვილებული (მძივების შესამაგრებლად). ღერძი და ყუნწი ერთიანია - დამზადებულია მრგვალგანიკვეთიანი ერთი ღეროსგან. ოქრო მუქი ყვითელია, ზედაპირი - გაპრიალებული. საყურე-რგოლის უდიდესი დმ - 14,5 მმ, ღეროს დმ - 1 მმ; ღერძის სიგრძე ყუნწიანად - 7 მმ, ყუნწის დმ - 2 მმ.

დერძზე ასხმული საკიდიანი ანუ რგოლოვან-დეროვანი საყურეები საქართველოში ცნობილია ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევრიდან (არმაზისხევი, სამარხი №2) (აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., გვ. 43, 46, ტაბ. XLVI, 2, 4.), ხოლო ფართოდაა გავრცელებული ახ. წ. IV საუკუნეში (არმაზისხევი, სამთავრო, კარსნისხევი, ზღუდერი, ერწოს ველი - ქუშანაანთგორის სამაროვანი და სხვ.) (აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., გვ. 201-202. დავლიანიძე ც. 1967: გვ. 98.; ნიორაძე გ. 1926, გვ. 17, 29; ნემსაძე გ., 1969: ტაბ. IV.; რამიშვილი რ.: გვ. 88. ხშირია მათი აღმოჩენები მომდევნო ხანაშიც ახ. წ. V-VI სს (აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955: გვ. 202).

VII. თვალბუდიანი საყურეები (ტაბ.77ა) წყვილი (ბრინჯაო, მინა) აღმოჩნდა მხოლოდ ერთ სამარხში (სამარხი №90, ინვ. №1493 – ნაკლულია, ინვ. №1494 – სამი ფრაგმენტი, ნაკლულია), საყურეები მარტივი აგებულებისაა: ბრინჯაოს დეროზე დამაგრებულია ბრინჯაოს ბუდეში მოთავსებული ნუშისებური ფორმის თვალი – იასამნისფერი გამჭვირვალე მინა. დერო მრგვალგანიკვეთიანია, ზემოთ მოხრილია კავისებურად, ქვემოთ ბოლოვდება ბურთულისაგან შედგენილი მტევნით? (დაზიანებულია – ბურთულების გარჩევა ვერ ხერხდება, მხოლოდ ერთ საყურეზეა - №1493 – ნაწილობრივ შემორჩენილი და ამ შემთხვევაშიც გაურკვეველად). ბუდე შედგენილია ბრტყელი ფირფიტისაგან, თარაზულად ეკვრის მინის თვალს; შემორჩენილია ფრაგმენტულად ერთ საყურეზე (№1494). მინის თვალის ზედა ნაწილი თანაბრადგამობერილია; ქვედა – ბრტყელი, ჩანს ირიზაციის კვალი.

შემორჩენილი სიმაღლე – 28 მმ (№1494) და 29 მმ (№1493); დეროს დმ – 1.5 მმ; თვალის ზომებია – 12.5X8 მმ.

თვალბუდეებით შემკული საყურეები ფართოდაა გავრცელებული ელინისტურ ხანასა და შემდგომ, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში (Rfeiler-Lippitz B., 1972: Helf 2, Gaf. 34-35. Deppert-Lippitz B. 1985, Gaf. 28-32) და განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა (Higgins R. 1961: p. 183-185). საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ახ. წ. პირველი საუკუნეების კომპლექსებში არსებული თვალბუდიანი საყურეების მრავალრიცხოვანი ვარიანტებია დაფიქსირებული. ზემოაღწერილ შედარებით მარტივი აგებულების ნიმუშში გამოიყოფა ძირითადი ორი შემადგენელი ელემენტი – დერო (კავი) და ერთი თვალბუდე. მსგავსი თვალბუდეები ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სხვადასხვა სამკაულისა – დიადემების, ყელსაბამების, საყურეებისა; ბუდე – ბრტყელი, ფართო, თარაზული ფირფიტის სახით დამახასიათებელია ახ. წ. II-III საუკუნეების ძეგლებისათვის, როგორცაა მცხეთა, ბორი, კლდეეთი, აშნაკი, ქერსონესი, ოლბია და ა. შ. (აფაქიძე.ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., 1955: ტაბ.VI, 1, 2, 5; LXVI, 24, 2538; LXXX 3,7; სურ.137 6,8,9,10; Придик Е., გვ. 97, ტაბ. II, 8, 11. ლომთათიძე გ. 1957: გვ. 39-40, ტაბ. II, 3; XVI; Кинжалов Р., 1961: с. 52, рис. 1.; Пятшышева Н., 1959: გვ. 37; Marschall F., 1911: №2668; Пятшышева Н., 1956: გვ. 37; Higgins R., 1961: გვ.185, ტაბ. 54,G).

ბეჭდები – ბრინჯაოს, ვერცხლისა და რკინისა. ამასთან, ისინი სამნაირია გემიანი, სადაფარაკიანი და სადათოვლიანი.

ბრინჯაოს ბეჭდები

ბრინჯაოს ბეჭდებიდან ოთხი გემიანია, ოთხი – ფარაკიანი (სამარხი №56, ინვ. 1420; სამარხი №58, ინვ. №1428; სამარხი №76, ინვ. №1461 – ორი ფრაგმენტი, ნაკლული; სამარხი №81, ინვ. №1465 – სამი ფრაგმენტი, ნაკლული; სამარხი №88, ინვ. №1483 – ნაკლული): რკალი შედგენილია ფირფიტისაგან,

თანდათანობით ფართოვდება და გადადის ფარაკში. ერთ ნიმუშზე ფარაკის ნაცვლად რკალზე დამაგრებულია მრგვალი (დისკოსებური) ფირფიტა (სამარხი №69, ინვ. №1451 – ნაკლული). რკალი შედგენილია მრგვალგანიკვეთიანი ღეროსგან.

ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ.78) უფერო, გამჭვირვალე მინის გემით №1420 სამარხი № 56. გემა-ინტალიო მინიატურულია, ოვალური, ოდნავ ამობურცულ პირზე გამოსახულია შურისძიებისა და სამართლიანობის ღვთაება ნემესიდა სტატიკურ პოზაში. ღვთაებას ძირს დაშვებულ მარცხენა ხელში საზომი უჭირავს, მარჯვენა, ზევით აწეულ ხელში - ქიტონის ბოლო. წმინდა, გულმოდგინე ნახელავია, მაგრამ დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა.

ბეჭედს წვრილი რკალი აქვს, რომელიც მხრებისაკენ მნიშვნელოვნად ფართოვდება და მასში ამოჭრილია ოვალური თვალები. თვალი ბუდიდან არ არის ამოწეული. ბეჭედი ძლიერ დაჟანგულია.

ზომები: ინტალიოს - 8 x 6 მმ; ბეჭდის - 18 x 17 მმ.

ნემესიდას გამოსახულებები სხვადასხვა ატრიბუტებით (საზომი, სასწორი, შოლტი) მრავლად გვხვდება რომაულ გემებზე (Furtwängler A., 1896: ტაბ. 55, გამოს. 7333; G. Richter, 1956, ტაბ. XLVII, 371). მათ შორის საქართველოში მოპოვებულ მასალებშიც (ქ. ჯავახიშვილი, 1972, ტაბ. V, 75). ბეჭედი ფორმის მიხედვით ახ. წ. I ს. II ნახევრით თარიღდება (F. Henkel., 1913, ტაბ. XLVI, 1190). ასეთი ფორმის ბეჭდები საქართველოშიც არის ნაპოვნი (ქ. ჯავახიშვილი, ტაბ. X, 13). რომაული. ახ. წ. I ს. II ნახ.

ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. 79) უფერო, გამჭვირვალე მინის გემით № 1421. სამარხი № 56. გემა-ინტალიო მინიატურულია, ოვალური, ოდნავ ამობურცულ პირზე გამოსახულია სიუხვისა და ბედ-იღბლის ღვთაება ფორტუნა, სტატიკურ პოზაში. მარცხენა ზეაწეულ ხელში ქალღმერთს სიუხვის ყანწი უჭირავს, მარჯვენა, ძირს დაშვებული ხელით სატყეს ეყრდნობა. წმინდა ნახელავია, მაგრამ ძალიან სქემატური - ატრიბუტების გარჩევა ძნელდება.

ბეჭედი ფორმით ზუსტად ისეთია, როგორიც № 1420.

ზომები: ინტალიოს - 7 x 5,5 მმ; ბეჭდის - 18 x 17 მმ.

ფორტუნას გამოსახულებები ყველაზე მეტად გავრცელებული სიუჟეტია რომაულ გლიპტიკაში (Walters H., 1926: ტაბ. XXIII, 1728, 1732; Richter G., 1956: XLVII, 366 – 368; Hamburger A., 1968: tab. III, 73, ტაბ. IV, 74, 75; Antike Gemmen in Deutschen Sammlungen, 1872: ტაბ. 241, გამოს. 2603 – 2611; A. Димитрова-Мичева, 1980: გამოსახ. 182, 183 და მრავალი სხვა).

ეს სიუჟეტი საქართველოში აღმოჩენილ გემებზეც გვხვდება (Максимова М., 1950: ტაბ. I, 25; ლორთქიფანიძე მ., 1954: ტაბ. II, 18; ჯავახიშვილი ქ., 1972: ტაბ. I, 6; ტაბ. II, 31; ტაბ. V, 81).

რომაული. ახ. წ. I ს. II ნახ.

ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ.79) უფერო, გამჭვირვალე მინის გემით №1422. სამარხი №56. გემა-ინტალიო ოვალურია, მინიატურული, ოდნავ ამობურცულ ზედაპირზე გამოსახულია ვაჭრობის მფარველი ღვთაება ჰერმესი, სტატიკურ პოზაში: მარცხენა მხარზე გადებული აქვს გველებით შემოხვეული კვერთხი – კადუცეი, მკლავთან, ძირს, მანტიის ბოლო ეშვება; მარჯვენა, წინ გაწეულ ხელში ქისა უჭირავს. ძალიან წმინდა, დაუღუპარი ნახელავია, ატრიბუტების გარჩევა ძნელდება.

ბეჭედი ფორმით ზუსტად ისეთია, როგორიც №№1420, 1421.

ჰერმესის გამოსახულებები ხშირად გვხვდება რომაულ გემებზე (Furtwängler A., 1896: ტაბ. 24, გამოსახ. 2696; Hamburger A., 1968: ტაბ. 24, 26; Димитрова-Милчева A., 1980: №№ 67 – 73 და სხვ.). ეს გამოსახულება არის საქართველოში

მოპოვებულ მასალებშიც (Максимова М., 1950: ტაბ. I, 31; ჯავახიშვილი ქ., 1972: ტაბ. I, 6; ტაბ. II, 31; ტაბ. V, 81).

ბრინჯაოს ბეჭდის (ტაბ.80) ფრაგმენტები და უფერო, გამჭვირვალე მინის გემა №1394-1 სამარხი № 37. გემა-ინტალიო წრიულია, მინიატურული. ბრტყელ პირზე გამოსახულია ოთხფურცელა ყვავილი: თითოეული ფურცელი, თავის მხრივ, ორად არის გაყოფილი. მკაფიოდ არის აღბეჭდილი ყვავილის გული. ინტალიო ჩამოსხმულია. ბეჭდის ფორმის აღდგენა ვერ ხერხდება. ინტალიოს ზომა: d – 7 მმ.

გემა სასანურია, მსგავსი ყვავილები გავრცელებულია სასანურ მცენარეულ ორნამენტში, ლითონის ჭურჭელზე, სტუკურ ფილებზე და სხვა (რამიშვილი ქ., 1972: გვ. 134, 9). მსგავსი გამოსახულება არის სამთავროში, ფ. ბაიერნის მიერ აღმოჩენილ მინის ერთ ინტალიოზე (რამიშვილი ქ., 1972: ტაბ. VIII, 117) და არმაზის ხევში აღმოჩენილ მინის ინტალიოზე. ორივე გემა ჩამოსხმულია (დლორთქიფანიძე მ., 1958: სურ. 63, ტაბ. VI. 30; რამიშვილი ქ., 1972: ტაბ. VII. 93).

ორივე გემა გვიანსასანური ხანით თარიღდება. სასანური. ახ. წ. VI – VII სს.

ფარაკიანი ბეჭდები

ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი. (ტაბ. 81) №1451, სამარხი № 69. ბეჭდის მრგვალგანიკვეთიანი, თანაბარი სისქის რკალზე მირჩილულია წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის მაღალი ფარაკი. ფარაკის წრიულ ზედაპირზე გამოსახულია სტილიზებული ყვავილი (პალმეტი). ბეჭედი გატეხილია. რკალის დიდი ნაწილი აკლია. ინტალიოს ზომები – 6 x 3 მმ.

სტილიზებული ყვავილები ხშირად გვხვდება სასანურ გემებზე (Richard N. Frye, Harper P., 1973: გვ. 101. ND.273, გამოს. D. 273).

არის ასეთი გამოსახულება საქართველოს მასალებშიც (რამიშვილი ქ., დასახ. ნაშრომი, ტაბ. VIII, 99). გამოსახულება და ბეჭდის ფორმა სასანურია. ახ. წ. VI – VII საუკუნისა.

ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი (ტაბ.82) №1388, სამარხი № 25.

ბეჭდის ფარაკი ბრინჯაოსი, რომელსაც შერჩენილი აქვს ბეჭდის თანაბარი სისქის მრგვალგანიკვეთიანი რკალის მცირე ნაწილი. ოვალური ფარაკი თხელი ფირფიტისაგან არის დამზადებული. ბრტყელ პირზე ორი წვრილი, ურთიერთგადამკვეთი ხაზით გამოსახულია მარტივი ჯვარი, მის მკლავებს შორის კი წერტილები. დაჟანგულია. ფარაკის ზომები – 9 x 7 მმ.

ქრისტიანული, შესაძლოა ადგილობრივი. ადრეფეოდალური ხანისა.

ვერცხლის ბეჭდები:

ვერცხლის ბეჭედი (ტაბ.83,83ა) – № 1435, სამარხი № 61.

ვერცხლის ბეჭედი და მუქი ყავისფერი სადრიონის (cornelian/carnelian/sard) გემა. გემა-ინტალიო ოვალურია, ნაპირები და ზურგი უხეშად აქვს დამუშავებული, ატკეცილი ადგილები არ არის შელამაზებული. ოვალის ფორმა უსწორმასწოროა. ოდნავ ამობურცულ ზედაპირზე გამოსახულია სამი ღვთაება სტატიკურ პოზაში. გამოსახულებები ძალიან მინიატურულია, ამავე დროს სქემატური. ატრიბუტების გარჩევა ძნელდება. სამივე ღვთაება ერთნაირად არის შემოსილი: გრძელი ქიტონი წელს ქვემოთ მანტიით არის გადაჭერილი, მარჯვნივ მდგომი ღვთაება მარცხენა ხელით კვერთხს ეყრდნობა, მარჯვენა, წინ გაწვდილ ხელში თავთავი უჭირავს. იგი ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ღვთაება დემეტრა უნდა იყოს. შუაში მდგომ ღვთაებას თავი მარცხნივ აქვს მიბრუნებული, მარცხენა, ძირს დაშვებულ ხელში საზომი უჭირავს, მარჯვენა, ზეაწეულ ხელში – ქიტონის ბოლო. შურისძიებისა და სამართლიანობის ღვთაება ნემესიდა უნდა იყოს;

მარცხნივ მდგომი ღვთაება შუბს (?) ეყრდნობა, მის თავზე თითქოს მუზარადი შეინიშნება. ათენა (?) უნდა იყოს.

ბეჭედი დამზადებულია ვერცხლის ფირფიტისაგან. რკალი შუაში ვიწროა, მხრებისაკენ ფართოვდება. მასზე მირჩილულია დაბალი, ოვალური თვალბუდე. ბეჭედს პატარა, ჰორიზონტალური მხრები აქვს. რკალს გარედან სიგრძეზე წახნაგი დაუყვება. ბეჭედი გატეხილია, რკალის ნაწილი აკლია. ინტალიოს ზომები: 13 x 10 მმ.

რომაულ გემებზე საკმაოდ ხშირად გვხვდება ერთად გამოსახული რამდენიმე ღვთაება (Furtwängler A., ტაბ. 34, გამოსახ. 7164, 7167, 7168; Antike Gemmen. ტაბ. 223, გამოსახ. 2459; Guiraud H., 1988, ტაბ. XXVII, 413; Кибальчич Т., 1910, ტაბ. XII. 386).

ასეთი გამოსახულებები საქართველოს მასალებშიც გვხვდება (ღორთქიფანიძე მ., 1961: ტაბ. IV, 32). ბეჭედი ფორმის მიხედვით კარგად თარიღდება ახ. წ. III საუკუნით (Henkel F., 1913: ტაბ. XLVIII, 1255; ტაბ. XXII, 431 – 433, ტაბ. XLVIII, 1250 – 1270 და მრავალი სხვა). სმ ფორმის ბეჭდები საქართველოს მასალებშიც მრავლად არის (ღორთქიფანიძე მ., I, ტაბ. II, 18, 19; Иващенко М., 1980: გამოსახ. 326, 327, 330, 340, 442 და სხვა).

რომაული. ახ. წ. III ს.

ვერცხლის ბეჭედი (ტაბ.84 №84) №1436, სამარხი № 61. მუქი ყავისფერი სარდიონის (cornelian/carnelian/sard) გემით. გემა-ინტალიო ოვალურია, ოდნავ ამოზურცულ პირზე გამოსახულია ცხოველი (ძაღლი?). გამოსახულება ძალიან სქემატურია.

ბეჭდის რკალი შუაში ვიწროა, მხრებისაკენ ფართოვდება და პატარა, ჰორიზონტალურ მხრებში გადადის. მხრებზე მირჩილულია დაბალი, ოვალური თვალბუდე. რკალს გარედან, მთელ სიგრძეზე წახნაგი დაუყვება.

ზომები: ინტალიოს – 8 x 6 მმ; ბეჭდის – 23 x 23 მმ.

ძაღლის გამოსახულებები ხშირად გვხვდება რომაულ გემებზე (Furtwängler A., 1896: ტაბ. 61, გამოსახ. 8553; Walters H., 1926: ტაბ. XXVIII, 2419; Richter G., 1956: ტაბ. LXI, 518; Кибальчич Т., 1910: ტაბ. XI, 340).

ასეთი გამოსახულება საქართველოში აღმოჩენილ მასალებშიც გვხვდება (ჯავახიშვილი ქ., 1972: ტაბ. I, 8; ტაბ. III, 51, ტაბ. VII, 124).

ბეჭედი ფორმით №1435 ბეჭდის ტიპისა არის, კარგად თარიღდება ახ. წ. III საუკუნით. რომაული.

ვერცხლის ბეჭედი (ტაბ.85,85ა) № 1437, სამარხი № 61. გემა-ინტალიო მოყვითალო-ყავისფერი სარდიონისა (cornelian/carnelian/sard), ექვსწახნაგა, მაღალი მოყვანილობისა (კაბოშონი), ბრტყელ პირზე გამოსახულია კურდღელი, საკმაოდ მოხდენილი კვეთაა.

ბეჭდის რკალი შუაში ვიწროა, მხრებისაკენ ფართოვდება, ზევით ბრტყელდება; მასზე მირჩილული იყო დაბალი თვალბუდე. ბეჭდის მხრები შემკულია პატარა წრეებისაგან შედგენილი რელიეფური ორნამენტით. ბეჭედი რეკრისტალიზებულია, თვალბუდე გატეხილია. თვალი ამოვარდნილია. მხრების ორნამენტი მკაფიოდ არა ჩანს.

ზომები: ინტალიოს – 7 x 5 მმ; ბეჭდის (თვალბუდის გარეშე) – 22 x 19 მმ.

კურდღლის გამოსახულებები გვხვდება რომაულ გემებზე (Димитрова-Милчева А., 1980: გამოსახ. 182, 183; Krug A., 1980: ტაბ. 186, გამოსახ. 418 – 420).

ეს გამოსახულება საქართველოს მასალებშიც არის (Максимова М., 1950: ტაბ. I. 9; ჯავახიშვილი ქ., 1971: ტაბ. VII, 127).

ბეჭდის მხრების ორნამენტით შემკობა ახ. წ. II საუკუნის ბოლოსათვის იწყება. განსაკუთრებით მრავალფეროვანი ორნამენტაცია ბეჭდების მხრებზე ახ. წ. III – IV სს. ჩნდება (Henkel F., 1913: ტაბ. X. 203, 204; ტაბ. XII. 218 – 252

და მრავალი სხვა; ნავენახარის სამაროვნის №1437 ბეჭდის ყველაზე ახლო ანალოგია იხ. Guiraud H., 1988: ტაბ. LXVII. 754 (II-III სს.).

საქართველოს მასალებში ბეჭდები ორნამენტირებული მხრებით არის არმაზის ხევის მდიდრულ სამარხებში (Мцхета. I, 1958: рис. 135, 3, 5; рис. 136, 21, 22. აგრეთვე ურბნისის ნაქალაქარზე და სხვა.).

რომაული. ახ. წ. III ს.

ვერცხლის ბეჭედი (ტაბ.86, 86ა) №1501, სამარხი №93 მოწითალო-ყავისფერი სარდიონის გემით. გემა-ინტალიო ოვალურია, წაკვეთილი კონუსის მოყვანილობისა, კარგად გათლილი და გაპრიალებული. ამობურცულ პირზე გამოსახულია ფანტასტიკური არსება – ზღარბი გრძელი ეკლებითა და პატარა, მოკლე ფეხით, რომელიც ამავე დროს ადამიანის თავს წარმოადგენს. ბეჭედი №1435, 1436 ტიპისაა და ახ. წ. III ს. თარიღდება. ზომები: ინტალიოს – 9 x 8 მმ; ბეჭდის – 21 x 17 მმ.

ფანტასტიკური არსებები – გრილოსები – შედგენილი ადამიანის თავისა და სხვადასხვა ცხოველის ნაწილებისაგან, ძალიან გავრცელებული იყო რომაულ გლიპტიკაში, განსაკუთრებით ახ. წ. II – IV საუკუნეებში (Furtwängler A., 1900: ტაბ. XVI, 17, 19, 33 – 37; Furtwängler A., 1896: გამოსახ. 3339 – 3349; Кибальчич Т., 1910: ტაბ. IX. 301; ლორთქიფანიძე მ., 1967: ტაბ. V, 41, 42).

ეს გამოსახულება საქართველოს მასალებშიც არის (ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., 1981: ტაბ. X, 4).

რომაული. ახ. წ. III ს.

ვერცხლის სადა თელიანი (ტაბ.87,87ა,ბ) ორივე ბეჭედი ერთ სამარხშია ნაპოვნი (სამარხი №61), ორივე თელიანია. ერთი ბეჭდის (ინვ. №1439) რკალი წრიულია; ზედა მხარეს დაუყვება ირგვლივი არამკვეთრი წახნაგი. თვალი აღმანდინისაა, შინდისფერი, ოვალური; ზედა მხარე თანაბრად ამობურცულია, ქვედა მხარე – ბრტყელი. ბუდე ოვალურია, დაბალი. რკალი – 21მმX16მმ; თვალი – 8.5X6.5 მმ; ბუდის სიმაღლე – 1 მმ.

მეორე ბეჭდის (ინვ. №1438 – სამი ფრაგმენტი, ნაკლული) რკალი მხრებისკენ ფართოვდება; ზედა მხარეს დაუყვება ირგვლივი წახნაგი. მხრები ჰორიზონტალურია. თვალი სარდიონისაა, ყავისფერი, გამჭვირვალე, ნუშისებური მოყვანილობის; ზედა მხარე თანაბრად ამობურცულია, ქვედა მხარე – ბრტყელი. ბუდე თვალის ფორმას ესადაგება (ნუშისებურია), რკალის უდიდესი დმ (მხრებთან) – 19 მმ. თვალებუდე – 12მმX7მმ, ბუდის სიმაღლე – 2 მმ (ბუდე ნაკლულია). ბეჭედი ფორმის მიხედვით თარიღდება ახ. წ. III საუკუნით (Henkel F., 1913: Raf. XXII, 431-433; XLVII, 1250-1270).

რკინის ბეჭდები

რკინის ბეჭდები (სამარხი №53, ინვ. №1406; სამარხი №64, ინვ. №1446; სამარხი №66, ინვ. №1450; სამარხი №69, ინვ. №1453; სამარხი №74, ინვ. №1458, 1459; სამარხი №83, ინვ. №1468; სამარხი №85, ინვ. №1474; სამარხი №88, ინვ. №1482; სამარხი №90, ინვ. №1492) ძლიერ დაზიანებულია – დაჟანგულია. ზუსტი ფორმისაა და ზომების დადგენა ვერ ხერხდება.

რკინის ბეჭდის ფრაგმენტი და ყავისფერი სარდიონის (cornelian/carnelian/sard) გემა (ტაბ.88) № 1491. სამარხი № 90. გემა-ინტალიო ოვალურია, ბრტყელ პირზე გამოსახულია არტემიდე ეფესოელი. ეს გამოსახულება არის ძვ. წ. VI საუკუნეში ქალაქ ეფესოში აგებულ არტემიდეს განთქმულ ტაძარში მდგარი ქანდაკების სქემატური ასლი – კოპიო. ღვთაება დგას სტატიკურ პოზაში, გაშლილი ხელებით ჩირაღდნებს ეყრდნობა. გამოსახულება ძალიან სქემატურია.

ბეჭდის ფორმის აღდგენა არ ხერხდება.

ინტალიოს ზომები: 9 x 7 მმ.

არტემიდე ეფესოელის გამოსახულებები ხშირად გვხვდება რომაულ გემებზე (Furtwängler A., 1896: ტაბ. 28, გამოსახ. 3593, 3595; Walters H., 1926: ტაბ. XIX, 1336 – 1339; Richter G., 1971: გამ. №№90 – 92; Antike Gemmen, 872, ტაბ. 188, გამოსახ. 2172, 2173; ტაბ. 201, გამოსახ. 2276, 2277; Cuiraud H., 1988: ტაბ. V, 73; Кибальчич Т., 1910: ტაბ. XI, 340).

ეს გამოსახულება საქართველოში მოპოვებულ გლიპტიკურ მასალაშიც გვხვდება (Макимова М., 1950: ტაბ. I. 38; ჯავახიშვილი ქ., 1972: ტაბ. I, 7; ტაბ. III, 36).

თარიღდება რომაული ხანით ახ. წ. II – III სს.

რკინის ბეჭდის ფრაგმენტი (ტაბ. 89) ყავისფერი სარდონის (cornelian/carnelian/sard) გემა-ინტალიოთი №1406, სამარხი №53. ინტალიოთი ოვალურია, ბრტყელ პირზე გამოსახულია წვერიანი მამაკაცის ნიღაბი პროფილში. მამაკაცს სახის გარშემო ჩახვეული თმა აქვს, თავს უმშვენებს ვიწრო სადა ღიადებმა. სახის გარშემო ჩახვეული თმა დამრეცი ხაზებით არის გამოსახული, კეფაზე კი – სწორი პარალელური ხაზებით. ნაკეთები – ცხვირი და თვალი უხეშად, სქელი სწორი ხაზებით არის გადმოცემული, წინ წამოწეული წვერი კი პატარა მორჩის სახით. კვეთა მკაფიოა, მაგრამ უხეში და სქემატური. ბეჭდისაგან დარჩენილია მხოლოდ დაჟანგული თვალებზე, რომელიც შიგ ბეჭდის რკალშია ამოჭრილი. ზომები: ინტალიოთი – 8 x 6 მმ.

სხვადასხვა ნიღბების გამოსახულებები მრავლად გვხვდება რომაულ გემებზე. რომაული სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით ბეჭედი ახ.წ. III ს. და IV საუკუნის დასაწყისით თარიღდება (Furtwängler A., 1896: ტაბ. 15, 6555, 6556, 6557; Panunuti U., ტაბ. 227, 228; ლორთქიფანიძე მ., 1954: ტაბ. I, 8; ჯავახიშვილი ქ., 1972: ტაბ. V, 76)

სამაჯურები (ტაბ.90,90ა) სულ სამია. ერთი სამაჯური რკინისაა (სამარხი №74, ინგ. №1457 – ოთხი ფრაგმენტი, ნაკლულია), ძლიერ დაზიანებული – დაჟანგული; ფორმისა და ზომების აღდგენა ვერ ხერხდება.

მეორე სამაჯური ბრინჯაოსია (სამარხი №25, ინგ. №1387 – ნაკლულია?), წრიული (წრიულს მიახლოებული – მცირედ დეფორმირებულია), თავებგახსნილი, მრგვალგანიკვეთიანი სამი ღერო (მათული) ერთმანეთზეა დაგრეხილი. სამაჯურთან ერთად სამარხში დადასტურდა ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი ჯვრის გამოსახულებით (ინგ. №1388), რომელიც ზოგადად ადრეული შუასაუკუნეებით დათარიღდა.

მესამე სამაჯური ბრინჯაოსია (სამარხი №69, ინგ. №1452 – ორი ფრაგმენტი, ნაკლულია?), წრიული? (წრიულს მიახლოებული?), გახსნილი; ბოლოები ერთმანეთთან დაკავშირებულია მცირე ზომის კაუჭებით. დამზადებულია მრგვალგანიკვეთიანი ერთიანი ღეროსგან. სამაჯურის დმ – 48 მმ (პირობითია), ღეროს დმ – 1.5 მმ. კაუჭებიან სამაჯურთან ერთად სამარხში დადასტურდა ბრინჯაოს ბეჭედი, გემიანი, სტილიზებული პალმეტის გამოსახულებით, ახ. წ. VI-VII საუკუნეებით დათარიღებული.

ოქროს მიიგები (ტაბ.67) – მილაკები – მხოლოდ ერთ სამარხშია აღმოჩენილი (სამარხი №53, ინგ. №1404 – 3 ცალი, სრული). მილაკები დაღარულია – ირგვლივი ღარები დაუდევრადაა შესრულებული, არამკვეთია (იკითხება ორი – 2 მილაკზე – და ოთხი ღარი); მიღებულია უკვე დაღარული ფირფიტის წრიულად დაკეცვის შედეგად, ბოლოები ერთმანეთზე გადადის (მირჩილული არ არის). სიგრძე – 4,5 მმ, 5მმ, 7 მმ; დმ შესაბამისად – 2მმ; 2,5 მმ, 3 მმ. ოქროს მცირე ზომის მილაკების გავრცელების საზღვრები საკმაოდ დიდია, დაწყებული ძვ.წ. IV საუკუნიდან ახ. წ. პირველი საუკუნეების ჩათვლით (ჭყონია ა. 1981: გვ. 80)

ოქროს ჯაჭვის ფრაგმენტი (ტაბ.91) – №687 ნაგებობა №17 მრგვალგანიკვეთიანი ოქროს ღეროსაგან დამზადებული, ბოლოებში ბჯენილი. შემორჩენილია ორი რგოლი. დამზადებულია წვრილღეროვანი მავთულისაგან.

ოქროს ფირფიტა-გარსაკრავი (ტაბ. 92,92ა) სამკაულთა რიგს მიერკუთვნება პირობითად (სამარხი №56, ინვ. №1418). ფირფიტა მრგვალია, სადა; კიდეები შეკეცილია თანაბრად – უკანა მხარეს ჩანს დანაოჭებული კიდე, რომელიც ზევიდან ეკვრის ბრინჯაოს თხელ ფირფიტას (ადგილზე შემორჩენილია ბრინჯაოს ფირფიტის მხოლოდ მცირე ნაწილი; ხუთი ფრაგმენტი ავარდნილია – ინახება იქვე). ოქრო მუქი ყვითელია, ზედაპირი – გაპრიანებული, მცირედ დეფორმირებული (ჩაჭყლენილი). ბრინჯაოს ფირფიტა იშლება. ოქროს ფირფიტის დმ – 12 მმ (ფირფიტა წრიულად ზუსტადაა შემოკეცილი).

ოქროს ფირფიტასთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს გემიანი ბეჭედი (ინვ. №№1419-1422), რომლებიც ახ. წ. I საუკუნის ნახევრით დათარიღდა.

ბრინჯაოს ირმისგამოსახულებიანი საკიდი. (ტაბ.93) ნავენახარის სამაროვანზე გამოვლენილ სამკაულს შორის განცალკევებით დგას ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ერთი ნიმუში – საკიდი ირმის მოცულობითი ფიგურის სახით (სამარხი №53, ინვ. №1407. აღმოჩნდა მიცვალებულის მარცხენა ბეჭთან). ირმის გამოსახულება სქემატურია. ცალკეული ნაკვთები მოდელირებული არ არის. ირემი წარმოდგენილია მაღალი, სიმეტრიულად განლაგებული და განშტოებული რქებით (ნაკლულია – ჩამოტეხილია რქების ზედა ნაწილი). კისერი მაღალია; სხეული არაპროპორციულად გრძელია, ფეხები – მოკლე. ზურგზე მრგვალი ყუნწია (ირმის სხეულის სიგრძესთან მიმართებით ყუნწის ნახევრის ღერძი პერპენდიკულარულია). ირმის ფიგურა და ყუნწი ერთიანად უნდა იყოს ჩამოსხმული.

სიგრძე – 22მმ; სიმაღლე, შემორჩენილ რქებთან ერთად – 24 მმ, ყუნწის დმ – 8 მმ.

მსგავსი საკიდები საქართველოში ცნობილია ზოგადად ახ. წ. I-III საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებიდან, კერძოდ, კარსნისხევის სამარხი №27-დან (აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. 1978: გვ. 50 (№№94-95), სურ. 263 (საკიდის სიგრძეა 35 მმ; სიმაღლე ყუნწიანად – 20 მმ), 264 (ირმის ფეხები მთავრდება რგოლებით) და მოგვთაკარის №6 სამარხიდან (სიხარულიძე ა., აბუთიძე ა. მოგვთაკარის სამაროვანი. – მცხეთა. ტ. VII. თბილისი, 1985: გვ. 122 (№57), სურ. 672, 681 (საკიდის სიგრძე – 32 მმ; სიმაღლე რქებიანად – 16 მმ). სამაროვნებიდან. კლდეეთში აღმოჩნდა ბრინჯაოს ირმის მცირე ზომის ქანდაკებასთან შედუღებული ბრინჯაოს ზარაკები (ღომთათიძე გ. 1957, გვ. 78-81); მსგავსი საკიდები დადასტურდა აგრეთვე ჟინვალის სამაროვანზე №№153 და 330 სამარხებში, რომლებიც ახ.წ. II საუკუნით არის დათარიღებული (ჩიხლაძე ვ. 2001: გვ. 439, სურ. 433).

აღსანიშნავია, რომ ნავენახარის სამაროვანზე, №53 სამარხში აღმოჩენილ ირმისგამოსახულებიან საკიდთან ერთად დაფიქსირდა ბრინჯაოს ზარაკის ფრაგმენტები (ინვ. №1405). ირმის ქანდაკება, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც არ იყო მხოლოდ წმინდა სამკაულის ფუნქციის მატარებელი; მას, ტრადიციულად ზარაკთან ერთად, რიტუალურ-მაგიური ხასიათი ჰქონდა მინიჭებული (შდრ. წითლანაძე ლ. 1976: გვ. 48-51, ტაბ. XIV).

აბზინდები (ტაბ.94,94ა) – ბრინჯაოსი №№ 1466 სამარხი №83 და №1430 სამარხი №60; ორივე ბაღთა ერთმანეთისაგან განსხვავებულია: ერთი წარმოადგენს ერთრგოლიან, ბოლოებში მოხრილ რგოლს, ხოლო მეორე – სამკომპონენტიან ბაღთას, რომელშიც ორი დეკორატიული რგოლი ერთმანეთთან მოძრავად არის დაკავშირებული. ერთ-ერთ რგოლზე გადაბმის ადგილზე, ასევე მოძრავადაა მიბმული ნემსკავი.

ამ ტიპის ბალთების ზუსტი ანალოგიები არ მოგვეპოვება, თუმცა როგორც მარტივი-ერთგოლიანი, ისე მრავალკომპონენტიანი ბრინჯაოსა და რკინის აბზინდები დიდი რაოდენობით გვხვდება გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების დიდი მცხეთისა (Ивашенко М., 1980: გვ. 130-131) და ჟინვალის (ჩიხლაძე ვ., 1999: გვ. 114-119) სამაროვნებზე, სადაც ისინი მონეტებთან ერთად არის აღმოჩენილი ახ. წ. III-IV სს. თარიღდება.

მონეტა (ტაბ.95,95ა) ვერცხლისა №1471 სამარხი №85, ე. წ. გოტარზე I-ის პართული დრაქმა. d=17,70-20, 20 მმ. წონა=2.74 გ. ავერსზე გამოსახულია მეფის ბიუსტი, მარცხენა პროფილით; გრძელი წვერი პარალელური შევეული ხაზებით არის წარმოდგენილი, რომლის ბოლო თითქოს მონეტის კიდეზეა შეკეცილი; გრძელი თმა, ოდნავ ტალღოვანი ხაზებით, კისრამდეა დაფენილი; დიადემა თავის უკან არის გამონასკეული და მისი სამი ბოლო დაბლა ეშვება; ყელი დაფარულია სამწყება ყელსაბამით; მარცხენა მხართან ოდნავ მოჩანს სამოსის საყელოზე მოყოლებული სამკაული; მსხვილი წერტილების კვალი სახის წინ და თავის ზევით გადაუყვება და მონეტის არეს სანახევროდ ფარავს.

რევერსზე – არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვენა მხრით; გაწვდილ მარჯვენა ხელში მშვილდისარი უჭირავს, რომელის მარჯვნივ განლაგებულ ზედწერილს ორ ნაწილად ყოფს; არშაკის წინ გამოსახულია Ἀ ნიშანი. რევერსის დანარჩენი ნაწილი დაფარულია ბერძნულენოვანი ზედწერილით, წარწერა გაცვეთილია. გოტარზე I მონეტები იბერიის (ქართლის სამეფო) ტერიტორიაზე ფართოდ არის გავრცელებული I საუკუნის მეორე ნახევრიდან IV საუკუნემდე (დუნდუა გ., დუნდუა თ., 2006: გვ. 124 ტაბ. IV-24). ახალი ატრიბუციით იგივე მონეტა მიჩნეულია არტაბან II, ახ. წ. 10-38 წწ. პართულ დრაქმად (სიხარულიძე ა., აბუთიძე ა., 1985: გვ. 120).

იარაღი

სამეურნეო იარაღები ძირითადად დანების სახით არის წარმოდგენილი.

დანა (ტაბ.96,96ა) №№747, 749, 756 ნაგებობა №12; №700 ნაგებობა №16; №760 კულტურული ფენა. ნაწილი ამ ნივთებისა ძლიერ დაუზანგული და კოროზირებულია. №749 წარმოადგენს დანა-სასხლავს. ზურგი ძლიერ მოხრილი, ცალპირღესული. იგი ჭედვით არის დამზადებული. ამ ტიპის დანები ქრონოლოგიურად დიდი ხნის მანძილზე ფუნქციონირებენ და დასათარიღებლად გამოუსადეგარი.

საბრძოლო იარაღი (ტაბ.97) – რკინის ისრისპირი №1397 სამარხი №43; ოთხწახნაგა, ე.წ. პირამიდისებური. იგი ისრისწვერს უფრო წარმოადგენს, რომელიც №43 სამარხის მიცვალებულის მარჯვენა მკლავის ძვალში იყო ჩარჩენილი. მისი ფრაგმენტულობის გამო ვერ მოხერხდა ისრისპირის ტიპის დადგენა.

რკინის სამფრთიანი ისრისპირი დადასტურდა №13 ნაგებობაშიც, რომელიც ცეცხლში იყო მოხვედრილი და მისი შენარჩუნება ვერ მოხერხდა. საზოგადოდ, ამ ტიპის ისრისპირები ტიპურია ადრეშუასაუკუნეების პერიოდისათვის.

სამშენებლო რკინის ღურსმანი (ტაბ.98) №1398, სამარხი №43. ამორფული მოყვანილობის ბრტყელთავიანი, ღერო-ოთხკუთხა განივკვეთიანი, დაუზანგულია. შემორჩენილია ღეროს მცირე ნაწილი. დამზადების ტექნიკის მიხედვით იგი ცხელი ჭედვით არის გამოყვანილი; იგი სამარხში მიცვალებულის მუცლის არეში აღმოჩნდა, ამდენად სამარხში მისი დანიშნულება სრულიად გაუგებარია.

ძვალი

კვირისტავი (ტაბ. 99) №748 ნაგებობა №12; მრგვალი, ნახევარსფერული ოდნავ კონუსის ფორმის, შუაში გახვრეტილი, გვერდნაწილად დაჭიმული. იგი უძველესი დროიდან საყოფაცხოვრებო საქმიანობაში ძაფის დასართავად გამოიყენებოდა. დამზადებულია მასიური ძვლისაგან და გახვრეტილია.

სალამური (ტაბ.100) – №1630 ნაგებობა №12; ძვალი ორ ადგილას სპეციალურად არის გახვრეტილი. ერთი ხვრელი ზემოდან აქვს, ხოლო მეორე ცალ მხარეს გვერდიდან. დამზადებულია სახსროვანი დაბოლოებების მქონე ლულოვანი ძვლისაგან. სავარაუდოდ შესაძლებელია, რომ იგი სალამურის(?) ფუნქციას ასრულებდა. ძვლის სალამურები საქართველოში დადასტურებულია მცხეთაში სამთავროს სამაროვანზე და ბორჯომის რაიონში ბორნიდელეს სამაროვანზე, სადაც ისინი ძვ.წ. I ათასწ. პირველი ნახევრით თარიღდება.

მახათი (ტაბ.101) – №774, ორმო №1; ძვლის მახათი ზედაპირი გაპრიალებული და გლუვი აქვს, დამზადებულია სქელი ლულოვანი ძვლის კედლისაგან.

კოჭები (ტაბ.102) – №№1664; 1665 წვრილფეხა საქონლის კოჭის ძვლები გახვრეტილია და საკიდად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

რქები (ტაბ.103) – №№ 1294, №1631, №54 სამარხის თავზე იყო აღმოჩენილი; №1629 №16 ნაგებობაში.

№1631 ირმის რქის ტოტია, როგორც ჩანს სამარხის თავზე მისი აღმოჩენა დაკრძალვის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული. №1294 ეტეობა დამუშავების კვალი, მასზე ნაჭდევები არის დატანილი.

6.0 ინტერპრეტაცია

ნავენახარის ნამოსახლარის, როგორც არქეოლოგიური ძეგლის ინტერპრეტაციისათვის, აუცილებელია მოპოვებულ მასალებთან ერთად გათვალისწინებული იქნას ძეგლის სპეციფიური მდებარეობა და მისი ხასიათი. სოფ. კლდეში აღმოჩენილი „ნავენახარის“ ნამოსახლარი და სამაროვანი მდებარეობს მდინარეების მტკვრისა და ფოცხოვის შესართავთან, მდ. ფოცხოვის მარჯვენა მხარეს არსებულ ტერასაზე (ტაბ.1; ტაბ. 105). ტერიტორია სრულად აკონტროლებს მდინარეების მტკვრისა და ფოცხოვის ხეობებს, რაც უდაოდ მის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. დღევანდელი მონაცემებით თბილისი-ყარსის სატრანზიტო მაგისტრალი ზედ ძეგლზე გადის, რომელიც ნამოსახლარის ტერიტორიას შუაზე ყოფს. ხოლო თვით ეს ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის არის გამოყენებული. ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო მიწის სამუშაოების შედეგად, არქეოლოგიური ძეგლის ზედაპირთან ახლოს მდებარე ნაწილი (0.3-0.4 მ სიღრმემდე), ძლიერ არის დაზიანებული. კულტურული ფენის დაზიანების გამო ვეღვის ზედაპირზე დიდი რაოდენობით ჩანს თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხები, რაც აადვილებს ძეგლის გავრცელების საზღვრების დადგენას. ძეგლი კომპლექსურია და შედგება ნამოსახლარისა და სამაროვნებისაგან.

“ნავენახარის” ნამოსახლარი წარმოადგენს სტრატეგიადად მრავალფენიან ნამოსახლარს, სადაც კულტურული ფენები გათხრილი ფართობის ტერიტორიაზე სხვადასხვა სიმძლავრით არის შემორჩენილი. ძეგლზე შემორჩენილი ნაგებობების ნაშთები ფრაგმენტულია. გათხრების შედეგად ცხადი გახდა, რომ ნამოსახლარი რამდენჯერმე არის გადამშენებული და დანგრეული, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში მაინც ხდებოდა მისი განახლება. საქმე ისაა, რომ ჩვენს მიერ გათხრილ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა ადრეული ანუ ახ. წ. I-III სს. ნაგებობების ნაშთები. ამ პერიოდის მხოლოდ სამარხები არის შემორჩენილი. ამას შეიძლება ორი

მიზეზი ჰქონდეს: ერთი, რომ ადრეული შენობები დასახლების ცენტრალურ ნაწილში უნდა იყოს და მეორე – გათხრილ ფართობზე ისინი უფრო გვიანდელი შენობებით განადგურდა.

ფაქტია, რომ ნავენახარის ნამოსახლარი ქალაქური ტიპის დასახლებას წარმოადგენს, თავისი გეგმარებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

როგორც იკვეთება, დასახლება წინასწარული დაგეგმარების შედეგადაა წარმოშობილი და არა ქალაქური მშენებლობის შედეგად, როდესაც ჩამოყალიბების შემდგომ ესაღვება მას გზათა ქსელი და კომუნიკაციები. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ ყველა ნაგებობა (გამოვლენილი სახლი, მთლიანად თუ ნაწილობრივ) აბსოლუტური სიზუსტითაა დაქვემდებარებული წინასწარგანზრახულ მიმართულებებს SW-NO და SO-NW მხარეებს და ბუნებრივია, რომ სახლებს შორის შუალედები, ანუ ქუჩებიც ამავე მიმართულებებს ექვემდებარება. ამავე დამხრობას, მცირე გამონაკლისის გარდა, იმეორებს სამარხები (მიცვალებულთა მიმართულება - SW-NO) და მთლიანად ნეკროპოლიც, რომელიც დასახლების შუაგულშია მოქცეული. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ნეკროპოლი დასახლების სტრუქტურისაგან მზღუდავი კედლით უნდა ყოფილიყო განცალკევებული. ასეთი “ბორდიური”-ს ფრაგმენტი გამოვლენილია A25-A26 ნაკვეთებში 10მ-ს სიგრძისა და საშუალოდ 2მ-ის სიგანის სწორხაზოვანი, ყორული წყობით ნაშენი კედლის სახით. მანძილი მასსა და მის ჩრდილო-დასვლეთით ორ სახლს შორის (რომლებიც ერთმანეთისგან 1მ-ის სიგანის “ქუჩით” არიან გამოჯნულნი) - 3მ-ია (ტაბ.3).

ზემო აღწერილი “ბორდიურის” უშუალო გაგრძელება უნდა იყოს C23 ნაკვეთში გამოვლენილი 8 მ-ის სიგრძის “ყორე”-ც და შესაძლოა ამ ქუჩის გადამკვეთ “მაგისტრალს” წარმოადგენდეს NW-SO მიმართულების გრძივი შუალედი ნაგებობებს შორის D19 ნაკვეთში. თუ ვარაუდი მისაღებია, მაშინ ნამოსახლარში წარმოდგენილია ურთიერთგადამკვეთი მაგისტრალები და მასთან დაკავშირებული “კვარტალური” ქუჩები, ანუ მოცემულია დასახლების ის გეგმარებითი სქემა, რომელიც პიპოდაბოსის სქემის გვიანანტიკურ-ადრებიზანტიური პერიოდების მექანიკურ განხორციელებას წარმოადგენს.

ნამოსახლარზე, სამშენებლო მასალები ტექნოლოგიის თვალსაზრისით გამოყენებულია:

1. დაუმუშავებელი ქვიშაქვა – კედლის წყობათათვის
2. რიყისა და ფლეთილი ქვა – საპირე წყობებს შორის შუალედების შესავსებად
3. ფილები – საიატაკე, ქუჩის ფენილი
4. ხე – გადახურვის კონსტრუქცია, თავისუფლად მდგომი და კედელს აყოლილი ბურჯები, საიატაკე მორები და სხვ.
5. თიხა – იატაკის თიხატკეპნილები, ალიზის აგური? (ვარაუდი) კედლის წყობებში ქვებს შორის მანძილის შემავსებლები (ძირითადად ეს ჩვეულებრივ ტალახშია), და საპირე წყობებს შორის შუალედის შემავსებლები.

ნაგებობათა ხის კარკასი და სახურავი – ამ კონსტრუქციაზე დაკვირვება ყველაზე უკეთ №18 ნაგებობის მაგალითზე ხდება (ტაბ.106). მისი დარბაზი კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედიანია (5.80X5.30მ.), რომლის შუაგულში ხის ბოძი უნდა ყოფილიყო აღმართული, მისი ქვის საყრდენი *in situ* მდგომარეობაშია დადასტურებული. ამას გარდა, NW კედლის გაყოლებაზე და მის პარალელურად, გარკვეული შუალედებით 0.70-0.80მ-ის დაშორებით ასეთივე საყრდენები გამოიკვეთა - ქვის ფილები, რაც უთუოდ კედელს აყოლილი ბურჯებისთვის იყო განკუთვნილი. NW და SW კედლების ძირში

გამოვლინდა დამწვარი გრძივი ძელების ნაშთები და ჩანს, რომ კონსტრუქცია კარკასის შემკრავი კოჭების სისტემას უნდა წარმოადგენდეს. ცენტრში აღმართული ბურჯი და დარბაზის ოდნავი სიგრძივობა გვაფიქრებინებს, რომ ძირითადი კოჭის (თავზე) მეშვეობით ნაგებობის ზედა სტრუქტურა ორ ნაწილად იყოფოდა და მას შესაძლოა ორფერდა სახურავი ასულებდა, თუმცა საკვებით დასაშვებია, რომ იგი ბრტყელი ბანური სახურავით ყოფილიყო დასრულებული.

ნაგებობათა ტიპებიდან ძირითადად ორი სახეობა გამოიყოფა. I – პირობითად შეიძლება დახასიათდეს, როგორც ცენტრალურ კერიანი (ტაბ.9) და II – კერა (სამეურნეო, საკულტო-ცერემონიალური) დარბაზის კუთხეშია გამართული (ტაბ.48).

საცხოვრისის ეს ძირითადი ელემენტი - კერა განსაზღვრავდა ნაგებობათა ზედა სტრუქტურას, ანუ იმას, შეიცავდა თუ არა სახლი ცენტრალურ ერდოს, და შესაბამისად გვირგვინს ან მის რომელიმე პრიმიტიულ კონსტრუქციას. ცენტრალური კერა კი უდავო მინიშნებაა ერდოზე. ასეთი სურათი ჩანს №№5, 12, 13, 14, 20 ნაგებობებში.

ფუნქციური თვალსაზრისით, ნაგებობანი ნამდვილდ საცხოვრისებია თავისი ყველა ატრიბუტით. აქ გამოვლენილ ნაგებობებში არ ჩანს სპეციფიური ნიშნებით გამოკვეთილი საკულტო ნაგებობა, ანუ არც ერთ მათგანში არ ჩანს შედარებითი მცდელობა არც მონუმენტალობისა და არც გამხოლოებულობისა; ეს ორი, საკულტო სივრცისთვის აუცილებელი ატრიბუტი III-IV სს-ის დასახლებებისათვის თვალშისაცემი იქნებოდა, ასეთი ნაგებობა რომ გამოვლენილიყო.

ამასთანავე შეინიშნება ისიც, რომ ნაგებობა (საცხოვრისი) თავის თავში რამდენიმე ფუნქციას აერთიანებს: I - კონკრეტულად საცხოვრისს სამზარეულო მეურნეობით, II - საკულტო-ცერემონიალურს კერებითა და საკურთხეველებით და III - სამეურნეოს, რაც საცხოვრისთან ერთად სივრცობრივ ერთეულებში საქონელთა სადგომებით გამოიხატება (ტაბ.8;9).

საქონლის სადგომები, ესენია ძირითადი საცხოვრისის გადატანის ნაწილში მოწყობილი გრძივი სათავსოები დამოუკიდებელი კართა და იატაკის საგანგებო ფენილებით (ტაბ.9). ქვის ფენილზე ეწყობოდა 0.10-0.12მ-ის დიამეტრის მქონე, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი მორების წყობა, რომელიც მოლიანად ფარავდა ქვაფენილს. ზოგ შემთხვევაში თვით ეს ვიწრო სადგომიც ხის ტიხრით უნდა ყოფილიყო ურთიერთისგან გამიჯნული, რაც საქონელს (ვთქვათ, ორი სულს) ერთმანეთისგან მიჯნავდა.

ასე რომ, გამოდის ერთი სახლი თავს უყრიდა საცხოვრისის, საკულტოს (ყოველდღიური სარიტუალო) და სამეურნეო ფუნქციას.

ნამოსახლარის გათხრისას რამდენიმე სხვადასხვა ყალიბის ქვის ჭურვი იქნა მიკვლეული, ამ დასახლების დაპყრობასა და ნგრევაში მონაწილეობდა სააღყო ტექნიკის ის ელემენტი, რომელიც “კატაპულტის” სახელითაა ცნობილი. ეს კი თავისთავად მიაჩნდება იმას, რომ ნამოსახლარს სასიმაგრო კედლები აკონტროლებდა.

გათხრებისას მცირე რაოდენობით კრამიტის ნატეხებიც იქნა მიკვლეული, ესენია როგორც კრამიტები, ასევე კალიპტერებიც და მათ შორის ანტეფიქსიანი კალიპტერიც, რაც იმას ნიშნავს, რომ რაღაც სტრუქტურა ნამდვილად იყო კრამიტით გადახურული (ტაბ. 50,50ა). ნავენახარის არქეოლოგიურ მასალაში არის ბრტყელი კრამიტები სადა, მაღალღობიანი (გვერდაკეცილი) და მოწითალოდ შეღებილიც (ნაწილობრივ) და დარისებური კრამიტებიც. ადრეფეოდალური ხანის მანძილზე – მცხეთის, ურბნისის, კვეტერის, თბილისის კრამიტები მაღალი ბორტით ხასიათდება, არის მოწითალო საღებავით დაფარულიც და ნიშნიანიც. მომდევნო საუკუნეებში

ბრტყელი კრამიტების ბორტი დაბლდება და სადა ხდება. ნავენახარის მასალაში შემქნეულია ეს ორგვარი მომენტი.

ნავენახარის მასალაში – ბორტიანი ბრტყელი კრამიტის გარდა – ღარისებური კრამიტებიცაა აღმოჩენილი. მათი აღმოჩენა თიხით მოლესილ საცხოვრისის დამწვარ იატაკზე, ჭერიდან ჩამოვარდნილ დანახშირებულ ძელებთან ერთად, სწორედ იმას მოწმობს, რომ საგანგებო დანიშნულების მქონე შენობებს (აღბათ საკულტოსაც!) ბრტყელი და ღარიანი კრამიტის სახურავები ჰქონდათ. გვრჩება ვარაუდი, რომ კრამიტით სწორედ, სასიმაგრო კედლები (კურტინები) და კოშკები უნდა ყოფილიყო გადახურული და ჩვენი გათხრების არეალში მისი მცირე ფრაგმენტები აღმოჩნდა.

ამ ვარაუდის დაშვებას თითქოს-და თვით ანტიფიქსზე ასახული სურათებიც გვიადვილებს – მასზე ნაღის საკმაოდ ნატურალისტური სახეა მოცემული და უთუოდ აპოთროპეული მნიშვნელობისაა. აპოთროპეული გამოსახულებებით ანტიკურ ხანაში სწორედ სასიმაგრო სისტემები იმკობოდა (მაგ. გორგონეონის გამოსახულებები და სხვ.).

ამავე შენობებშია დიდი ქვის ბაზები – საყრდენი ხის ბოძებისა, რომელიც კრამიტთან სახურავსაც იჭერდა და დამხმარე სათავსოების ერდოამოჭრილ ბანიან (თიხა-მიწის მასივურ ძელებიან) ჭერსაც (ტაბ.107).

ნამოსახლარის ფუნქციონირების პერიოდი, აღმოჩენილი მასალების მიხედვით ზოგადად ახ. წ. I-VII სს. შემოიფარგლება. ვინაიდან ჩვენ არ მოგვეცა შესაძლებლობა დასათარიღებლად გამოგვეყენებინა რადიომეტრული მეთოდები, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ნამოსახლარსა და სამაროვნებზე სხვადასხვა ზუსტი პერიოდების გამოყოფა. ამდენად, ქრონოლოგიური სხვაობის გამოყოფა ზოგადად მხოლოდ სტრატიგრაფიული ფენების მეშვეობით ხერხდება. როგორც ნამოსახლარზე, ასევე სამაროვნებზეც სტრატიგრაფიულად ყველაზე საინტერესო უბანი A' 30-31-32 და B'30-31-32 ნაკვეთებია (ტაბ. 8,108). უძველესი ფენები ამ უბანზე №19 და 29 ორმოებია. №19 ორმო მუდმივი ნულოვანი წერტილიდან - 1,95მ სიღმეზეა, ხოლო №29 - 2,20მ სიღრმეზეა გამართული. ნაგებობის ეს ნაშთი, როგორც ჩანს №16 ნაგებობის გამართვის დროს არის განადგურებული. აღსანიშნავია, რომ ამ ნაგებობის გამართვის დროს №19 და 29 ორმოების თავზე, გადადიოდა ხელოვნურად შედგენილი ბაქანი, რომელზედაც სარიტუალო ჭურჭლები იყო დაწყობილი. ამასთან, აღსანიშნავია ბაქანზე ადამიანის ძვლების ფრაგმენტების აღმოჩენა, რომელიც სამარხის ნაშთი ნამდვილად არ იყო; იგი სავარაუდოდ ნაგებობის განადგურების დროს უნდა მოხვედრილიყო ამ ნაწილში. ნაგებობა №16 საკულტო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს დასავლეთ კუთხეში გამართული თიხის ოთხკუთხა საკურთხეველის აღმოჩენა.

№16 თუ რამდენად ეკუთვნის აღნიშნულ პერიოდს ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კედლის უკან A'30-31 ნაკვეთში დადასტურებული №89 სამარხი და სპეციალურად წვრილი რიყის ქვებით შედგენილი პოსტამენტი, ამის დადგენა შემდგომი კვლევის საგანია. დღევანდელი მონაცემებით კი №16 ნაგებობა საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის პერიოდს უნდა უსწრებდეს წინ და ამდენად მისი თარიღი ზოგადად III-IV სს. უნდა იყოს.

უშუალოდ მისი მომდევნო პერიოდის ნაგებობას უნდა წარმოადგენდეს №12 ნაგებობა, რომელიც A'-31-32 და B'32 ნაკვეთებშია მოქცეული და №16 ნაგებობის აღმოსავლეთით არის გამართული. ერთი შეხედვით, ამ ნაგებობაში აღმოჩენილი კერამიკული მასალები სრულიად განსხვავებულია №16 ნაგებობის კერამიკული მასალებისაგან. ნაგებობის სტილიც სხვანაირია და, რაც მთავარია, ამ პერიოდიდან სხვადასხვა ნაგებობებში (№№5, 12, 13,

20) იწყება კერის კონსტრუქციების გამართვა. სავარაუდოდ ნაგებობა №12 ახ. წ. V საუკუნით თარიღდება.

ნაგებობა №12 როგორც ჩანს შემოსევის დროს არის გადამწვარი და განადგურებული, რასაც ადასტურებს ნაგებობაში დიდი ხანძრის კვალი და სატყორცნი ბირთვების აღმოჩენა, რაც კატაპულტის გამოყენებაზე მეტყველებს. ამ ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კედელი კი უშუალოდ მომდევნო პერიოდის კუთვნილი №20 ნაგებობის გამართვის დროს არის დაზიანებული.

№ 20 ნაგებობა აგებულია A' -31-32 ნაკვეთების მიჯნაზე. აქაც ისევე, როგორც №12 ნაგებობაში გამართულია კერა. ეს ნაგებობაც გადამწვარია ერთ-ერთი მორიგი შემოსევის დროს. იატაკის დონეზე დადასტურებული თიხის ჯვრის მკლავი კი უკვე იმას ამტკიცებს, რომ ნაგებობაში მაცხოვრებელი საზოგადოება უკვე გაქრისტიანებულია. შესაძლოა №20 ნაგებობა, რომელიც №№16 და 12 ნაგებობებს შორის არის მოცქეული, საკულტო-სალოცავ კუთხესაც მოიცავდა. ამდენად მისი ზოგადი თარიღი V-VI სს არ უნდა სცილდებოდეს.

ნაგებობა №17 გამართულია A'19 ნაკვეთში და სავარაუდოდ სამეურნეო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო (ტაბ.109, 110). გაწმენდილია ნაგებობის მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი კედელი და კუთხე, დანარჩენი ნაწილი კი მიღსადენის კორიდორის გაუთხრელ ფართობში შედის. გათხრილ ნაწილში დაფიქსირდა სამი დიდი ზომის ქვევრი. ერთ-ერთი მათგანი ნაგავსაყრელად იყო გამოყენებული, რომელშიც სხვადასხვა ჭურჭლის ნატყეხებთან და ცხოველის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა იმპორტული თიხის ჭრახის ფრაგმენტები და ოქროს ერთმანეთზე გადაბმული ჯაჭვის ნაწილი. ნაგებობის შემორჩენილი კედლის გასწვრივ ქვევრების პირის დონეზე და, შესაბამისად, ნაგებობის იატაკის დონეზე გამართული იყო ორი №№67 და 68 სამარხი, რომელთა დაკრძალვის წესი ადრექრისტიანულ დაკრძალვის წესს უახლოვდება, იმ განსხვავებით, რომ მიცვალებულები დამხრობილნი არიან ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სტრატეგრაფიის მიხედვით ქვევრები უფრო ადრეულ პერიოდს განეკუთვნება, ვიდრე სამარხები, რომელთა გამართვის დროს ნაგებობის იატაკია ჩატრილი. თუ საიდან მოხვდა ქვევრში შედარებით ადრეული პერიოდის მასალები, დღეს ამის გარკვევა პრაქტიკულად შეუძლებელია. ცხადია, რომ ისინი რომელიღაც დაზიანებული ფენიდან სპეციალურად ჩაყარეს.

ამდენად, ნაგებობა №17-ში ორი ფენა სტრატეგრაფიული ფენა ფიქსირდება, ხოლო მასალები ქრონოლოგიურად სამ სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება და ზოგადად მისი თარიღი №12 ნაგებობის თარიღს შეესაბამება.

კულტუროლოგიური თვალსაზრისით, ნაგენახარზე წარმოდგენილია ორი პერიოდი: გვიან ანტიკური – I-IV სს და ადრეული შუასაუკუნეები – IV-VII სს. გვიან ანტიკური ხანის მასალა მხოლოდ სამარხებში იქნა დაფიქსირებული. ამასთან, გარდა იმისა, რომ სამარხები ერთმანეთისგან ქრონოლოგიურად არიან გამოიჯნული, მათში აშკარაა დაკრძალვის წესის სხვაობაც. სამარხებმა თვალსაჩინოდ ასახეს ამ პერიოდის ქართლის სამეფოში მიმდინარე რელიგიურ-პოლიტიკური პროცესები, რაც დაკავშირებულია ამ ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებასთან და მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან.

ნაგენახარის სამარხებში არა მარტო გვერდიგვერდ, არამედ თვით ერთსა და იმავე სამარხში გვხვდება ქრისტიანული და წარმართული წესით დაკრძალვის ფაქტები. დაკრძალვის წესში არსებული განსხვავებები იმასაც გვიჩვენებს, რომ არაქრისტიანული წესით დაკრძალულებს შორისაც არსებობდა განსხვავება მიცვალებულების ქვეყნის მხარეთა შორის ორიენტირებასა და

პოზაში, რაც მათ შორის როგორც რელიგიურ, ისე შესაძლო ეთნიკურ განსხვავებაზეც უნდა მიგვანიშნებდეს (ტაბ. 20-23).

ნავენახარზე გათხრილ სამარხებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, აშკარაა კონსტრუქციული და რიტუალური ხასიათის განსხვავებები. კერძოდ, ვხვდებით: ორმოსამარხებს ქვაყრილებით, ორმოს ნაპირებზე ქვებშემოწყობილ, ქვით ამოშენებულ, ქვევრის გამოყენებით გამართულ და ქვის ფილებით აგებულ სამარხებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მიცვალებულთა დაკრძალვის პოზითაც და ორიენტაციითაც (ტაბ. 15-19). ეს განსხვავებები აშკარას ხდის სამარხების მიხედვით ძეგლზე, სულ ცოტა, სამი კულტურული ქრონოლოგიური ეტაპის გამოყოფის შესაძლებლობას.

აღნიშნულმა გარემოებამ წარმოშვა საკვლევი კითხვა კულტურულ-რელიგიურ ცვლილებებთან ერთად შესაძლო ეთნიკური ცვლილების კრანოლოგიური კვლევით შემოწმების თაობაზე. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის მისაღებად გაიზომა განსხვავებულ პოზაში დაკრძალულთა თავის ქალები სხვადასხვა (A, B, C) სამაროვნებიდან. მიღებული კრანოლოგიური მონაცემების შედარებამ არ გვაჩვენა დაკრძალულთა ფიზიკური ტიპის ცვლილება, რაც გვაფიქრებინებს, რომ მოსახლეობის რადიკალურ ეთნიკურ ცვლილებას, ნაქალაქარის არსებობის მანძილზე ადგილი არ უნდა ჰქონოდა და, რომ ზემოთ აღნიშნული განსხვავებები პოლიტიკურ დონეზე მომხდარ რელიგიის შეცვლასთან უფრო უნდა იყოს დაკავშირებული. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ დასახლების ქალაქურ ხასიათს, არც პოლიეთნიკური მოსახლეობის არსებობა იქნება გამოსარიცხი.

მიუხედავად იმისა, რომ ნავენახარის დასახლება აშკარად გამოხატულ, ქალაქის არქიტექტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს, მისი არსებობის განმავლობაში, სოფლის მეურნეობისკენ გადახრის პერიოდებიც უნდა ყოფილიყო, რაზეც მეტყველებს ორი №70 და 76 სამარხის კვერით გადახურვა (ტაბ.15ა-15ბ) და №6 ნაგებობაში ბოსლის არსებობა (ტაბ.9). ნავენახარელთა სოფლის მეურნეობაში მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ხასიათის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პალეონოლოგიური, პალეო-ეთნობოტანიკური და პალეოზოოლოგიური მონაცემები.

როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, ნამოსახლარის სამეურნეო კულტურაში არსებობდა ხორბლის ორი აგროპოპულაცია: რბილი ხორბალი და კულტურული ორმარცვალი, ფეტვი, კილიანმარცვლიანი ქერი და კულტურული ვაზი. სარეველა მცენარეთა სიჭარბე მიუთითებს, რომ მოსავლის მოყვანა ხდებოდა ნასახლარის მიდამოებში და ადგილი არ ჰქონდა მის სხვა რეგიონებიდან შემოტანას.

თუ ახალ მონაცემებს შევადარებთ კლდის ნამოსახლარის წინა წლებში შესწავლილ პალეოეთნობოტანიკურ მასალას, რამდენიმე სარეველა მცენარის გარდა, ისინი თითქმის იდენტურია, რაც მყარ მიწათმოქმედებას ადასტურებს. გამოდის, რომ გვიანანტიკურ ხანაში და ადრე შუასაუკუნეებში განხილულ ტერიტორიაზე ადამიანის ძირითადი მოღვაწეობა მიწათმოქმედება იყო. მემინდვრეობის გარდა აქ კარგად იყო განვითარებული მევენახეობა და მეპაღებობა. მეცხოველეობაც იყო, მაგრამ უპირატესობა მაინც მიწათმოქმედებას ჰქონდა. იმდროინდელი ლანდშაფტიც დღევანდელთან შედარებით სულ სხვანაირი უნდა ყოფილიყო. თუ დღეს აქ ტყე საერთოდ არ იზრდება, მაშინ ტყის მასივები კარგად იყო განვითარებული. ტყეში წიწვოვნების გარდა, რომლებიც მთების უფრო ზედა სარტყელებში უნდა ყოფილიყვნენ, იზრდებოდა წიფელი, რცხილა, მურყანი, ცაცხვი, მუხა და სხვ. ფართოფოთლოვანი ტყისა და მევენახეობის არსებობა თბილი კლიმატის

გარეშე ვერ იქნებოდა შესაძლებელი. ნალექების წლიური რაოდენობაც დღევანდელთან შედარებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ამის დასტურია აქ ნაპოვნი ტენის მოყვარული გვიმრების სპორები და აღმოჩენილი პელმინტების კვერცხები. ცნობილია, რომ პელმინტოზი უფრო მეტად ვრცელდება ტენიან კლიმატურ პირობებში. ვფიქრობთ, რომ აქ აღმოჩენილი პელმინტოზის ანუ ღორის სოლიტერის კვერცხები იმის დასტურიცაა, რომ მოსახლება მეღორეობას მიყვებოდა. მეღორეობა კი, როგორც წესი, ვითარდებოდა ტყით დაფარულ ლანდშაფტებში.

ნავენახარის ოსტეოლოგიურ მასალაში აღმოჩენილია შინაური ცხოველების (ძროხის, ცხენის, ვირის, ცხვრის, თხის, ქათმის და ღორის) საკმაოდ დიდი რაოდენობის ძვლოვანი ნაშთები.

შინაურ ცხოველებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსხვილფეხა საქონლის, დიდი ზომის ძროხის ნაშთები, რომელიც აღმოჩნდა კლდეში აბორიგენულ ჯიშთან ერთად (*Bos taurus brachyceros* (№4/15¹ – თხრილი, IV კედელი; №15/81 – თხრილი №46, №18/232 – თხრილი №49). მათი დიდი ზომის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ნავენახარის ნამოსახლარზე გავრცელებული უნდა ყოფილიყო საკმაოდ დიდტანიანი ცხოველები (*Bos taurus primigenius* (№3/9, კვ. A-31, a-3, შენობა №16; შინაური ცხოველების გარდა ნავენახარის ნამოსახლარზე აღმოჩნდა აგრეთვე ზოგიერთი გარეული ცხოველის ნაშთიც. მათ შორის: სტეპის გარეული კატა (*Felis ocreata* (=lybica), კურდღელი (*Lepus europaeus*), შველი (*Capreolus capreolus*), კავკასიური ირემი (*Cervus elaphus maral*), გარეული თხა (*Capra aegagrus*), კავკასიური დომბა (*Bison bonasus caucasicus*) (№25/271, კვ. C/23; №29/299, კვ. C/23-e/4, ძეგლი №VI, კედელი) და ბაყაყი (*Rana sp.*). ნავენახარის ტერიტორიაზე აგრეთვე დადგინდა ორი ტიპის ცხენი: დიდი და საკმაოდ პატარა. ჩვენი ვარაუდით, პატარა ცხენის ძვალი, შესაძლებელია კანჯარს (*Equus hemionus*-ს) ეკუთვნის, ხოლო დიდი – შინაურ ცხენს. ეს ჩვენი მოსაზრება უნდა გადამოწმდეს, რადგან ჩატარებული კვლევების საფუძველზე უფრო ზუსტი დასკვნების გაკეთება ჭირს. ზემოთ მოყვანილი გარეული ცხოველების სიაში მკვეთრად შეინიშნება ორი ტიპის ლანდშაფტის მობინადრე ცხოველები: ტყის (ირემი, დომბა, შველი) და გაშლილი პირობების (გარეული კატა, კანჯარი). აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა – მრავალფეროვანი ლანდშაფტური პირობების არსებობის შესახებ ნავენახარის მიდამოებში, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც ჭაღის, ასევე მთის წინა ზოლის ტყის ხერხემლიანები (დომბა, ირემი, შველი). არსებობდა სტეპური პირობებიც (სტეპის გარეული კატა, კანჯარი) და მთის ლანდშაფტი (გარეული თხა).

განსაზღვრული ძვლოვანი მასალის მიხედვით შეიძლება დავასენათ, რომ შინაური ცხოველებიდან პირველი ადგილი ძროხას, ანუ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს ეჭირა – 37,8%, მეორე – ღორს – 28,98%, მესამე – ცხვარსა და თხას – 25,2%, მეოთხე – ცხენს – 7,56%.

მოპოვებული არქეოლოგიური მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ნამოსახლარის ცალკეული მონაკვეთები შეიცავს შენებისა და ნგრევის პორიზონტებს, რომ A და B სამაროვნები ნაგებობათა ნაშთებისაგან თავისუფალ ფართობებზეა განთავსებული, შედარებით არაკომპაქტურად განფენილ, ე. წ. C სამაროვანს კი კვეთს მოგვიანო შენობათა ნაშთები. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სამარხების ერთი ნაწილი სამაროვნების გარეთ, ნამოსახლარის სხვადასხვა ადგილას არის აღმოჩენილი (ტაბ 3).

ნავენახარის მთელი მასალა I-VII საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი. აქ გამოვლენილ სხვადასხვა პერიოდის შენობებში, ზუსტად დამატარილებელი ნივთების აღმოუჩენლობის გამო, მხოლოდ კერამიკული მასალის შედარებითი

მეთოდით მიღებულ მონაცემებს ვეყრდნობით, რაც საშუალებას გვაძლევს აღდგენილი ფორმები IV-VII საუკუნეების ფარგლებში მოვაქციოთ.

ნამოსახლარის კერამიკის კლასიფიკაციამ აგრეთვე საშუალება მოგვცა გამოგვეყო უთუოდ ადგილობრივი წარმოების მრავალი ნიმუში – ჭურჭელთა მოყვანილობის, საკუთარი ტექნოლოგიისა და შემკულობის თავისებური ოსტატობის ნიშნების მიხედვით, რაც ასე ნიშანდობლივი და წამყვანია ნავენახარის მასალაში. აგრეთვე, გამოგვეჩია მცირედი ნიმუშები საქართველოს სხვა, მეზობელი საწარმოო კერებიდან შემოტანილი, უდაოდ მაღალხარისხოვანი (წითელწერნაქიანი, ჩალისფერ-პრიალა) ჭურჭლისა. და ბოლოს, ყოველივე ამის შედეგად დაგვედგინა ნავენახარის სამოსახლოზე ადგილობრივი – „მესხური ვარიანტი“ – (აღმოსავლურ-ქართული კულტურის წრის კუთვნილი) კერამიკის წარმოებისა და მოხმარებისა მოცემულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში: დაწყებული გვიანანტიკური ხანის მიწურულიდან – ადრექრისტიანული ხანის საწყისი ეტაპების ჩათვლით (ადრეშუსაუკუნეების I ნახევარში, IV-VI საუკუნეების მანძილზე).

ნიშანდობლივია, რომ კლდის მასალაში არ არის არცერთი მოჭიქული ჭურჭლის ნიმუში. ძირითადი მასა ნამზადისა არის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი, მაგრამ აქაც ადგილობრივად წარმონაქმნილი თიხებია (მუქი ლეგა-ნაცრისფერი ან მოყავისფრო-მოწითალო) გამოყენებული. დგილობრივი თიხა, გამოწვის ტექნოლოგიისა და განღებვის მცდელობის მიუხედავად, ნამზად ჭურჭელს თავის ელფერს აძლევს: უმრავლესობა სამხარეულო და სამეურნეო მოხმარების ჭურჭლისა და საოჯახო საგნებისა ლეგა-მოყავისფრო ან ლეგა-მოწითალო ელფერისაა, რაც უთუოდ საჭიროებს ხოლმე რაიმე თხელი, ღია ფერის ანგობით დაფარვას და შეეული ან განივი ნაპრიალები ხაზებით შემკობას.

ბევრად დახვეწილი ფორმები აქვს სუფრის ჭურჭელს (ტაბ 25-32): თუმცა აქაც წამყვანია ღია ფერის ჭურჭელი (ჩალისფერი, ვარდისფერი): სფერულმუცლიანი, დაბრტყელებული და მკვეთრად წაკვეთილი ძირის მქონე. მცირე გამონაკლისია „მსხლისებური“ ტანის მქონე, ირგვლივ კანელურებით შემკული ჭურჭელი – დოქები, ხელადები, ჭინჭილები, რომელთაც თითო ან ორ-ორი კოპი აქვს დაძერწილი ყურებთან (მხარზე) ან ტუჩის კიდესთან, მაგრამ აუცილებლად შედებილ-გაპრიალებულია წერნაქით (წითლად, ჩალისფრად) ან უბრალოდ შეეული ნაპრიალები ხაზებითაა შემკული. ბევრი მათგანი ყელწოიანია. მცირე ნაწილი სასუფრე ჭურჭლისა ან დაფარულია მოთეთრო-ჩალისფერი ანგობით და აგრეთვე გაპრიალებული ხაზებით (ადგილობრივ ნამზადს მონაცრისფრო-მოთეთრო ან მოვარდისფრო-მოწითალო ელფერი გადაჰკრავს) ან ზოგჯერ შემოტანილიც არის მეზობელი რეგიონებიდან (მაგ. წითელწერნაქიანი, გაპრიალებული, კანელურებიანი, სამფეხა დოქი-ქილა).

არის მუქი-ლეგა-მოშავო თიხის დიდი ზომის ქვევრები, ქილები, დერგები, ქოთნები, რაც მათ მეურნეობრივ, სპეციფურ გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს.

ავენახარის ადრეშუსაუკუნეების კერამიკას ახასიათებს თიხის გამოწვამდე „სავარცხლისებურად“ დასერვა – მჭიდრო წვრილი ხაზებით სარჩულის დაფარვა, რაც ჩარხის კვალია უთუოდ. ასეთი ხაზები ზედაპირზეც ემჩნევათ ხოლმე, მაგრამ ხშირად გაპრიალების შედეგად გადაგლუვებულია და უჩინარი. შამაგიეროდ ნაპრიალები ორნამენტი ცვლის „სავარცხლისებურ“ ორნამენტს.

ჭურჭელთა ყელს ან მხარს ხშირად ამკობს ჭდეული ორნამენტი: ირგვლივი მაღალრელიეფური წიბოები ნათითურებით არის ჭდეული, ან ყელს ირგვლივ მოკლე ნაჭდევებია, ან ჩაზნექილი მრგვალი ფოსოების რიგია, რაც ჭურჭელს

(მით უფრო მაშინ – როცა თიხა მუქია) სილამაზეს და ლაზათიანი ნახელავის ელფერს აძლევს.

ნავენახარის სუფრის ჭურჭელში თითქმის არსად ჩანს მოხატვის კვალი: შავი ან წითელი საღებავით მოხატული დოქები ქართლის შიდა რაიონებში უფრო მოგვიანო ეტაპებზე ჩნდება (VI-VIII და IX-XI საუკუნეებში). სამაგიეროდ ნავენახარის დერგებს, ქილებსა და ღვინის დასაყენებელ ქვევრ-ქოცოებს ემჩნევათ მოყავისფრო-მოწითალო თხელი ანგობით შეღებვა იმ არეებისა (წრიული, ოვალური), რომლებიც მაღალრელიეფურ წობებს შორისაა მოქცეული. ასეთი დერგები მარცვლეულის ან ბლანტი სითხეების შესანახად გამოიყენებოდა (რძე, ზეთი, თაფლი და სხვა), და ცხადია, ცეცხლზე სადგამად არ იხმარებოდა.

ადრეშუასაუკუნეებში დამზადებულ ჭურჭლებს საერთო ნიშანი ისაა აქვთ, რომ უყელი ან პირმოყრილია, სფერულმუცლიანია, ზოგჯერ ყელმოვიწროებულიც და უთუოდ მკვეთრად წაკვეთილი ბრტყელი ძირები აქვთ, დაბრტყელებული ფორმების მქონეა. კეცის გამოწვის ხარისხი და ჭურჭელთა შეფერილობა თიხის განღებვა-გაცრაზე, გამოწვის ტემპერატურაზე და, რაც მთავარია – თვით ჭურჭელთა დანიშნულებით გამოყენებაზე იყო დამოკიდებული: სუფრისა და საოჯახო მოხმარების ჭურჭლის თიხა უკეთ იცრებოდა და ღიაფრად (ჩალისფრად, მოვარდისფროდ) გამოიწვებოდა ხოლმე, რასაც ზედაპირთა გაპრიალებაც ერთვოდა თან. გაპრიალებული ჭურჭელი თავისი ფორმით, ზედაპირის სიგლუვით და ფერით – უკვე დამთავრებული მხატვრული ნაწარმია და ზედმეტ შემკობას აღარ საჭიროებს.

ამიტომ არის მათ ტანზე ან მხარზე თუ ყურზე თითო-ორი ნაჭდევი, დაძვრწილი კოპი ან შემოვლებულია ტალღოვანი ზოლი; თუმცა აქაც თვით ჭურჭელთა პირ-ყელის გაფორმებაა თვალში საცემი: მრგვალპირიანები ან კიდევშეზნექილები და სამტუჩა – უმეტესად ყელწიბორიანები.

სიგრძივ ტანდაღარული, ე. წ. კანელურებიანი, სუფრის ჭურჭელი უფრო პარადული ხასიათისაა, მით უფრო, რომ ნავენახარის მასალაში ისინი არცთუ მრავალი ნიმუშითაა წარმოდგენილი; და თუ მაღალი ხარისხით მათ წითლად გაპრიალების ხელობასაც მივიღებთ მხედველობაში – ასეთი ჭურჭელი (სამფეხა) ადგილობრივ ნაკეთობას არ უნდა წარმოადგენდეს, - თუმცა ქართლის სამეფოს (იბერიის) შიდა რაიონების სხვა სახელოსნო ცენტრებიდან უნდა იყოს შემოტანილი და სამცხეში დამკვიდრებული (V-VI საუკუნეებში). კანელურებით და ღარებით ჭურჭლის შემკობა ადრეშუასაუკუნეების მანძილზე თანდათან იხვეწებოდა. შემკობის ეს წესი VI-VIII საუკუნეების სხვა ფორმის ჭურჭლებზედაც გვხვდება: ისინი ცნობილია რუსთავის ნაქალაქარისა და სამაროვანის მონაპოვართა შორის V-VI და VII-VIII საუკუნეებშიც (ადრეფეოდალური ხანის მიწურულიდან-შუაფეოდალურ ხანაზე გარდამავალ ეტაპზე კი ჭურჭელთა შავი და წითელი საღებავით მოხატვის ახალი წესი მკვიდრდება – IX-XI სს).

უხეში და ცუდად გაცრილი თიხისაა სამეურნეო და სამზარეულო ჭურჭელი (ტაბ.33- 43) – მით უფრო ცეცხლზე სადგამი (მოყავისფრო-ლევა, მოწითალო-ლევა, ზოგჯერ შავი წერნაქითაც დაფარული), მცირედ გაპრიალებული და გამურულ-გაშავებული.

ადრეშუასაუკუნეების თიხის ჭურჭლის წარმოებას ახასიათებს ტექნოლოგიური თავისებურება – სარჩულიდან სველი თიხის წვრილხაზოვნად მჭიდროდ დასერვა, ხოლო დიდი ფორმების მქონე ჭურჭლის კედელთა „შენება“ და ნაწილების ერთმანეთზე გადაბმა-შეერთება შიგნიდან, მაღალრელიეფური მსხვილი ირგვლივი წიბოებით ხდებოდა.

ნავენახარის მასალაში არა ჩანს ე.წ. „დაფანჯრული“ დერგები (ანუ კედელდობიანი დიდი ჭურჭელი მარცვლეულის შესანახად, საქარე

„ფანჯრების“ მქონე), რომელიც აღმოჩენილია ადრე- და შუასაუკუნეების რუსთავის ნაქალაქარსა და ციხის სათანადო ფენებში. სამაგიეროდ, ნავენახარის დერგებს ძირთან ან მოვიწროებულ კალთებზე დატანებული აქვთ თითო ან ორ-ორი ნახვრეტი საქარედ (მარცვლეულის ღვობის აცილების მიზნით).

საყოფაცხოვრებო-საოჯახო მოხმარების საგნებიდან მნიშვნელოვანია: ჭრაქი, კვირისტავი და გორგოლაჭი. ეს უკანასკნელნი უთუოდ მეორადი გამოყენებისაა – გამოჭრილი გატეხილი თიხის ჭურჭლისაგან (ზოგი – ძელისგანაც). ხანგრძლივი დროის მანძილზე მოქმედების გამო მათ დანიშნულება-გამოყენება არ ეცვლება; და ამდენად, იმის გამო, რომ ისინი სართავ-საქსოვი შინამრეწველობის მოწყობილობებისა და დაზგების სამოდრავებელი საგნები (ანუ დეტალები) იყო, ისინი შუაფეოდალურ ხანაშიაც განაგრძობენ არსებობას.

სამეურნეო ქვევრ-ქოცოები და დერგები კი მსხვილმარცვლოვანი თიხისგანაა გამოშვარი და სქელკედლიანია.

კერამიკის ძირითად სახეებს (დიდი ზომის სამეურნეო მოხმარების ჭურჭელს) უყველო ფორმები აქვს, მხარგაშლილია და ირგვლივი მჭიდროდ „გრეხილი“ რგალები ან რელიეფური სადა წიბოები აქვს. ქვევრები არის ორგვარი მოყვანილობისა: ა) სფერულმუცლიანი, უყველო და მცირედ პირგადაწეული, მჭიდროდ, ერთმანეთთან მიჯრით განლაგებული რელიეფური რგალები „თოკურად“ გრეხილია ნაჭდევი ირიბი ნათითურებით. ბ) უყველო, მაგრამ მხარგაშლილი, ძირისკენ ტანმოვიწროებული ქვევრები, დერგები, ძირბრტყელი და ბაკობრტყელი. დერგებშიც შეინიშნება ორგვარი მოყვანილობა: არის სფერულმუცლიანი, მკვეთრად ძირწაკვეთილი, დაბრტყელებული ფორმები, პირმოყრილი კიდეით და არის კვერცხისებური მოყვანილობისა. მაგრამ მათაც აქვს რელიეფური წიბოები ან მცირედ გაპრიალების კვალი.

მსგავსი შემკულობა სამზარეულო ჭურჭელშიც შეინიშნება – თუმცა ქოთნებისა და კოჭოების თიხა ლეგა-ყავისფერია და ცეცხლზე გამურული. მათაც ემჩნევათ გაშლილი ამოკაწრული ტალღოვანი ზოლები ირგვლივ და ადგილობრივ ნამზადია.

ნავენახარის მასალაში აღსანიშნავია ფეხიანი თიხის ჭრაქიც (ტაბ.45). იგი ხელით ნაძერწია, მოყავისფრო მონარეკებიანი თიხისა; ლამბაქისებური ზედა ნაწილი სქელ ფეხზე დგას. საფიქრებელია, რომ ეს სანათი ზეთისთვის და მასში ჩადებული პატრუქისთვის არის მოწყობილი. დროის ვრცელ მონაკვეთში ალბათ აქ ლუღიანი ჭრაქებიც იქნებოდა ხმარებაში. კლდის მასალებს შორის დადასტურებული ფეხიანი ჭრაქის არსებობა მოწმობს ამ საგნის მდნარი ქონის ან გამოწურული მცენარეული ზეთის სანათად გამოყენებას. გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში ლამბაქისებური ფეხიანი ჭრაქები ფართოდ ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ხელით ნაძერწია და ტუჩთან კიდევშეზოლილი და მიჭყლეტილია – პატრუქის გასამაგრებლად. ჭრაქის ფეხი წელში გამოყვანილია; ნავენახარის ჭრაქი სადაა, თუმცა არის ირგვლივ პროფილირებული რელიეფური ნაწიბურის მქონე ცალებიც. ცილინდრული ფეხი ზოგჯერ ამოდრეკულია (პირის $d=8\text{სმ.}$, $h=5-6\text{სმ.}$). არის რამდენიმე ნატეხი უქუსლო – გულისებური ფორმის ჭრაქებისაც. მომდევნო შუასაუკუნეებში ასეთმა ფორმებმა სახე იცვალა და ნიჟარისებური (უმთავრესად – მოჭიქული) გახდა, რომელთა ნიმუშებითაც სავსეა საქართველოს თითქმის ყველა დასახლება – დაბა ქალაქი. ნამოსახლარზე აღმოჩენილი ფინჯანისებური ჭრაქი ტიპოლოგიურად მიეკუთვნება გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის ნაწარმს (IV-V სს). იგი მსგავსია ლოჭინის, ურბნისის, თრიალეთის ჭრაქებისა (V-VII სს). ფეხიანი

ფინჯანისებური ჭრაქები აღმოჩენილია აგრეთვე ამიერკავკასიის მეზობელ ქვეყნებში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საკულტო კერა – ე. წ. „საკურთხეველი“, რომელთა ირგვლივ განათხარში აღმოჩნდა 15 სხვადასხვა დანიშნულების დიდ-პატარა ჭურჭელი, როგორც ღვთაებისადმი საგანგებო შესაწირავი. თვით საკურთხეველი (№№621 და 1568; №№16 და 23 ნაგებობებიდან) მოწითალო, უხეში, მსხვილმარცვლოვანი თიხისგანაა გამოშვარიც და ცეცხლისგან გადამწვარიც, რომლის ოთხკუთხა და ნალისებურ ბრტყელ ძირს ბზის ანაბეჭდებიც კი ეტყობა (ტაბ.48,48ა).

ნავენახარის ნამოსახლარზე ადგილობრივ თიხის ნაწარმთან ერთად №17 ნაგებობის ერთ-ერთ ქვევრში აღმოჩნდა იმპორტული თიხის წითელლაკიანი ჭრაქის ფრაგმენტები №648 (ტაბ.46,46ა). იგი ყალიბშია დამზადებული. ფარაკზე შემორჩენილია პეგასოსის რელიეფური გამოსახულება. იგი მიეკუთვნება რომაული ტიპის ჭრაქებს. მის დათარიღებას აძნელებს ფრაგმენტულობა - აკლია ისეთი ძირითადი დამათარიღებელი ელემენტი, როგორიცაა საპატრუქე. დათარიღება ვერც მეორე განმსაზღვრელი ელემენტის - ორნამენტის - საფუძველზე მოხერხდა; ვერ მოვიძიეთ ანალოგია ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ძნელია ჩვენი ჭრაქის წარმომავლობის დადგენაც, რადგანაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჭრაქებს ამზადებდა ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ცენტრი. თანაც ერთი და იგივე ტიპი არა მარტო სხვადასხვა სახელოსნოში მზადდებოდა, არამედ სხვადასხვა რეგიონშიც. თითოეული ცენტრი იძლევა სხვადასხვა ვარიანტს თიხისა და ლაკის ფერისა, რომელიც ხშირად სხვა ცენტრისას ემსგავსება.

ახ. წ. I ს-ის დასაწყისში იქმნება ჭრაქების სახეობა, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია «რომაული ტიპის» სახელით. მისი ზოგადი დამახასიათებელი ნიშნებია: ცილინდრული ტანი, მომცრო საპატრუქე და საზეთე, ორღულიანი ან დაღარული მარწყუისებური ყური და ბრტყელი ძირი (Robinson H., vol. V, 1959: pl. 45).

როგორც წესი, რომაული ტიპის ჭრაქის ფარაკი შემკულია რელიეფური გამოსახულებით, ხოლო საპატრუქე მიღს ვოლუტები ამკობს ან ცხვირი მომრგვალებულია (Perlzweig J., 1963) ფარაკის გამოსახულებები სხვადასხვაგვარია: მითოლოგიური, სცენები ყოველდღიური ცხოვრებიდან, მცენარეთა და ცხოველთა გამოსახულებები, ზოგჯერ სიმბოლური, ზოგჯერ ფიგურული, ზოგჯერაც უბრალოდ გეომეტრიული ორნამენტი (Zoiropoulou E., Fossey J., 1992: p. 83).

ფარაკზე ზეთის ჩასასხმელი ნახვრეტია (საზეთე) და უფრო მცირე ზომის ნახვრეტი ნემსისთვის. ამგვარი ჭრაქები მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში იწარმოებოდა რამდენიმე საუკუნის მანძილზე. დიდმა მოთხოვნილებამ ჭრაქებზე გამოიწვია სპეციალიზებული სახელოსნოების წარმოშობა ისეთ მსხვილ ცენტრებში, როგორიცაა ეფესო, პერგამონი, სამოსი, ათენი, რომი, კართაგენი, ალექსანდრია და სხვ. ახ. წ. V ს-დან ვრცელდება მცირეზომიანი და ჩრდილოაფრიკული ჭრაქები. ძირითადი ტექნიკური სიახლე გამოიხატება ჭრაქის პროპორციების დაგრძელებაში; საზეთეს ტევადობის მომატებაში; ამავე დროს საპატრუქე დაცილებულია ზეთის ჩასასხმელ ნახვრეტს, რითაც იზრდება წვის ოპტიმალური ძალა და, შესაბამისად, სინათლის სიკაშკაშე მატულობს; ჰორიზონტალური ყური შევრილისებურია; ფარაკი მრგვალია, ორნამენტირებული; დეკორში წამყვანია გეომეტრიული და სტილიზებული მცენარეული მოტივები.

მოხატული ჭრაქები არ არის ცნობილი, მათ უპირატესად რელიეფური დეკორით ამკობდნენ გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში. დეკორით

დაფარულია დისკო. ორნამენტირებულია როგორც ულაკო, ასევე ლაკით დაფარული ნიმუშები. გვიანანტიკურ ხანაში ქრება ლაკი, რომელიც ჩვეულებრივ წითელი საღებავის სახეს იღებს.

ძვ. წ. VII ს-ის დასაწყისიდან ძვ. წ. V ს-ის დასაწყისამდე ჭრაქები ხელით იძერწებოდა. დაახლოებით ძვ. წ. 650 წლიდან ჭრაქების დასამზადებლად იყენებდნენ მეთუნის მორგეს, ხოლო ძვ. წ. III საუკუნიდან ჭრაქები ყალიბში გამოჰყავდათ. ყალიბებში მზადდებოდა ჭრაქები ახ. წ. VIII საუკუნემდე. აღსანიშნავია, რომ ყველა ეტაპზე გვხვდება ხელით ნაძერწი ნიმუშებიც. ახ. წ. III-IV საუკუნეებში ჭრაქების მსხვილი სახელოსნოები ათენში ხშირად დამლას სვამდნენ ჭრაქის ძირზე. იდამდებოდა სხვა ცენტრების ჭრაქებიც.

ჭრაქებს ამზადებდა ყველა ტრადიციული კერამიკული სახელოსნო, როგორც შიდა მოთხოვნილებისათვის, ასევე საექსპორტოდ. ჭრაქებს აწარმოებდნენ შავიზღვისპირეთის ბერძნული ქალაქებიც მათ შორის ოლბია (Парович-Пешикан М., 1974: с. 113-117; Ветштейн Р., 1975: с. 183-189), ქერსონესი (Кадеев В., 1970: с. 106-108), გორგიპია (Цветаева, 1966: с. 21-22). ნავენახარის ნამოსახლარზე დადასტურებულ ჭრაქს არც დამლა აქვს შემორჩენილი და არც საპატრუქე; იგი სხვა ადგილობრივ თიხის ნაწარმთან და ოქროს ჯაჭვის ფრაგმენტთან ერთად უკვე გაუქმებულ (?) ქვევრში აღმოჩნდა. ფაქტია, რომ №17 ნაგებობაში ეს ქვევრი დანარჩენი ქვევრებისაგან განსხვავებით, მწყობრიდან უნდა ყოფილიყო გამოსული და იგი ამოვსებული იყო გადანაყარი მასალით. როგორც ჩანს, ქვევრში არ ჩენილი კერამიკა უფრო ადრეულია, ვიდრე თვით ქვევრი. რა თქმა უნდა, იმპორტული კერამიკის მიხედვით ამ ნაგებობის დათარიღება შეუძლებელია. უბრალოდ აქ უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრში აღმოჩენილი ზოგიერთი მასალა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ქვევრისა და შესაბამისად ნაგებობის თარიღს. უდაოა, რომ ნავენახარის ნამოსახლარზე იმპორტული ჭრაქის დადასტურება მნიშვნელოვანი აღმოჩენაა.

რომაული ჭრაქის პარალელურად, №85 სამარხში დადასტურდა პართული ვერცხლის მონეტა (ინვ. №1471) ე. წ. გოტარზე I დრაქმა (ტაბ.95,95ა), რაც იმის დასტურია, რომ ქართლის სამეფოს ეს ნაწილიც აქტიურად იყო ჩართული რომისა და პართიის აბრეშუმის გზასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაში.

ნავენახარის მთელი ქრონოლოგიური დიაპაზონისათვის დიფერენცირებული თარიღების მისაღებად საჭირო მასალას მხოლოდ სამარხები იძლევა.

ნავენახარზე შესწავლილი უადრესი კომპლექსები (ძეგლები) გვიანანტიკურ ხანას მიეკუთვნება და სამარხებითაა წარმოდგენილი. მათში აღმოჩენილი გემების (11 ერთ.) უმრავლესობა (8 ერთ.) რომაული გლიპტიკის ნახელავს წარმოადგენს. ორი გემა სასანურია, ერთი – ქრისტიანული (ტაბ.78-89).

რომაული გლიპტიკური ძეგლების პირველი გამოჩენა იბერიის (ქართლის სამეფოს) ტერიტორიაზე ძვ. წ. I ს. II ნახევარში, რომთან ურთიერთობით დაიწყო. ეს ურთიერთობა, სრულიად გარკვეულად, იბერიაში ძვ. წ. 65 წელს რომის სარდალ პომპეუსის ლაშქრობას უკავშირდება (Ломоури Н., 1981: გვ. 5, 2). ამ დროიდან იწყება ქართლის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა რომაულ სამყაროსთან. ძვ. წ. I ს. ბოლოსა და ახ. წ. I ს. დასაწყისიდან ქართლში უკვე ვრცელდება მცირე რაოდენობით რომაული გლიპტიკის ნახელავი. ახ. წ. I ს. II ნახევრიდან და II – III საუკუნეებში ქართლში რომაული გემების მოზღვავენაა (Максимова М., 1950: გვ. 225). ახ. წ. IV საუკუნეში მათი რიცხვი კლებულობს. ნავენახარის სამაროვანზე აღმოჩენილი რომაული გემები მხატვრული დახვეწილობით არ გამოირჩევა. მათი გამოსახულებები შესრულებულია სქემატურად და დაუდევრად. ეს არის მთელ რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული

მასობრივი წარმოების იაფფასიანი ნიმუშები, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენებისათვის. ბეჭდები, რომლებშიც რომაული გემებია ჩასმული ტიპიური რომაული ფორმის ბეჭდებია.

ნავენახარის სამაროვანზე აღმოჩენილი მინის სამი გემა (№№1420 – 1422) გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ. წ. I ს. II ნახევრით თარიღდება (ტაბ.78,79). უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ მინის რომაული ინტალიოები ძვ. წ. I ს. ჩნდება, ფართოდ არის გავრცელებული ახ. წ. I – II სს-ში, ხოლო ახ. წ. III ს-ში იშვიათად გვხვდება. ნავენახარის სამაროვანზე აღმოჩენილი ამ სამი გემის გამოსახულებათა სტილი და ბეჭდების ფორმა იმდენად მსგავსია, რომ ისინი უდაოდ ერთ სახელოსნო ცენტრში უნდა იყოს დამზადებული. დანარჩენი რომაული გემები (№№1435 – 1437, 1501) გამოსახულებათა სტილისა და ბეჭდების ფორმის მიხედვით ახ. წ. III ს-ით თარიღდება. გემებისათვის გამოყენებული მასალა – მუქი გაუმჭვირვალე სარდიონი №№1437, 1501 (ტაბ. 85-86) და მუქი სარდერი – №№1435, 1436, 1491 (ტაბ.83,84,88) ახ. წ. III ს. რომაული გემებისათვის არის დამახასიათებელი.

სასანური საბეჭდავები საქართველოში ახ. წ. IV საუკუნიდან ვრცელდება, იმ ხანიდან, როდესაც მახლობელი აღმოსავლეთის ასპარეზზე სასანიანთა ირანის სახელმწიფო გამოჩნდა. სასანური საბეჭდავების რაოდენობა საქართველოში მნიშვნელოვნად მატულობს ახ. წ. V ს. 30-იანი წლებიდან. მცხეთაში, სამთავროში, არმაზის ხევში, ჟინვალში, ურბნისში და საქართველოს სხვა ადგილებში აღმოჩენილი სასანური საბეჭდავები ფორმით, მასალით, გამოსახულებათა სიუჟეტებითა და სტილით სასანური გლიპტიკის ტიპიური ნიმუშებია (რამიშვილი ქ., 1979: გვ. 21 – 56). ს. ნავენახარის სამაროვანზე აღმოჩენილი სასანური გლიპტიკის ნახელავი №№1394 I, 1451 (ტაბ. 80,81) ახ. წ. V – VI სს. უნდა იყოს.

ახ. წ. IV საუკუნეშივე, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, ჩნდება მცირე რაოდენობის ბიზანტიური გემები ქრისტიანული სიუჟეტებით. ნავენახარის სამაროვანზე აღმოჩენილი ბეჭდის ფარაკი ჯვრის გამოსახულებით შესაძლოა, ადრეული შუასაუკუნეების დროინდელი ადგილობრივი ნახელავი იყოს.

რელიგიური თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს ნამოსახლარზე დადასტურებულ რელიგიური დანიშულების არტეფაქტებს. შაინტერესოა, ნავენახარის ნამოსახლარზე გვერდიგვერდ, №27 ორმოს – №1574; კვადრატი 32 დ² (ტაბ. 49,49ა), №20 ნაგებობასა – №736 კვადრატი 31 ა⁴ (ტაბ. 51) და კულტურულ ფენაში №1575 კვადრატი 35 ა⁴ (ტაბ.52,52ა) აღმოჩენილი საკულტო-სარიტუალო დანიშულების ნივთების – ერთ შემთხვევაში წარმართული მინიატურული საკურთხეველის მოდელისა, მეორე შემთხვევაში თიხის ჯვრის მკლავისა და მესამე შემთხვევაში ცხოველების გამოსახულებიანი თიხის ფილის ერთად დადასტურება. აქ ერთმანეთს შეერწყა წარმართული და ქრისტიანული სარიტუალო ატრიბუტები.

საკურთხეველთა (ტაბ.49,49ა) ფორმების შესახებ ინფორმაციას რომაულ და ირანულ რელიეფთა მეშვეობით ვიღებთ. ანალოგიური ფორმის საკურთხეველი უფრო ირანულ მხატვრულ წრესთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამის საფუძველს იძლევა პართულ და სასანურ კლდოვან რელიეფებზე შემონახული არაერთი კომპოზიცია მსხვერპლის შეწირვის სცენებით. ნავენახარის ნამოსახლარზე მოპოვებული საკურთხეველის მოდელი ზოგად ფორმებში იმეორებს პართული და სასანური პერიოდის მაზდეანური “ცეცხლის საკურთხეველის” ფორმას (Girschman R., 1962: იხ.

ბისუტუნის პართული რელიეფები – ახ. წ. II ს., სასანური ეპოქის რელიეფი ბიშაპურში - III ს.-ის 2/2, საკურთხეველები სასანური მონეტების რევერსებზე – არტაშირ I-სა და შაპურ I-ის ოქროსა და ვერცხლის მონეტები - III ს. და სხვა).

თუ საკურთხეველის ფორმასთან დაკავშირებით გარკვეული წინასწარული დასკვნების გაკეთება შეიძლება, უფრო რთულია საკურთხეველის მოდელზე გამოსახული პიროვნების იდენტიფიცირება. სტატიკური, მკაცრად ფრონტალური ფიგურა თავისი ხასიათით ხელოვნების აღმოსავლურ ფესვებზე მიუთითებს. ადრეული შუა საუკუნეების ქართული რელიეფური პლასტიკის კვლევისას სტილური ნიშნების გენეზისის პრობლემასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია იმის დადგენა, რომ სტატიკური, ფრონტალური გამოსახულებების საწყისები პართული ხელოვნებაშია საძიებელი. ეს რთული და მრავალმხრივი საკითხია, რომელიც მნიშვნელოვანია სოფ. კლდის ნავენახარის ნამოსახლარის საკურთხეველის რელიეფური ფიგურის რაობის გარკვევისათვის. პართიისაკენ მიუთითებს პერსონაჟის ძაღზე ზოგადად და პირობითად გადმოცემული სამოსელის ხასიათი. ამგვარი გრძელსახელოებიანი, კალთებგაფართოებული მუხლებამდე სამოსი სწორედ პართული და სასანური რელიეფებიდანაა ცნობილი. ადრეული ქართული რელიეფების პერსონაჟების ჩაცმულობა უახლოეს პარალელებს ძველ ირანულ სამოსელში ჰპოვებს. იქიდან იღებს სათავეს, ზოგადად, “ახლოაღმოსავლური” მხედრული სამოსი, რომელიც კარგად იყო მისადაგებული მხედრული ცხოვრების პირობებს. ნავენახარის საკურთხეველის რელიეფური ფიგურის სამოსი ზემოაღნიშნული დეტალების გათვალისწინებით, შესაძლოა, იმავდროულად, რომაელ მეომართა სამხედრო კოსტიუმის რაღაც ნიშნებსაც ატარებს (უსახელო ზედა ნაწილი, გოფირებული ქობა).

მამაკაცის გამოსახულების იდენტიფიკაციისათვის, სამოსელის ხასიათის გარდა, აუცილებელია მისი პოზისა და ქესტის გათვალისწინება. იდაყვში მოხრილი ზეადმართული მარჯვენა ხელის ქესტი აღორაჯის ნიშანია. ასეთი ქესტით გამოსახებოდნენ ღვთაებები და მეფეები პართულ კლდის რელიეფებზე. ერთ-ერთი ასეთი საკულტო რელიეფი ჰათრას I ტაძრიდან, შესაძლოა, დაგვეხმარება ჩვენი რელიეფის მამაკაცის გამოსახულების პიროვნების გარკვევაში. ჰატრას რელიეფზე გამოსახულია ქვესკნელის ღვთაება ჰადესი-ნერვალ-აჰრიმანი, ზეადმართული მარჯვენა ხელით, წელთან მიტანილ მარცხენა ხელში მას თოკი უკავია, რომელზეც ქვესკნელის დარაჯი სამთავიანი ძაღლი ცერბერი ჰყავს გამობმული. რელიეფში ბატონობს მკაცრი ფრონტალობა, ჰადესის ფიგურა ზუსტი კანონიკური სქემის მიხედვით არის გადმოცემული. სწორედ ეს სტანდარტული სქემაა გამოყენებული მინიატურული საკურთხეველის რელიეფში.

ამგვარად, ნავენახარის ნამოსახლარზე აღმოჩენილ საკურთხეველის თიხის მოდელზე გამოსახული რელიეფური ფიგურა პართული ან სასანური წრის რომელიღაც ღვთაების გამოსახულება უნდა იყოს, რომლის ანალოგიები ცნობილია ირანის რელიეფებიდან. ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ გამოსახულებასთან.

ნიუთის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს ყოველ დეტალს, მითუმეტესად ეს ეხება ორნამენტულ დეკორს, რომელიც ხშირ შემთხვევაში დათარიღებისათვის განმსაზღვრელ როლს თამაშობს. სამკურთხეველების მწკრივით შექმნილ კაპიტელის ორნამენტის ყველაზე ადრეული ნიმუშები საქართველოში ჯერებიან ბოლნურ მედალიონებში გვხვდება – V ს. ბოლო (მაჩაბელი კ., 1998), შემდეგ პერიოდში იგი ჩნდება ქვაჯვარების დეკორში (VI ს.). სამკურთხეველების მწკრივით შედგენილი ორნამენტული ზოლები

გამოიყენებოდა ადრეული კაპადოკიურ ძეგლებსა და ადრეულ კოპტურ რელიეფებში (კ. მაჩაბელი).

საკურთხეველის სამ წახნაგზე გამოყენებული გრეხილი ნახევარ-სვეტების მოტივი, დამახასიათებელი დეკორატიული დამუშავებით გავრცელებულია V-VI სს. ქართულ რელიეფებზე. ამის არაერთ მაგალითს ვხვდებით ბოლნისის ქვასვეტების ფრაგმენტებზე, დმანისის, ხანდისისა და სხვა ქვაჯვარების დეკორში (Чубинашвили Г., 1940; Чубинашвили Г., 1972 იხ. ტაბულები). ზურგის წახნაგის უხეშად შესრულებული ორნამენტული მოტივი, რომელიც შორეულად პალმის რტოს სტილიზებულ სახეს გადმოგვცემს, ასევე გვხვდება ადრექრისტიანულ ქართულ რელიეფებზე და წმ. მიწაზე შექმნილ ზოგიერთი რიტუალური ნივთის დეკორში.

ამგვარად, თიხის საკურთხეველი თავისი ხასიათით საკმაოდ რთული მხატვრული ნაწარმია. თავისი დანიშნულებით (“ცეცხლის საკურთხეველი”) იგი ირანულ სამყაროს განეკუთვნება, მასზე მოთავსებული ფიგურული გამოსახულება მხატვრულ-სტილური ნიშნებით ასევე პართულ-სასანურ მხატვრულ წრეში თავსდება (აქ უთუოდ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ადრეული შუასაუკუნეების ქართულ რელიეფებში ვხედავთ ისეთ მხატვრულ მიდგომას, რომელიც განსაკუთრებულ სიახლოვეს სწორედ ირანულ და ზოგადად ახლოაღმოსავლურ ხელოვნებასთან ავლენს). რაც შეეხება საკურთხეველის ორნამენტულ მხარეს – სამკუთხედების მწკრივი, გრეხილი ნახევარსვეტების შესრულების თავისებურება – მისი უახლოესი პარალელები V-VI სს. ქართულ რელიეფებშია უნდა ვეძიოთ.

ამ ზოგადი მიმოხილვიდანაც კი ნათლად წარმოჩნდა, რომ აღნიშნული თიხის მოდელი წარმოადგენს კულტურათა გზაჯვარედინზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიც შერწყმულია ორი მხატვრული წრის – ირანული და ქართული – ელემენტები.

აქვე აღსანიშნავია, ნავენახარის ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ფირფიტაზე ცხოველების რელიეფური გამოსახულებები (ტაბ.52,52ა) თავისი მხატვრული ხასიათითა და ზოგადი სტილური ნიშნებით ახლოა პართული და სასანური წრის ცხოველთა მრავალრიცხოვან რელიეფებთან. თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ადრეული ქართული რელიეფები ცხოველების სახეებით (ბოლნისის სიონის პლასტიკური დეკორი, უძველესი ქვაჯვარების რელიეფები) უახლოეს კავშირს სწორედ ირანული წრის რელიეფებთან ავლენს.

თიხის ამ ფრაგმენტის მეტი სიზუსტით განსაზღვრისათვის აუცილებელია მოვიპოვოთ ახ. წ. პირველ საუკუნეებში საქართველოში კოროპლასტიკის განვითარებასთან დაკავშირებული დამატებითი მასალა. აუცილებელია უფრო ზუსტად განისაზღვროს რელიეფურ კომპოზიციაში ჯვრის ფორმის მოტივი. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ჯვრის გამოსახულების შერწყმა მცენარეულ მოტივებთან ასევე ირანულ გავლენებთან და ხსნის სიმბოლოს სიცოცხლის ხის მოტივთან გაიგივებასთან არის დაკავშირებული. უნდა ითქვას, რომ სასანური ეპოქის დასაწყისში, III საუკუნეში, ქრისტიანული პლასტიკის აღმოსავლური წრის ნაწარმი (მათ შორის საქართველოშიც) ქრისტიანული თემების გადმოცემების დროს ოსტატები ხშირად უძველესი ადგილობრივი ტრადიციებისა და ახლო აღმოსავლეთის (პართული, სასანური) ხელოვნების ერთგულნი რჩებოდნენ.

მართალია, კერამიკული რელიეფის მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი, მაგრამ რელიეფური კომპოზიციის ამ ნაწილის ხასიათი გარკვეული დასკვნების საშუალებას იძლევა.

ამ პატარა ფრაგმენტშიც კი კარგად ჩანს კომპოზიციის აგების ოსტატობა. ფიგურათა განაწილებაში გარკვეული რიტმულობა შეინიშნება, ერთმანეთს

ცვლის სტატიკისა და დინამიკის მომენტები, ერთმანეთს უპირისპირდება მოძრაობა და უძრაობა: შველი სწრაფ მოძრაობაშია გამოსახული, ჯიხვი ზის თავმობრუნებული, ქვედა რეგისტრში – ვერძი დგას (ან ნელა მოძრაობს), ტახი კი დინამიურად მიქრის. ფარშევანგი მოძრაობის საწინააღმდეგოდაა გამოსახული. სამწუხაროდ, რელიეფური ფილის ფრაგმენტულობა უფრო ზუსტი დეფინიციების საშუალებას არ გვაძლევს მთლიანად თავდაპირველი კომპოზიციის მხატვრულ-სტრუქტურული ხასიათის შესახებ, მაგრამ ცხადია, რომ საქმე გვაქვს ახლოაღმოსავლურ ტრადიციებზე დაფუძნებულ მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილის საინტერესო ნიმუშთან.

ყურადღების ღირსია ფილის ფრაგმენტზე შემონახული ცხოველთა რეპერტუარი (თუ კი კვლევის ამ ეტაპზე ისინი სწორად არიან იდენტიფიცირებულნი). რელიეფზე გამოსახული არიან: შველი, ჯიხვი, ვერძი, ტახი და ფრინველი (ფარშევანგი?). აღნიშნული ცხოველების გამოსახულებები (ვერძის გამოკლებით) გავრცელებულია პართულ და სასანურ რელიეფებზე (კლდის რელიეფები და ტოტეპეტიკა). ამავე დროს ადრექრისტიანულ ხანაში ცხოველების ეს კომპლექტი თავისი სიმბოლური დატვირთვით ზუსტად შეესაბამება ადრეული ქრისტიანული იკონოგრაფიის რეპერტუარს, რომელმაც უძველეს ცხოველურ გამოსახულებებს ახალი მნიშვნელობა და ახალი სიმბოლური დატვირთვა შესძინა.

ცხოველთა პროცესიის გამოსახვა წმინდა ნაგებობებში ახლო აღმოსავლეთის უძველეს კულტურებში იღებს სათავეს და ხალხთა წიაღში შემონახულ ტრადიციულ წარმოდგენებთანაა დაკავშირებული.

ყოველივე ზემოთ აღწერილი რელიგიური სარიტუალო ატრიბუტების გვერდით აღსანიშნავია ბოლოებგაფართოებული ჯვრის ფრაგმენტი (ტაბ.51), რომელიც გორელიეფს უნდა ეკუთვნოდეს. ამას ადასტურებს მისი უკანა, ზურგის მხარე, რომელიც ინარჩუნებს კედლის სიბრტყეზე მიკრული სიმბოლოს ანაბეჭდს: როგორც ჩანს, წრეში ჩასმული და წითელი თიხისგან გამომწვარი ტოლმკლავა „ჯვარი“ – ნიშანი და სიმბოლო პირველი ქრისტიანობისა – ასევე თიხით მოლესილი, საგანგებო დანიშნულების მქონე, შენობის კედელზე ყოფილა მიკრული და მასთან ერთად დაღუპულა კატასტროფისა და ხანძრის გამო, რადგან ალიზის კედელ-ძელებთან ერთად თიხის ჯვარიც დამწვარ იატაკზე დამსხვრეულა. შემორჩენილი ნაწილის მიხედვით შეუძლებელია როგორც მკლავის თავდაპირველი სიგრძის, ასევე ჯვრის მთლიანი ზომის განსაზღვრა, რადგან ფრაგმენტის მიხედვით არ ჩანს მკლავების გადაკვეთის ადგილი, რაც საერთო ზომის აღდგენის შესაძლებლობას მოგვცემდა.

ადრეული შუა საუკუნეების სამშენებლო პრაქტიკაში ანალოგიური თიხის ჯვრები ჩვენთვის ცნობილი არ არის. წინასწარული ვარაუდით ჯვრის ფრაგმენტი შესაძლოა აკროტერიუმის ნაწილად ჩავთვალოთ (?).

თუ გავითვალისწინებთ ამ ფენაში აღმოჩენილი კრამიტების სიმრავლეს, თიხის ფრაგმენტებს, შესაძლებელია ეს ფრაგმენტი სამშენებლო კერამიკის ნაწილად მივიჩნიოთ, რომელიც რელიგიური დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა.

ამდენად, ნავენახარის ნამოსახლარზე ერთად მოიყარა თავი სხვადასხვა რელიგიების სარიტუალო და საცერემონიო ატრიბუტებმა, რაც უდაოს ხდის, რომ „ნავენახარის“ ნაქალაქარი სხვადასხვა კულტურათა შერწყმის გზაჯვარედინზე მდებარეობდა, სადაც თავს იყრიდა სხვადასხვა რელიგიური ცენტრებიდან შემოსული საზოგადოება.

ამ დასახლებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კმ-ის დაშორებით ანტიკური ნამოსახლარი და ნეკროპოლია დადასტურებული (წნისის სამაროვანი), „კლდის“ ნავენახარის ნამოსახლარსა და წნისს შორის კი, წინასწარული

ვარაუდით, ადრექრისტიანული ეკლესიის ნაშთებია შემორჩენილი. ამ ორი გვერდიგვერდ არსებული ნამოსახლარის ურთიერთმიმართება და ერთიან კონტექსტში მათი გააზრება მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

ნავენახარის ნამოსახლარზე სტრატиграფიულად გამოიკვეთა სხვადასხვა პერიოდების ნეგებობები, რომელთა გვემარება ქალაქური ტიპის გვემარებას უახლოვდება და აქ ქალაქური ტიპის დასახლება არის სავარაუდებელი, რომელიც მრავალჯერადი შემოსევების შედეგად წყვეტს თავის არსებობას.

I – ფენა - ახ.წ. II- IV სს. ნაგებობები №№16, 23 24, ორმოები №№19 და 29

II – ფენა - ახ.წ. IV-Vსს. – ნაგებობები №№1, 5, 6, 12, 13, 14, 17

III – ფენა - ახ.წ. V-VIIIსს. ნაგებობა №20

ამრიგად, ნავენახარის ნაქალაქარი გაშენებული იყო იყო სწორედ ისეთ ადგილზე, სადაც მდ. ფოცხოვი მტკვარს ერთვის და ძველთაგანვე იგულისხმება მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზაჯვარედინის არსებობა, სადაც სამხრეთიდან საქართველოში მომავალი გზა ორად იყოფოდა: ერთი შტო ფოცხოვის აუღლებით ლიხთ-იმერეთში გადადიოდა, მეორე კი მტკვრის ხეობით – ქართლში. ასეთ ადგილას სავსებით გასაგებია ქალაქის არსებობა, სადაც საქონლის განაწილება უნდა მომხდარიყო. საერთოდ, სამცხე, მესხეთის ის ნაწილია, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება დასავლეთ საქართველოს (კოლხეთს), რომელიც ანტიკურ ხანაში ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო და ყოველთვის ასრულებდა თავისებური საკონტაქტო ზონის როლს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ (ტაო-კლარჯეთი და კოლა-არტაანი), აღმოსავლეთ (ქართლ-კახეთი, ჯავახეთი) და დასავლეთ (ეგრის-აფხაზეთი, აჭარა, გურია) რეგიონებს შორის. “საზოგადოდ, საქართველოს ჩრდილოეთს ნაწილში – ლიხთიმერეთსა და აფხაზეთში სამხრეთიდან გადასვლა თითქმის მხოლოდ სამცხის გზით შეიძლებოდა; ეს იყო ერთადერთი, თუმცა ძნელი, მაგრამ მაინც მოხერხებული გზა. ასეც მოგზაურობდნენ ძველად ყველანი”, წერს ი. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი ი., 1948: გვ. 67). მართლაც, სამცხე მუდამ მჭიდროდ იყო დაკავშირებული კოლხეთთან სამიმოსვლო გზებით, რომლებითაც ბერძნული იმპორტი შემოდიოდა იბერიაში კლასიკური ხანიდანვე (ლიჩელი ვ., 1999), მაგრამ იბერიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონზე – სამცხეზე (მესხეთზე) გადიოდა ე. წ. “მეოტიდო-კოლხეთის მაგისტრალი”, რომლითაც, როგორც ფიქრობენ, უკვე კიმერიელებმა ისარგებლეს (მელიქიშვილი, 1959: გვ. 222, 326), ხოლო თვით მესხეთი უღელტეხილებზე გამავალი გზებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ერთის მხრივ, არმენიასთან, მეორეს მხრივ – პონტოსთანაც. ამ უკანასკნელ გზას აქტიურად იყენებდნენ რომაელები, რომლებიც ტრაპეზუნდიდან ამარაგებდნენ არმენიაში განლაგებულ თავის ჯარებს (მაქსიმოვა, 1956: გვ. 77). სირიული და ეგვიპტური იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი ახ. წ. I ს-ებში მაინც სწორედ მესხეთის (და სამცხის) გავლით შემოდიოდა ქართლის სამეფოში. ცხადია, არ არის გამორიცხული, იმპორტი განხორციელებულიყო ძველი გზითაც: საქონელი არმენიის დედაქალაქის, არტაქსატას (არტაშატის) გავლით ჯერ ქვემო ქართლში შეტანილიყო და იქიდან მცხეთაში (მელიქიშვილი, 1959: გვ. 442; ლორთქიფანიძე ო., 1968: გვ. 68). მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციას, რომელიც სუფევდა ახ. წ. I საუკუნის არმენიაში, უფრო სავარაუდოა, რომ სირიული საქონელი საქართველოში, ამ პერიოდში მაინც, შემოდიოდა არტაქსატას გვერდის ავლით, უფრო დასავლური გზით, რომელიც გადიოდა მთლიანად რომაულ პროვინციებზე, მდ. ევფრატის გაყოლებით მტკვრის ხეობაში და იქიდან შიდა ქართლში. ეს გზა, ცხადია, სამცხეს ვერ ასცდებოდა, ხოლო პირველ საუკუნეში ამ გზის აქტიურობის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც,

რომ ურბნისში, რომელიც შიდა ქართლის პირველი ქალაქი იყო სამხრეთ-დასავლეთიდან მტკვრის ხეობით მცხეთისაკენ მიმავალ გზაზე, ახ. წ. I საუკუნის უფრო მეტი და უფრო ფართო ასორტიმენტის სირიული მინის ჭურჭელია დაღეჭილი, ვიდრე თვით მცხეთაში, იბერიის დედაქალაქში. იგივე ითქმის პალესტინის კესარიიდან შემოტანილი I საუკუნის გემების ჯგუფზე, რომელიც ასევე ურბნისის სამაროვანზე დაფიქსირდა (საგინაშვილი, 1970: გვ. 44; ჯავახიშვილი ქ., 1972: გვ. 9).

დასახლების ხასიათზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი არსებობის ხანგრძლივი პერიოდი – ახ. წ. I-VII საუკუნეები, რომლის განმავლობაშიც დასახლებამ არაერთი ნგრევა და განახლება განიცადა. დასახლების ერთ ადგილზე მრავალგზის განახლება ამ ადგილის არსებობის საჭიროებით შეიძლება აიხსნას. ბუნებრივია დავუშვათ ისიც, რომ ამ დასახლებას, შესაძლოა განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებებში მეტ-ნაკლებად განსხვავებული ფუნქცია და ხასიათი ჰქონოდა.

ძირითადი მასალა კი, ისეთი როგორიც არის დასახლების ერთიანი გეგმარება (გათხრილი ნაწილის მიხედვით), სახლების სწორი ქუჩის გაყოლებით და ერთნაირი ორიენტაციით (SW-NO) განლაგება, მასიური კედლების ქვის განიერი საძირკვლები (0.8-1.5 მ), სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების კრამიტები, ნგრევისა და ხანძრის “ფენაში” საბრძოლო ბირთვების აღმოჩენა გარკვეულ ეტაპზე, დასახლების არასასოფლო, ქალაქურ ხასიათზე მეტყველებს. ქალაქური ტიპის დასახლებაზევე მიგვანიშნებს არაერთგვაროვანი კრამიტების ფრაგმენტებიც, რომელთა შორის არის ანტეფიქსიანი კალიპტერიც, ნალის საკმაოდ ნატურალისტური სახით, რომელიც უთუოდ აპოთროპიული მნიშვნელობისაა. აპოთროპიული გამოსახულებებით კი ანტიკურ ხანაში სასიმაგრო სისტემები იმკობოდა

ის, რომ ახალციხის რაიონის სოფელ კლდის მახლობლად ნასოფლარი კი არ გაითხარა, არამედ სწორედ ქალაქის ნაშთებია გამოვლენილი, ირკვევა არა მარტო დასახლების ქალაქური (რეგულარული) გეგმარებით და ნეკროპოლისისა და დასახლების სტრუქტურების ურთიერთმიმართებით არამედ არქეოლოგიური, ნივთიერი მონაპოვრითაც (ნანგრევებში კატაპულტის ბირთვების აღმოჩენა, საბეჭდავების შედარებითი სიმრავლე სამარხებში და სხვ.). ქალაქის ნაშთების აღმოჩენა მტკვრისა და ფოცხოვის შესაყართან მნიშვნელოვან ღაკუნას ავსებს სამცხისა და მთელი საქართველოს ისტორიული წარსულის კვლევის საქმეში, მაგრამ თავისთავად ეს აღმოჩენა მოულოდნელობად არ შეიძლება ჩაითვალოს: ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემთა ერთობლიობის გათვალისწინებით ქალაქის არსებობა აქ მოსალოდნელი იყო.

შუა საუკუნეებში ამ ფუნქციას ასრულებდა ახალციხე თავისი რაბათით, მაგრამ ახალციხე წყაროებში მხოლოდ XII საუკუნიდან იხსენიება (ქსე, II), და უფრო ადრეულ ხანაში მისი არსებობა არც არის სავარაუდო, გამომდინარე, თუნდაც, მისი სახელწოდებიდან – ახალციხე, ოძრხე კი, საქართველოს ერთერთი უძველესი ქალაქი (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9), აქედან საკმაოდ დაშორებულია. სავარაუდოა, რომ ახალციხის დაარსებამდე ქალაქი სწორედ აქ, მტკვრისა და ფოცხოვის შესართავთან უნდა არსებებოდა. ნავენახარზე რომაული ჭრახის აღმოჩენა (რაც უნიკალური მოვლენაა აღმოსავლეთი საქართველოსთვის) იმის მანიშნებელია, რომ ეს ქალაქი მართლაც იყო ჩართული სატრანზიტო ვაჭრობაში.

ნავენახარის ნაქალაქარის ქრონოლოგია გვაფიქრებინებს, რომ ამ ქალაქის პირველსაწყისი საძირებელია წნისის ძვ. წ. IV-III სს-ის ნამოსახლარსა და სამაროვანზე, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც, მთელი საქართველო მოიცვა “ურბანისტულმა აფეთქებამ”, ხოლო მისი საბოლოო დანგრევა ახ. წ. VII ს-ის

მოვლენებს (ჰერაკლეს ლაშქრობა, არაბობა) დაგუკავშიროთ: სასანური საბეჭდავი, რომელიც ნავენახარზე აღმოჩნდა და VI-VII სს-ით თარიღდება.

არაბთა შემოსევის შემდეგდროინდელ ხანაში, როცა იქმნებოდა ახალი ქართული სახელმწიფოები და მიმდინარეობდა მათ შორის პირველობისათვის ბრძოლა, რომელიც საქართველოს გაერთიანებით დაგვირგვინდა, სამცხეს მისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით სრულიად გამორჩეული როლი დაეკისრა, მაგრამ ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამცხე-ლიხთ-იმერეთის დამაკავშირებელი სტრატეგიული უღელტეხილები (ბერძენიშვილი დ., 2005: გვ. 291-329), დანგრეული ქალაქის აღსადგენად კი, ალბათ, არავის ეცალა. როგორც ჩანს, მხოლოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ამ ნაქალაქარს ჩაენაცვლა ახალციხე მისი რაბათით.

ხომ არ ერქვა ნავენახარზე არსებულ ქალაქს, რომელიც წინ უსწრებდა ახალციხეს, ლომსია ან ლომსიანთა? ქსე-ში მოთავსებული სტატიის ავტორების (ზარდალიშვილი გ., ბერძენიშვილი დ., ზაქარაია პ., უშვერიძე გ.) აზრით, ახალციხის ძველი სახელი ლომსია უნდა ყოფილიყო (შეად. ბერძენიშვილი დ., 2005: გვ. 291-302).

7.0 დასკვნა და რეკომენდაციები

მილსადენის დერეფანში KP 225-ზე არქეოლოგიურად შესწავლილი ტერიტორია (“ნავენახარი” IV-217) წარმოადგენს ბევრად უფრო ვრცელი დასახლების მცირე ნაწილს, ვიდრე ნასოფლარია. მთელი დასახლება მოიცავს, როგორც მილსადენის დერეფანს და მის ორივე მხარეს, ასევე ბორჯომ-ახალციხის სამანქანო გზის სამხრეთ ნაწილსაც ტერასის ნაპირამდე. გათხრებით გამოვლენილმა ნაგებობათა ნაშთებმა და თავის დროზე მათ დასანგრევად გამოყენებულმა კატაპულტის ბირთვებმა გვაჩვენა, რომ ძველი წარმოადგენს ქალაქის ტიპის დასახლების ნაშთს, რომელიც ახ. წ. I-VII სს-ში არსებობდა და ამ პერიოდში არაერთგზის განუცდია ნგრევა და განახლება.

დასახლების მდებარეობა მდინარეების, ფოცხოვისა და მტკვრის შესართავთან, იქვე გვერდით არსებულ წნისის ანტიკური ხანის დასახლებასთან და სამაროვანთან სიახლოვე საფუძველს იძლევა ამ ადგილას წყაროებში მოხსენიებული ქალაქის – ლომსიას არსებობა ვივარაუდოთ. ზემოთ აღნიშნულთან ერთად, გვიანანტიკურ სამარხებში აღმოჩენილი გემიანი ბეჭდების რაოდენობაც მიუთითებს იმაზე, რომ აღმოჩენილი ნამოსახლარი შესაძლოა ქალაქი ყოფილიყო. არქეოლოგიური ძეგლი სამ, ერთმანეთისგან გამოყოფილ კულტურულ-ქრონოლოგიურ პერიოდს შეესაბამება და ეს კარგად ჩანს სამი სხვადასხვა პერიოდის სამარხების შემცველი A, B და C სამაროვნის არსებობით.

გაუთხრელი დარჩა ნავთობისა და გაზის მილსადენებს შორის მოქცეულ ფართობზე არსებული ნაქალაქარის ნაშთები, შენობათა კედლების საძირკვლები, იატაკები და სამარხები. ამიტომ, ენერგოდერეფანში მიწის სამუშაოების ჩატარების შემთხვევაში აუცილებელია ტერიტორიის დამატებითი შესწავლა (არქეოლოგიური გათხრების ჩატარება), რათა ტერიტორია არქეოლოგიური ნაშთებისაგან სრულად იქნას განთავისუფლებული.

სოფელ კლდესთან არსებული ნაქალაქარის ენერგოდერეფნის გარეთ დარჩენილი ნაწილის შესწავლა მომავლის საქმეა და ეს შესწავლა,

ვფიქრობთ, გეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით უნდა დაიწკოს. მანამდე კი აუცილებელია ნავენახარის გაუთხრელი ფართობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეტანა, რათა მიწის სამუშაოების ჩატარებამ არ გამოიწვიოს მისი დაზიანება.

8.0 გამოყენებული ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., 1955, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით, მცხეთა, ტ. I, თბილისი
2. აფაქიძე ა., 1959, მცხეთა, ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბილისი
3. აფაქიძე ა., 1963, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი
4. აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., 1978, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში, მცხეთა, II, თბილისი
5. აფაქიძე ა., აბდუშელიშვილი მ., ნიკოლაიშვილი ვ. და სხვები, 1981, მცხეთა – 1978 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა, ტ. V, თბილისი
6. არჩვაძე თ., 1969, მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის წარმოების ისტორიისთვის შუასაუკუნეთა საქართველოში, „ვეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, I, თბილისი
7. აფხაზაფა ნ., 1979, ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი
8. Antike Gemmen in Deutschen Sammlungen, 1872, Band. I, Teil 3, München
9. Becatti J., 1955, Oreficerie antiche dalle minoiche alle barbariche, ტაბ. XXV, 290ა-ბ, Roma
10. ბერძენიშვილი დ., 2005, ნარკვევები, თბილისი
11. Ветштейн Р.И., 1975, Местная керамика Ольвии первых веков нашей эры, Ольвия, Киев
12. ბოჭორიშვილი ლ., 1946, კახური კერამიკა, თბილისი
13. ბოხოჩაძე ა., 1963, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში, თბილისი
14. გაბუნია მ. ვეკუა ა., 2005, თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთის ძველი ქვის ხანის ძეგლები, ძიებანი, თბილისი
15. გაბუნია ლ., ვეკუა ა., 1978, ქვაბების გიგანტური დამანა. თბილისი
16. გაბუნია ლ., ვეკუა ა., ლორთქიფანიძე დ., 1997, დმანისის ნამარხი ადამიანი და მისი ეკოლოგიური გარემო. – კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოცენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი
17. გაბუნია ლ., ვეკუა ა., ლორთქიფანიძე დ., 1998, დმანისის ჰომინიდის ეკოლოგიური გარემო, დმანისი I, თბილისი
18. გაგოშიძე ი., 1967, ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXVII-B, თბილისი
19. Гагошидзе Ю. М., 1979, Самадло (археологические раскопки). Тбилиси
20. Геюшев Р. Б., 1962, Керамика города Кабалы (I-Xвв), Автореферат, Баку
21. Girshman R., 1962, Iran, Part I and Sasanides –Paris
22. გძელიშვილი ი., 1954, თეთრიწყაროს რაიონის ნასოფლარები, აკადემიის მოამბე, ტ. 15, №5, თბილისი
23. გძელიშვილი ი., ტყეშელაშვილი თ., 1957, ახალი არქეოლოგიური გათხრები თბილისში, „დროშა“, №6, თბილისი

24. გბელიშვილი ი., ტყეშელაშვილი ო., 1961, თბილისი მატერიალური კულტურის ძეგლები, თბილისი
25. Guiraud H., 1988, Intailles et Camées de L'époque Romaine en Gaule, Paris
26. Димитрова-Мичева А., 1980, Антины Гемии и камеи от Националния Археологически Музеи в София, София
27. ღუნდუა გ., ღუნდუა თ., 2006, ქართული ნუმიზმატიკა I ნაწილი, თბილისი
28. Dupont, P., 2005, Les lampes ioniennes archaïques de mer Noire: présentation générale, - L. Chrzanovski (dir.), *Lychnological Acts 1. Actes du 1er Congrès International d'études sur le luminaire antique* (Nyon-Genève, 29.IX - 4.X. 2003), Montagnac
29. ებრაღიძე ტ., 2005, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით), გონიო-აფსაროსი, VI, ბათუმი
30. Walters H. B., 1926, Catalogue of Antique Engraved Gems and Cameos, London
31. ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვიზაძე ა., გვინიძე გ., 1984, ციხეგოჯინოქალაქები, თბილისი
32. Zoitopoulou E.P., Fossey J.M., 1992, Les lampes Gréco-romaines, La collection des antiquités gréco-romaines de l'Université McGill, fasc. 1, Amsterdam
33. თოღორდავა გ., 1980, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბილისი
34. Иващенко М. М., 1980, Самтаврские погребения первых трех веков н.э. Мцхета, т. III. Тбилиси
35. Кадеев В.И., 1966, Очерки истории экономики Херсонеса в III-IV вв. н.э., Харьков, 1970 Цветаева
36. კალანდაძე ა., 1949, ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, მიმომხილველი, I, თბილისი
37. Кафадарян К., 1952, Город Двин и его раскопки, Ереван
38. კაჭარავა დ., 1972, გიენოსი ანტიკურ ხანაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი
39. კახიძე ა., მამულაძე შ., 1993, აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი
40. Кибальнич Т. В., 1910, Южно-Русские геммы, Берлин
41. Кинжалов Р.В. 1961, Ашнакский могильник. - Труды Гос. Эрмитажа. V, рис. 1, Ленинград,
42. კიფურაძე ნ., 1977, ჭრაქები ბიჭვინტის ნაქალაქარიდან, დიდი პიტიუნტი, II, თბილისი
43. Klopotovskaja N., Kvavadze E., Lordkipanidze D., 1989 (1991), Vorläufige Mitteilung zur Paläobotanik, Der altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus), Jahrbuch des RGZM Mainz
44. კლოპოტოვსკაია ნ., ლორთქიფანიძე დ., 1991, ფლორა, დმანისი—ძველი ქვის ხანის ადამიანები სამხრეთ საქართველოდან, პრეპრინტი, თბილისი
45. Krug A., 1980, Antike Gemmen im Römisch-Germanischen Museum, Köln, Sonderdruck
46. Cuiraud H., 1988, Intailles et Camées de L'époque romaine en Gaule, ტაბ. V, 73, Paris
47. Куфтин Б. А., 1941, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси
48. ლომთათიძე გ., 1955, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით. მცხეთა, ტ. I. თბილისი

49. ლომთათიძე გ., 1955, რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, I, თბილისი
50. ლომთათიძე გ., 1955, საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ. წ. I-III საუკუნეებში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი
51. ლომთათიძე გ., 1957, კლდეეთის სამაროვანი, თბილისი
52. ლომთათიძე გ., 1977, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს, თბილისი
53. Ломоури Н. Ю., 1981, Грузино-римские взаимоотношения, Тбилиси
54. ლორთქიფანიძე მ. ნ., 1954, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბილისი
55. ლორთქიფანიძე მ., 1961, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები. III, თბილისი
56. ლორთქიფანიძე მ., 1979, ქართლი V ს. მეორე ნახევარში, თბილისი
57. Лордкипанидзе О., 1957, Ремесленное производство и торговля в Мцхета в I-III вв (к изучению экономики городов Иберии античного периода), თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 65
58. ლორთქიფანიძე თ., 1968, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბილისი
59. Licheli V., 1999, Black Sea-Vani-Samtskhe: the Spreading Road of Black Glazed Pottery. La Mer Noire zone le contacts. Actes du VII simposium de Vani 1994, Paris
60. Луконин Б. Г., 1962, Искусство древнего Ирана –Москва
61. მაისურაძე გ., ახვლედიანი რ., კლოპოტოვსკაია ნ., 1998, ქვემო ქართლის გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური და პალეოგეოგრაფიული ნარკვევი, (მდ. მაშავერას აუზი), დმანისი I, თბილისი, „მეცნიერება“
62. მაკალათია ს., 1928, 1920-1921 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, სსმმ, IV
63. Максимова М. И., 1950, Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, სსმმ. თბილისი
64. Максимова М. И., 1956, Города Юго-восточного Причернобырья, Москва-Ленинград
65. Marshall F.H. 1911, Catalogue of the Jewellery, Greek, Etruscan, and Roman, in the Departments of Antiquities, British Museum, London
66. მამაიაშვილი ნ., 2004, ქალაქი ჭერემი, თბილისი
67. მანჯგალაძე გ., 1985, სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკული ხანის სამარხები (1976-1980 წლებში აღმოჩენილი კომპლექსები). – მცხეთა, ტ. VII. თბილისი
68. მაჩაბელი კ., 1998, ქართული ქვაჯვარები, თბილისი
69. Меликишвили Г., 1959, К истории древней Грузии, Тбилиси
70. მიქელაძე თ., 1978, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბილისი
71. მირიანაშვილი ნ., 1983, შიდა ქართლის მატერიალურ კულტურის ისტორიიდან. თბილისი
72. მირიანაშვილი ნ. 1983, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი
73. მიქელაძე თ., 1978, არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, ტაბ. X IV, თბილისი
74. მიწიშვილი მ., 1978 (1979), მხატვრული კერამიკის ერთი ჯგუფის შესახებ (მოთეთრო თიხის ჭურჭელი), სას, II, თბილისი

75. **მუსხელიშვილი ღ.**, 1938, დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი
76. **მუსხელიშვილი ღ.**, 1966, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბილისი
77. **მუსხელიშვილი ღ.**, 1999, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის შედგენილობა და ჯუანშერის თარიღი, „საქართველო ვახტანგ გორგასლია ეპოქაში“, თბილისი
78. **მცხეთა,** 1955-1981, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, I-V, თბილისი
79. **Михета,** 1958, Итоги археологических исследований, I, Тбилиси
80. **ნადირაძე ჯ.**, 1975, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი
81. **ნიკოლაიშვილი გ.**, 1978, ანტიკური ხანის ძეგლები დიდმის ხეობიდან, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბილისი
82. **ნიკოლაიშვილი გ.**, 1985, დიდმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III, თბილისი
83. **Pannutti U.**, Catalog Della Collezione Glipttica, vol.I, MCMLXXXIII, Roma
84. **Парович-Пешикан М.**, 1974, Некрополь Ольвии эллинистического времени, Киев
85. **პაჭიკაშვილი ნ.**, 2006, ქალაქ რუსთავის სამაროვნები (IV-IX სს დამდეგი), ავტორეფერატი (საკანდიდატო დისერტაციის), თბილისი
86. **Perlzweig J.**, 1963, Lamps from the Athenian Agora, Picture Book no. 9, Princeton, New Jersey
87. **Придик Е.** Новые Кавказские клады, Материалы по археологии России
88. **Пятышева Н. В.**, 1956, Ювелирные изделия Херсонеса, Москва
89. **Пятышева Н. В.**, 1959, Ювелирные изделия Херсонеса, Москва
90. **რამიშვილი რ.**, 1979, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბილისი
91. **რამიშვილი, ქ.**, 1979, სასანური გემები საქართველოში, თბილისი
92. **Ратиани Н. К.**, 1979, Плиоценовые и плейстоценовые флоры Западной Грузии и их связь с современной флорой. Тбилиси
93. **Richter G.**, 1956, Catalogue of Engraved Gems, Roma
94. **Richter G.**, 1971, Engraved Gems of the Romans, London
95. **Robinson H.S.**, 1959, Pottery of the Roman period = The Athenian Agora, vol. V, Princeton, New Jersey
96. **რუსთავი,** II-III, თბ., 1998, 2005
97. **საგინაშვილი მ.**, 1970, ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბილისი
98. **საგინაშვილი მ.**, 1998, გვიანრომაული მინის ფიალა ჭერემიდან, „ძიებანი“, №2, თბილისი
99. **Sasanian Remains from Qasr-i-Abu Nasr, Seals, Sealings and Coins**, Edited by Richard
100. **სინაურიძე მ.**, 1966, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი
101. **სიხარულიძე ა., აბუთიძე ა.** 1985, მოგვთაქარის სამაროვანი. – მცხეთა. ტ. VII. თბილისი
102. **სუმბაძე ღ.**, 1968, ქართული მარნის ხუროთმოძღვრება, „ძეგლის მეგობარი“, 16, თბილისი
103. **უგრელიძე ნ.**, 1967, ადრეულ შუასაუკუნეთა ჭართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბილისი
104. **ფეოდალური** საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, 1969, 1974, 1978, I, II, III, თბილისი

105. Frye N., Harper P. D., 1973, Descriptions of the Drawings of Impressions, Appendis, Cambridge, Massachusetts..
106. Furtwängler A., 1896, Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin
107. Furtwängler A., 1900, Die Antike Gemmen, Leipzig
108. ქართლის ცხოვრება, 1955, I, თბილისი
109. ქორიძე დ., 1958, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი
110. ქორიძე დ., 1978, ურბნისის გვიანანტიკური სამაროვნის პერიოდიზაციისთვის (ხელნაწერი), თბილისი
111. ქსე, 2, 1977, თბილისი
112. ყიფიანი გ., 1991, ნიშანთა ფუნქციის შეცნობისათვის კოლხურ და იბერიულ კრამიტებზე, თბილისი
113. Шамба Г.К., 1980, Эшерское городище, табл. IV, Тбилиси
114. Шамба Г.К., 1980, Эшерское городище, Тбилиси
115. Шатилова И. И., 1977, Итоги палинологических исследований верхнеплиоценовых и плейстоценовых отложений Западной Грузии. В сб. Палинологические исследования в Грузии. Тбилиси
116. ჩიკოიძე ც., 1979, ქალაქი თელავი, თბილისი
117. ჩხლაძე ვ., 1999, არაგვის ხეობა ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ჟინვალის სამაროვნის მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი
118. Tschichladze W., 2001, 2 Anchänger Kat. N 433-in „Georgien - Schätze aus dem Land des Goldenen Vlies“, Bochum
119. ჩხლაძე ვ., 2005, ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი ყვითელი ფერის მინის მედალიონები და მძივები, „იბერია – კოლხეთი“, №2
120. ჩხატარაშვილი მ., 1964, რუსთავი შუასაუკუნეთა მოუჭიქავი კერამიკის ერთი თავისებური სახეობა, „მაცნე“, №5, თბილისი
121. Чубинашвили Г.Н., 1940, Болниси, ИЯИМК, IX, Тбилиси
122. Чубинашвили Н. Г., 1972, Хандиси, Тбилиси
123. ჩხატარაშვილი მ., 1978, მინის ჭურჭელი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბილისი
124. ციციშვილი ი., 1955, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი
125. ციციშვილი ი., 1982, უჯარმა, თბილისი
126. წითლანაძე ლ., 1976, ხევის არქეოლოგიური ძეგლები (ყაზბეგის განძი), თბილისი
127. ჭილაშვილი ლ., 1958, ქალაქი რუსთავი, თბილისი
128. ჭილაშვილი ლ., 1964, ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი
129. ჭილაშვილი ლ., 1968, 1970, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I-II, თბილისი
130. ჭყონია ა., 1981, ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, თბილისი
131. ჯავახიშვილი ი., 1979, ქართველი ერის ისტორია, თ. I, თბილისი
132. ჯავახიშვილი ი., 1976, მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისთვის, თბილისი
133. ჯავახიშვილი ი., 1948, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი
134. ჯავახიშვილი ქ., 1972, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, V, თბილისი
135. ჯავახიშვილი ქ., 1972, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი
136. ჯავახიშვილი ქ., 1972, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი

137. ჯანაშია ნ., 1986, ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბილისი
138. ჯღამაია ჯ., 1980, სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბილისი
139. **Hamburger A.**, 1968, Gems from Caesarea Maritima, 'Antiqot, English series, vol. VIII, Jerusalem
140. **Henkel F.**, 1913, Die Romischen Fingerringe der Rheinlande, Berlin
141. **Higgins R.**, 1961, Greek and Roman Jewellery. London
142. **Howland R.H.**, 1958, Greek lamps and their survivals, The Athenian Agora, vol. 4, Princeton, NewJersey

დანართი

ლითონის მასალის კვლევის შედეგები

ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის (IV-217) ლითონის მასალის სარესტავრაციო და ტექნოლოგიური გამოკვლევის შედეგები.

რესტავრირებულია ოცდაჩვიდმეტი ლითონის არტეფაქტი:

სპექტრული ანალიზით დადგენილია ცხრა არტეფაქტის ქიმიური შედგენილობა (ცხრ. 1).

1. საკიდი ირმის სეულპტურა, სამარხი №53, №1-1407 დამზადებულია კალა-ტყვიის შემცველი ბრინჯაოსაგან (Cu-83,0; Sn-8,26; Pb-6,5; Zn-1,2; Ag - 0,3).
2. რგოლი, სამარხი №60, №8-1430 დამზადებულია კალა-ტყვიის შემცველი ბრინჯაოსაგან (Cu-92,0; Sn-2,2; Pb-2,65; Ag -0,55). მასალა მაღალპლასტიკურია.
3. საყურე, სამარხი №58, №6-1427. დამზადებულია ვერცხლის შენადნობისაგან, სადაც კალის მაღალი შემცველობაა დაფიქსირებული. (Ag-89,4; Cu-2,0; Sn-8,25; Pb-0,12).
4. ბეჭედი, სამარხი №61, №12-1438. დამზადებულია ვერცხლის შენადნობისაგან (Ag-92,52; Cu-2,0; Sn-1,7; Pb-1,75; Zn-2,0).
5. სამაჯური, სამარხი, 69, №17-1452 (Cu-87,0; Zn-4,0; Sn-0,75).
6. ბეჭედი, სამარხი 76, №21-1461, (Cu-82,5; Zn-6,8; Sn-2,2; Pb-2,65).
7. საყურე, სამარხი 90, №33-1493, (Cu-83,0; Sn-7,0; Zn-6,5; Pb-2,75).
8. ბეჭედი, სამარხი 81, №22-1465, (Cu-90,0; Zn-5,0; Sn-2,25; Pb-2,0).
9. საყურე, სამარხი 54, №2-1413 დამზადებულია კალიანი ბრინჯაოსაგან (Cu-89,5; Sn-8,25; Ag-1,0).

ბრინჯაოს მასალის სარესტავრაციო სქემა:

ბრინჯაოს არტეფაქტები დამუშავდა მექანიკურად ლანცეტისა და სხვა ბასრი იარაღების გამოყენებით. სამუშაო მინდინარეობდა მიკროსკოპის ქვეშ მაღალი განათების პრობებში. გაწმენდილი ნივთი დამუშავდა აცეტონით და მშრალი ნივთები დაიფრა თერმოპლასტიკური აკრილის პოლიმერით, პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ.+1,5დ.)). რამოდენიმე არტეფაქტს (ბრინჯაოს ნივთების ნაწილს) ჩაუტარდა ფორმის რეკონსტრუქცია-კონსერვაცია.

რკინის მასალის სარესტავრაციო სქემა:

რკინის ინვენტარი დამუშავდა მექანიკურად, ბორმანქანაზე, ალმასისა და ფოლადის ჯაგრისის საშუალებით.

მექანიკურად გაწმენდილი ნივთები დამუშავდა შემდეგი ხსნარით: ტანინი + სპირიტი + ორთოფოსფორმჟავა, შემდეგ ეტაპზე კი მხოლოდ ტანინის

სპირტსნარით (პროცესი განმეორდა რამდენჯერმე). საკონსერვაციოდ ნივთი დაიფარა თერმოპლასტიკური აკრილის პოლიმერით, პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ. + 1,5ლ.)).

რკინის არტეფაქტების ნაწილს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. როდესაც შესაძლებელი იყო სრული რეკონსტრუქცია (ფორმის ზუსტი აღდგენა) რეკონსტრუქციისას გამოყენებულ იქნა არალდიტი 2020A + გამამყარებელი არალდიტი 2020B + ტალკი + ყავისფერი პიგმენტი. ხოლო როდესაც ნივთი არ იძლეოდა ზუსტი ფორმის დადგენის საშუალებას, ნივთებს ჩაუტარდათ დროებითი (სავარაუდო) რეკონსტრუქცია (პარალოიდ ბ72-ის 10% აცეტონსნარით, რომელსაც ახასიათებს 100%-იანი შექცევადობა.

რკინის ინვენტარის ნაწილს შერჩენილი არ ჰქონდა ლითონური გული და მთლიანად გადასული იყო რკინის ოქსიდში, მსგავსი ნივთები დაექვემდებარა მხოლოდ კონსერვაციას. ამდენად მინერალიზებული ნიმუშები დამუშავდა მხოლოდ ფორმის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ვერცხლის მასალის რესტავრაციის სქემა:

ვერცხლის მასალის რესტავრირებისას გამოყენებულ იქნა ქიმიური და მექანიკური მეთოდები. ვერცხლის ნივთების ნაწილი გაიწმინდა EDTA-ას წყალხსნარით (500 მლ. დისტ. წყალი + 18,5 გრ. EDTA). რესტავრირებული ნივთები დამუშავდა აცეტონით და მშრალი ნივთები დაიფრა თერმოპლასტიკური აკრილის პოლიმერით პარალოიდ ბ 72 (პარალოიდ ბ 72 + აცეტონი (40გ. + 1,5ლ.)).

ნუმიზმატიკური მასალის რესტავრაციის სქემა:

ნუმიზმატიკური მასალა დამუშავდა მექანიკური და ქიმიური მეთოდებით. გამოყენებულ იქნა ლანცეტი და სხვა ბასრი იარაღები. სამუშაო მიმდინარეობდა მიკროსკოპის ქვეშ მაღალი განათების პრობებში. ქიმიური დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა ტიტრიპლექსის წყალხსნარი. რესტავრაციამდე და რესტავრაციის შემდეგ ნივთები დაექვემდებარა მაკროსტრუქტურულ-მორფოლოგიურ შესწავლას და ფოტო ფიქსაციას (ფოტო 8-23).

მინის მასალის სარესტავრაციო სქემა:

მინის ფრაგმენტები გაიწმინდა მექანიკურად, გაუკეთდა კონსერვაცია პარალოიდ 72-ის 2%-იანი აცეტონსნარით და ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რამაც მოგვცა შესაძლებლობა აღგვედგინა რამოდენიმე ფორმოვლივი ნიშანი.

დანართი

**ბორჯომის არქეოლოგიური ექსპედიციის ს. კლდის “ნაგენახარის” (IV-217)
სამაროვანზე 2004 წელს მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალის
გამოკვლევის შედეგები**

ვ. ასლანიშვილი

საკვლეპ მასალაზე პალეოპათოლოგიები კლასიფიცირებულია და განაწილებულია ჩონჩხის მიდამოების, სქესის და სამარხების მიხედვით.

I. საკბილე სისტემისა და ყბათა სნეულებანი, გადახრა, ანომალიები აღენიშნა 40 სამარხის 45 ინდივიდს: 16♂, 18♀, 3 Ch ♂, 1Ch ♀, 8 Ch.

კარიესი (ტაბ. სურ. 1); პარადონტოზი; ოდონტოგენური ოსტეოფიტოზი (სურ. 2); ოდონტოგენური ოსტეომიელიტი (სურ. 1); ჩირქოვანი ანთებითი პროცესის ნაკვალევი – ფისტულების სახით (სურ. 1); ქიმიური მოწამვლა და ინფექციური სნეულებანი – შავი ფერებით და დანეკროზების სახით; ქვები

და ნადები (სურ. 3); ფესვ-ღეროს დეფექტები; გადახრა – პათოლოგიური ცვეთა ანუ აბრაზია; ანომალიები – ეშვის ფესვის გაორება; დგომის ანომალია; ბუნებრივი ღრმული გვირგვინის გარე ზედაპირზე; კბილთა III ამოსვლა? თუ დაგვიანებული II? (სამარხი №5, ♀ 60-64) – პასუხი არ მაქვს (6. გ. ალტუხოვს (1913) აღწერილი აქვს კბილების მესამედ ამოჭრის იშვიათი შემთხვევა).

სამარხები №№5, 9, 14, 17, 21, 22, 26, 30, 31, 36, 37, 42, 43, 46, 47, 50 (16♂); 1, 2, 6, 7, 10, 13, 19, 20, 24, 25, 27, 34, 40, 41, 45, 51 (18♀); 18, 44, 49 (3 Ch ♂); 36 (Ch ♀); 8, 11, 12, 37, 38, 39 (8 Ch).

II. ქალას სნეულებანი დაუდასტურდა 22 სამარხის 24 ინდივიდს: 13♂, 9♀, 2Ch ♀.

1. ოსტეოფიტოზი (ძვლის კიბო), 2. მიელომები, 3. მიელომატოზი, 4. ეგზოსტოზ-წანახარდები, 5. გამობერილობანი, ფერცვლილი მიდამოები.

სამარხები №№ 5, 9, 14, 17, 21, 26, 31, 36, 37, 42, 43, 46, 47 (13♂), 1, 2, 10, 15, 24, 37, 51, 27 (9♀); 23, 37 (2Ch ♀); ლოკალიზაცია: ორი ფაქტი გლაბელა-ჰაიმორის ღრუ და ერთი, თხემის შუა მიდამო-სატვინე ზედაპირზე (სურ. 4). სამარხი №№ 2, 14, 31.

ჩვენს მიერ თავის ქალების საფიქსაციო ხსნარებით დამუშავების შემდგომ, სიმსივნური მიდამოები ფერს იცვლის და გამოიკვეთება.

6. ქალას შიდა წნევის მომატება – 6 სამარხის 7 ინდივიდზე: 1♂, 5♀, 1Ch. სამარხები №№ 5 (1♂), 2, 15, 27, 37, 51 (5♀), 37 (1Ch).

7. ნევროლოგიური დეფექტები და თავის მოძრაობის შეზღუდვა სიცოცხლეში – ლოკალიზება და გამოსატვა კეფის დიდი ხერხლის ირგვლივი მიდამოს ცვლილებებით. სამარხები №№ 43 (1♂), 37 (1Ch♀).

8. ქალას გარე ზედაპირის სახიანობა (სურ. 5) – პათოლოგიური განფენა ძვლოვანი ქსოვილისა, დაკავშირებულია რიგ დაავადებებთან: მალარია, ანემიის სხვადასხვა სახეობები, კეთრი, ცინგა და სხვა.

III. ხერხემლის დაავადებანი შეგვხვდა 4 სამარხის 4 ინდივიდზე: სამარხები №№ 21, 47 (2♂), 15 (1♀), 23 (1Ch♀).

1. წარმონაქმნები – ღორის ღინგისებური (სურ. 6, 7), კისრის II მაღას კბილისებრი მორჩის თავზე (სამარხი №№15, 21).

2. დაზიანება – კისრის II მაღას კბილისებრი მორჩისა (სამარხი №23).

3. წანახარდები სხვადასხვა ფორმისა და ზომისა, გულმკერდისა და წელის მაღებზე (სამარხები №№21, 47).

4. მადეფორმირებელ-დესტრუქციული ცვლილებები, გულმკერდისა და წელის მაღებზე (სამარხი № 21) (სურ. 6, 7).

5. ტუბერკულოზური სპონდილიტი – 2-3 მაღას შედუღება ურთიერთთან (სურ. 6, 7) (სამარხი № 21).

6. ოსტეოხონდრომატოზის განსაკუთრებული ფორმა – „ლოტოსის“ პოზა.

IV. ზედა კიდურის დეფექტები: ოსტეოფიტოზური და დესტრუქციული გამოვლინება ფალანგებზე. სამარხი №№21, 30 (2♂) (სურ. 8).

V. ტრავმები – ზეწოლები, ნაკვეთი მიდამოები. სამარხები №№ 21, 26, 37, 43 (4♂), 2, 10, 34 (3♀), 23, 37 (1Ch♀). ამთავან ხუთ ინდივიდზე დასტურდება ნაკვეთი მიდამოები: სამარხი №23 Ch♀: კისრის II მაღას კბილისებრი მორჩის უკანა მხარეს ისრისპირით მიყენებული კვეთა. სამარხი №34 (♂): შუბლ-საფეთქლის ხაზის ზემოდან ამონაჭდვეი. სამარხი №37 (♂, Ch♀): მარჯვენა ბარძაყის ძვალზე, კვირისტავის სასახსრე ზედაპირიდან ჩაკვეთილია ირიბად მედიალური როკის მნიშვნელოვანი ნაწილი; Ch♀-შუბლის ძვალზე, გვირგვინოვან ნაკერთან წაგრძელებული ამონაჭდვეი. სამარხი №43 (♂): მარჯვენა იდაყვის ძვალში ღრმად ჩასობილი ისრისპირი

(რკინა) (სურ. 9, 10). დიაფიზი გამსკდარია შუაზე, კიდეები არაა რეგენირებული, მიმანიშნებელი ინდივიდის სწრაფ დაღუპვაზე. ინდივიდი დიდხანს მაინც ვერ იცოცხლებდა-სხეული მთლიანად მოცული ჰქონდა სიმსივნური დაავადებით.

რაც შეეხება ზეწოლებს, დადასტურებულს დანარჩენ 3 ინდივიდზე, ყველა გადაზრდილია გართულებაში.

VI. სამკურნალო მანიპულაცია. სამარხები №№ 26, 37 (2♂): თხემისა და შუბლის ბორცვების მიდამოებში დადასტურდა განსაკუთრებული სახის მრავალკუთხოვან-წრიული, შეხორცებული და შეუხორცებელი, თხლად ათლილი ადგილები. ჩვენი ვარაუდით შესაძლოა ჩატარეს ტკივილგამაყუჩებელი სამკურნალო მანიპულაცია (ჩვენ გვაქვს დადასტურებული სხვადასხვა ქრონოლოგიურ საფეხურზე, ქვემო და შიდა ქართლის მოსახლეობის წარმომადგენლებზე ჩატარებული ტკივილგამაყუჩებელი, სამკურნალო მანიპულაციები). შეუხორცებელი ათლილი ადგილები მიმანიშნებელია ინდივიდთა დაღუპვისა.

თუ გავითვალისწინებთ სამაროვნის მოქმედების ხანგრძლივობას (III-IV სს ანუ დაახლოებით 300 წელიწადს) და ჩვენს მიერ გამოკვლეულთა რაოდენობას (57~60 ინდივიდი), საკმაოზე მეტად დამაკმაყოფილებელი ყოფილა ჯანმრთელობის მდგომარეობა, მიუხედავად დაავადებათა ასეთი ჩამონათვალისა.

VII. დაავადებათა გამომწვევი ზოგიერთი მიზეზი: ძელოვანი სისტემის დაავადებათა უმეტესობა გამოწვეულია დემინერალიზაციით, მაგ. კბილის მინანქარი (ემალი) შეიცავს 97%-მდე მარილებს, რომელთა ნაკლებობა ორგანიზმში იწვევს მთელ რიგ ცვლილებებს. თავის ანთებითი და სიმსივნური (მიელომური) დაავადებები იწვევენ ქალას შიდა წნევის მატებას, რაც ქალას სატვინე ზედაპირზე გამოხატულია თითისებრი ჩანაჭდევებით. სისტემური ფიზიკური დატვირთვა ზურგის კუნთებზე იწვევს ცვლილებებს ხერხემალზე და თავისთავად მალეზე, ეკლისებური თუ სხვა ფორმის წანაზარდების სახით. განათხარ ძელოვან ნაშთებზე გამოვლენილი პათოლოგიური ცვლილებები, ორგანიზმის დაავადების მცირე ნაწილია.

რიგი ქიმიური ნივთიერებებისა ორგანიზმში მნიშვნელოვანი ცვლილებების გამომწვევია, საწყისი ეტაპი ამ ნივთიერებების მოხვედრაა პირის ღრუს ღორწოვან გარსში და კბილებზე. ასეთებია მუავები, ლითონები – სპილენძი, ტყვია, ვერცხლისწყალი. მუავა პირის ღრუში ხვდება როგორც გარემოდან, ისე დამოუკიდებლად წარმოიქმნება პირის ღრუში – რძის მუავა, რომელიც ადვილად უერთდება საკბილე სისტემის კიროვან მარილებს. ქრონიკული მოწამვლა სპილენძით, ტყვიით, ვერცხლისწყლითა და მათი ნაერთებით, დამანგრეველად მოქმედებს კბილზე და ღრძილებზე, ხელს უწყობენ კარიესს, პაროდონტოზს, სხვა დეფექტ-ცვლილებებს, გადაზრდილს რიგ გართულებებში.

დანართი

კვლის ნავენახარის სამაროვანი (225-ე კილომეტრნიშნული)
პალეოზოოლოგიური მასალის კვლევის შედეგები

ო. ბენდუქიძე

კლდის ოსტეოლოგიურ მასალაში აღმოჩენილია შინაური ცხოველების (ძროხის, ცხენის, ვირის, ცხვრის, თხის, ქათმის და ღორის) ნაშთების საკმაოდ დიდი რაოდენობის ძვლოვანი ნაშთები.

შინაურ ცხოველებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მსხვილფეხა საქონლის დიდი ზომის ძროხის ნაშთები, რომელიც აღმოჩნდა კლდეში აბორიგენულ ჯიშთან ერთად (*Bos taurus brachyceros* (№4/15¹ – თხრილი, IV კედელი; №15/81 – თხრილი №46, №18/232 – თხრილი №49). მათი დიდი ზომის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ კლდეში ჩვენ საქმე გვაქვს საკმაოდ დიდტანიან ცხოველებთან (*Bos taurus primigenius* (№3/9, კვ. A-31, a-3, შენობა №16; №40/345, კვ. A-30, კულტურული ფენა), რომლებიც მორფოლოგიურად და ზომების მიხედვით უახლოვდებოდნენ ჩვენს მიერ ადრე დადგენილ ანტიკური ხანის დიდი ზომის ძროხის ჯიშს ჭორატიდან (ახალციხის რაიონი). რაც შეეხება ამ ორი ძროხის ჯიშის წარმოშობას, მეცნიერები ფიქრობენ, რომ *Bos taurus primigenius*-ის წინაპარი უშუალოდ გარეული *Bos primigenius* იყო, ხოლო მეორე, პატარა ზომის *Bos taurus brachyceros*-ის წარმოშობა დღემდე უცნობია. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ იგი რომელიმე აზიის გარეული ფორმისაგან წარმოიშვა.

კლდის მასალაში განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს აგრეთვე დიდი ზომის ძაღლის ნაშთები (№№ 28/287, 28/289, 28/291). თავისი სიდიდით ძაღლი უახლოვდება კავკასიურ „მეცხვარულას“ (*Canis pastoralis morpha caucasica*) და მგელს (*Canis lupus*). სამწუხაროდ კლდის მასალაში არ აღმოჩნდა ძაღლის თავის ქალა, მისი ნაწილები ან კბილები, რაც ბევრად გაგვიადვილებდა ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგან მიუხედავად „მეცხვარულას“ დიდი ზომისა თუნდაც ყველაზე დიდი ეგზემპლარები ოდნავ განსხვავდებიან მათი კბილების მცირე მასიურობით და თავის ქალას ზოგიერთი ნიშნებით მგლისაგან.

ჩვენი ვარაუდით, კლდეში ნაპოვნი დიდი ზომის ძაღლისნაირის ძვლები უფრო ძაღლს ეკუთვნოდა, რადგან მგლის ძვლები აუცილებლად დაზიანდებოდა გატყავეების დროს, რაც არ ემჩნევა კლდის ძაღლის ძვლებს. საინტერესოა, რომ თავისი ზომით და მორფოლოგიით კლდის ძაღლის მხრის ძვალი არ განსხვავდებოდა იმ დიდი ძაღლის მხრის ძვლისაგან, რომელიც ნაპოვნი იქნა ორჭოსანის ადრეფეოდალური ფენიდან. ძაღლის მასალა აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ მესხეთ-ჯავახეთში კავკასიური (ანუ ქართული) ნაგაზი არსებობდა უკვე ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანებში.

შინაური ცხოველების გარდა კლდეში აღმოჩნდა აგრეთვე ზოგიერთი გარეული ცხოველის ნაშთიც. მათ შორის: სტეპის გარეული კატა (*Felis ocreata* (=lybica), კურდღელი (*Lepus europaeus*), შველი (*Capreolus capreolus*), კავკასიური ირემი (*Cervus elaphus maral*), გარეული თხა (*Capra aegagrus*), კავკასიური დომბა (*Bison bonasus caucasicus*) (№25/271, კვ. C/23; №29/299, კვ. C/23-e/4, ძეგლი №VI, კედელი) და ბაყაყი (*Rana* sp.). კლდეში აგრეთვე დადგინდა ორი ტიპის ცხენი: დიდი და საკმაოდ პატარა. ჩვენი ვარაუდით, პატარა ცხენის ძვალი, შესაძლებელია კანჯარს (*Equus hemionus*-ს) ეკუთვნის, ხოლო დიდი – შინაურ ცხენს. ეს ჩვენი მოსაზრება უნდა გადამოწმდეს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო ზუსტი დასკვნების გაკეთება ჭირს. ზემოთ მოყვანილი გარეული ცხოველების სიაში მკვეთრად შეინიშნება ორი ტიპის ლანდშაფტის მობინადრე ცხოველები: ტყის (ირემი, დომბა, შველი, ბაყაყი) და გაშლილი პირობების (გარეული კატა, კანჯარი). აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა – მრავალფეროვანი ლანდშაფტური პირობების არსებობის შესახებ კლდის მიდამოებში, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც ჭაღის, ასევე მთის წინა ზოლის ტყის ხერხემლიანები (დომბა, ირემი, შველი).

არსებობდა სტეპური პირობებიც (სტეპის გარეული კატა, კანჯარი) და მთის ლანდშაფტი (გარეული თხა). ასეთი ლანდშაფტური პირობები (ტყის ფართობის ანთროპოგენური შემცირების გარდა) ბევრად არ განსხვავდებოდა ახალციხის რეგიონის თანამედროვე ლანდშაფტისაგან. და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ დომბის ნაშთი სამხრეთ საქართველოში ბოლო დღემდე არ იყო ცნობილი. მაგრამ 2005 წელს ამ ცხოველის ძვალი აღმოჩენილ იქნა ჩვენს მიერ ჭორაბში. ამრიგად, დომბის ძვლების აღმოჩენა ჭორაბში და კლდეში პირველი უტყუარი დასტურია მისი არსებობისა ახალციხის რეგიონში.

წარსულში კავკასიის დომბა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. მაგალითად, დომბის ნაშთები აღმოჩენილ იქნა ქვემო ქართლის ენეოლითურ სადგომში (არუხლოში). უფრო ხშირად დომბის ძვლები გვხვდება დასავლეთ საქართველოში: იმერეთის, აფხაზეთის და სამეგრელოს მღვიმურ ნადგომებში (ძუძუანა, საგვარჯილე, აფიანა, ცივი მღვიმე და სვანთა სავანეში). დომბის ძვლები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იქნა აღმოჩენილი ძუძუანას მღვიმეში (ბენდუქიძე, 1979). აღმოსავლეთ საქართველოში დომბის ნაშთები შედარებით იშვიათად გვხვდება. სამხრეთ საქართველოს ჰოლოცენურში დომბას ძვლები აღმოჩნდა დმანისის ნეკროპოლში (ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის ნაშთზე). დომბას ნაშთები აგრეთვე აღნიშნული აქვთ ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩს და ო. ბენდუქიძეს (1969) ზურტაკეტის მეზოლითური ნადგომის ფაუნაში. დომბის აღმოჩენა კლდეში (მხრის ქვედა ბოლო და ქვედა ყბა) იმისი დასტურია, რომ ანტიკურ ხანაში ეს ცხოველი ბინადრობდა მესხეთ-ჯავახეთშიც.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ წარსულში კავკასიურ დომბას ჰქონდა საკმაოდ დიდი არეალი, რომელიც ფაქტიურად საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავდა. ჰოლოცენის განმავლობაში დომბის არეალი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ი. ბაშკიროვის (1940) მიხედვით, მე-XX-ე საუკუნეში დომბის მცირე პოპულაცია შემორჩა მხოლოდ მდ. ფსოუს, ბზიფის, კოდორის და ენგურის ზედა ნაწილში. იგივე ავტორის ცნობით, უკანასკნელი კავკასიური დომბის სამი ეგზემპლარი მოკლულ იქნა 1926 წელს ალოუსის მთაზე (ჩრდილო-დასავლეთ კავკასია).

ლიტერატურა:

- И. Г. Башкиров. Кавказский зубр. Издательство Комитета по заповедникам. 1940ю
 О. Г. Бендукидзе. Голоценовая фауна позвоночных Грузии. „Мецниереба“. Тб. 1979ю
 О. Г. Бендукидзе. Палеолитическая фауна млекопитающих из пещеры Дзудзуана. Сб. „Пещеры Грузии“, № 7. 1979.
 Н. И. Бурчак-Абрамович, О. Г. Бендукидзе. Фауна эпипалеолитической стоянки Зуртакети. Сообщ. АН ГССР, 55, №3, 1969.

დანართი

ნ. რუსიშვილი
 ნ. მელაძე

კლდის ნასახლარის (VI-217) პალეოეთნობოტანიკური მასალის კვლევის შედეგები

პალეოეთნობოტანიკური თვალსაზრისით შევისწავლეთ კლდის ნამოსახლარის სხვადასხვა ფენებიდან აღებული ნიადაგის ნიმუშები. სულ დამუშავდა 16

ნიმუში. ნამარხი ბოტანიკური მასალა აღმოჩნდა 15 ნიმუშში. ნიადაგის ნიმუშები დამუშავდა ფლტაციური მეთოდით, რომელიც გულისხმობს წყლის და CCL₄ საშუალებით ნამარხი ბოტანიკური ნარჩენების გამოვლენას. შემდგომ ეტაპზე ჩატარდა მასალის გამაგრება-კონსერვაცია და მომზადდა საიდენტიფიკაციოდ. ნამარხი ბოტანიკური ნარჩენების იდენტიფიკაცია ხორციელდება გვარების და სახეობების დონემდე მიკროსკოპის გამოყენებით. კულტურული მცენარეებიდან იდენტიფიცირებულია: რბილი ხორბალი - *Triticum aestivum* L., ხორბალი ორმარცვალა - *Triticum dicoccum* Shubl., კულტურული ერთმარცვალა - *Triticum monococcum* L., კილიანმარცვლიანი ქერი - *Hordeum vulgare* L., კულტურული ვაზი - *Vitis vinifera* L., კულტურული ფეტვი - *Panicum miliaceum* L. იდენტიფიცირებულია 22 სარეველა და ველური მცენარე.

რბილი ხორბალი ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია სამ ადგილზე (ცხრილი №1). მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით მარცვლებს აქვთ მრგვალი აპიკალური ნაწილი და ფუძე, ღრმა ვენტრალური ღარი და დაბალი მომრგვალებული დორსალური მხარე (სურ №1). პარამეტრების და ინდექსების მიხედვით აღმოჩენილი მარცვლები სრულიად აკმაყოფილებენ რბილი ხორბლის მაჩვენებლებს (ცხრილი №2-3). აღმოჩენილი მარცვლების მიხედვით ძნელია ვიმსჯელოთ ნათესების შესახებ, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ნიმუშებში რბილი ხორბალი აღმოჩენილია დამოუკიდებლად ე. ი. არ არის შერეული ხორბლის სხვა სახეობებთან, შესაძლოა ხორბლის აღნიშნული სახეობა დამოუკიდებლად ითესებოდა.

კულტურული ორმარცვალა დაფიქსირებულია მხოლოდ ნაგებობა №13 – დან აღებულ ნიმუშში დაახლოებით 50გრ. (ცხრილი №1). მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით მარცვლებს აქვთ მოგრძო ფორმა, ღრმა ვენტრალური ღარი, დორსალური მხარე ოდნავ ასიმეტრიულია და აქვთ მაღალი ქედი (სურ №2). პარამეტრებით და ინდექსებით მარცვლები აკმაყოფილებენ *Triticum dicoccum*-ისათვის მიღებულ ნორმებს (ცხრილი №4). რაც შეეხება დამოუკიდებელი ნათესების არსებობას, ეჭვს არ იწვევს კულტურული ორმარცვალას დამოუკიდებელი აგროპოპულაციის არსებობა, ვინაიდან იგი ნიმუშში სუფთა სახით მინარევების გარეშე არის დაფიქსირებული.

ერთმარცვალა – *Triticum monococcum* იდენტიფიცირებულია მხოლოდ ერთ შემთხვევაში (ცხრილი №1) და მხოლოდ ერთი მარცვალი. მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით მარცვალს აქვს ვიწრო ვენტრალური მხარე, მაღალი სიმაღლე. ჩატარებული გაზომვების მაჩვენებლები შეესაბამება ერთმარცვალას პარამეტრებს. სავარაუდოდ ხორბლის აღნიშნული სახეობა წარმოადგენდა მხოლოდ უმნიშვნელო მინარევს ხორბლის სხვა სახეობების, ქერის ან ფეტვის ნათესებში.

კილიანმარცვლიანი ქერი – *Hordeum vulgare* დაფიქსირებულია ეჭვს ნიმუშში (ცხრილი №1). მხოლოდ სამ ნიმუშში მოხერხდა გაზომვების ჩატარება და პარამეტრების გამოანგარიშება (ცხრილი №5-6). მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით მარცვლებს აქვთ ელიფსის ფორმა ე. ი. ვენტრალურ და დორსალურ მხარეზე შებრტყელებულია, ვენტრალურ მხარეზე აქვთ სამკუთხედი ფორმის ღარი, რომელიც აპიკალურ ნაწილში ფართოვდება. დორსალურ ნაწილში მარცვლებს კარგად ემჩნევათ ყვავილოვანი კილისათვის დამახასიათებელი ანაბეჭდი (სურ №3). ყოველივე ჩამოთვლილიდან, ასევე ჩატარებული გაზომვებით და ინდექსებით მარცვლები მიეკუთვნებიან კილიანმარცვლიან ქერს – *Hordeum vulgare* L.

ფეტვი- *Panicum miliaceum* L. დაფიქსირებულია სამ ნიმუშში (ცხრილი №1). აღმოჩენილ მარცვლებს აქვთ მოგრძო ფორმა, მარცვლის ზომები: სიგრძე L=

2,0-1,8-1,7 მმ. სიგანე B= 1,5-1,6-1,5მმ. ჩანასახი იკავებს მარცვლის ზომის დაახლოებით 1/3 ნაწილს (სურ №4).

ვაზი – *Vitis vinifera* L. კარბონიზირებული წიპწები დაფიქსირებულია ორ ნიმუშში (ცხრილი №1). პირველ შემთხვევაში ვაზის ერთი წიპწა გამოვლენილია ნაგებობა №16 საკუთხეველთან აღებულ ნიადაგის ნიმუშიდან. თესლის ზომებია: სიგრძეL|-4,5 მმ., სიგანეB|-3,0მმ., ნისკარტის სიგრძე ტოლია 1,3მმ. შეფარდება L|B ტოლია 1,5. მეორე შემთხვევაში ვაზის ორი წიპწა იდენტიფიცირებულია ნამოსახლარი №34 ქვევრის ფსკერიდან აღებულ ნიადაგის ნიმუშიდან. პარამეტრების დადგენა მოხერხდა მხოლოდ ერთ მათგანზე: L=4,3მმ.B=3,0 მმ. ნისკარტის სიგრძე ტოლია 1,0მმ. შეფარდება L|B ტოლია 1,43. აღმოჩენილ წიპწებს აქვთ მსხლის ფორმა, დორსალურ მხარეზე ქალაძა მოთავსებულია თესლის სხეულის შუაში, ვენტრალურ მხარეზე გვერდითი ღრმულები ღრმაა და მოთავსებულია პარალელურად, კარგად შეინიშნება ვენტრალური შოვი. ყოველივე ჩამოთვლილი მონაცემების მიხედვით წიპწები ვაზის კულტურულ სახეობა – *Vitis vinifera*-ს მიეკუთვნებიან (სურ №5).

სარეველა და ველური მცენარეები

1. **Avena sp.** – გვარის ქართული სახელწოდებაა შერია. მიეკუთვნება მარცვლოვანთა ოჯახს. ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად მარცვლოვანი კულტურების სარეველებია.
2. **Brassica sp.** – გვარის ქართული სახელწოდებაა კომბოსტო. მიეკუთვნება ჯვაროსნების (Cruciferae) ოჯახს. გვარის ფარგლებში მხოლოდ ზოგიერთი წარმომადგენელი მიეკუთვნება სარეველა მცენარეებს.
3. **Bupleurum rotundifolium L.** – ქვაპურა. ოჯახი ქოლგოსნები (Umbelliferae). თესლის ზომებია: 2-2,5X1-1,5 მმ. ასარეველიანებს მარცვლოვან კულტურებს. გავრცელებულია მთელ კავკასიაში.
4. **Chenopodium album L.** – ნაცარქათამა. ოჯახი ნაცარქათამასებრი (Chenopodiaceae). თესლის ზომებია: 1-1,5 მმ. აბეზარი სარეველა მცენარეა, ინარჩუნებს აღმოცენების უნარს ათეული წლების მანძილზე. მცენარის ახალგაზრდა ყლორტებისაგან ამზადებენ მხალს. გარდა კულტურული ნათესებისა იზრდება რუდერალურ ადგილებშიც.
5. **Elaeagnus angustifolia L** – ჭალაფშატა. ოჯახი Elaeagnaceae. საშუალო ზომის ხეა. აქვს საკმაოდ მაგარი მერქანი, გამოიყენება სადურგლო საქმეში. ნაყოფი ფქვილისებრია საჭმელად ვარგისი. გავრცელებულია მთელ კავკასიაში.
6. **Galium spurium L.** – ენდრონიკა. ოჯახი – Rubiaceae. თესლის ზომებია: 1,5-2X1-1,5X1,3-1,5მმ. გავრცელებულია მთელ კავკასიაში. ასარეველიანებს მარცვლოვნებს, იზრდება გზებზე (სურ №6).
7. **Galium tricarne Stokes.** – ხოვერა. ოჯახი –Rubiaceae. თესლის ღიაშეშვია 2-3 მმ. მარცვლოვანი კულტურების სარეველაა.
8. **Lolium sp.** – ღვარძალი. ოჯახი – Graminae (მარცვლოვნები). გვარის ფარგლებში ძირითადად მარცვლოვანი კულტურების სარეველებია.
9. **Lygia passerina (L). Fas.** – აზნაურა. ოჯახი –Thymelaeaceae. თესლის ზომებია: 1,5-2X1-1,2 მმ. ასარეველიანებს მარცვლოვან და ტექნიკურ კულტურებს.
10. **Malva silvestris L.** – ბაღბა. ოჯახი – Malvaceae. თესლის ზომებია: 1,75-2X1-1,25 მმ. ცნობილია როგორც სარეველა, იზრდება გზებზე. ბაღბის

ახალგაზრდა ფოთლებისაგან ამზადებენ სუპებს, ღეროებისაგან მიიღება საკმაოდ მაგარი ბოჭკო.

11. **Medicago lupulina L.** – სვიისებრი იონჯა. ოჯახი – Leguminosae (პარკოსნები). თესლის ზომებია: 1,4X1X0,8 მმ. ასარეგლიანებს მარცვლოვან კულტურებს, იზრდება მდელოებზე, ცხოველებისათვის საუკეთესო საკვები ბალახია.
12. **Polygonum patulum M. B.** – წიაღა. ოჯახი მათიტელასებრი (Polygonaceae). თესლის ზომებია: 1,8X1,2X0,8 მმ. მარცვლოვანი კულტურების სარეველაა, იზრდება ნესტიან ადგილებზე.
13. **Polygonum sp.** – მათიტელა. ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად მარცვლოვნების სარეველებია, ზოგიერთი წარმომადგენელი იზრდება ტყეებში.
14. **Potentilla argentea** - მარწყვა ბალახი. ოჯახი Rosaceae (გარდისებრთა). თესლის ზომებია 0,7X0,5X0,25 მმ. ასარეგლიანებს მარცვლოვან კულტურებს. ძველად მცენარის ფესვებისგან იღებდნენ წითელი ფერის საღებავს, ხოლო ღეროებს ფოთლებთან ერთად ურევდნენ თივაში და ჭიების გამოსადეგნად კვებავდნენ ცხენებს.
15. **Rumex acetosa L.** – მუაუნა. ოჯახი მათიტელასებრი (Polygonaceae). თესლის ზომებია 1,5X0,7X0,7 მმ. ცნობილია როგორც სარეველა, ხშირად იზრდება მდელოებზე, საძოვრებზე და ბოსტნებში. მცენარის ახალგაზრდა ღეროებისაგან და ფოთლებისაგან ამზადებენ მუავე სუპს (სურ №7).
16. **Secale cereale ssp segetale L.** – სარეველა ჭვავი ოჯახი – Graminae. ძირითადად ასარეგლიანებს ხორბლის ნათესებს.
17. **Setaria viridis (L.) P.B.** - მწვანე ძურწა. მიეკუთვნება მარცვლოვნებს (Graminae) ოჯახს. სიგრძე 1,5X1X0,5მმ. ცნობილია როგორც მარცვლოვანი კულტურების სარეველა.
18. **Silene natans L.** – ქოთანა. ოჯახი მიხაკისებრთა (Caryophyllaceae). თესლის ზომებია: 1X0,75X0,5მმ. ასარეგლიანებს მარცვლოვნებს, იზრდება მდელოებზე.
19. **Solanum nigrum L.** –**ბაღლყურძენა**. ოჯახი – Solanaceae. თესლის ზომებია: 1,7X1,25X0,5 მმ. იშვიათად ასარეგლიანებს მარცვლოვან კულტურებს, იზრდება გზებზე და რუდერალურ ადგილებში (სურ №8).
20. **Stachys annua L.** – დედაფუტკარა. ოჯახი ტუჩოსნები (Labiatae) თესლის ზომებია 1,5X1,25-1მმ. მარცვლოვანი კულტურების და ბოსტნების სარეველაა. იზრდება გზის ნაპირებზე.
21. **Trifolium sp.** – სამყურა. გვარის ფარგლებში ცნობილია, როგორც სარეველა ასევე საკვები ბალახები.
22. **Vicia sp.** – გვარის სახელწოდებაა ცერცველა. ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად მარცვლოვნების სარეველებია. იზრებიან აგრეთვე მდელოებზეც.

ამრიგად, ნამოსახლარის სამეურნეო კულტურაში არსებობდა ხორბლის ორი აგროპოპულაცია (რბილი ხორბალი, კულტურული ორმარცვალი), ფეტვი, კილიანმარცვლიანი ქერი და კულტურული ვაზი. სარეველა მცენარეთა სიჭარბე მიუთითებს, რომ მოსავლის მოყვანა ხდებოდა ნასახლარის მიდამოებში და ადგილი არ ჰქონდა მის სხვა რეგიონებიდან შემოტანას.

თუ შევადარებთ კლდის ნამოსახლარის წინა წლებში შესწავლილ პალეოეთნობოტანიკურ მასალას, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სარეველა მცენარეს, ისინი თითქმის იდენტურნი არიან, რაც მყარ მიწათმოქმედებას ადასტურებს.

კლდის ნამოსახლარის ცხრილი №1 ის განმარტება.

1(1) – ნაგებობა №16 საკუროთხევლის აღმოსავლეთით.

Elaeagnus angustifolia L. – ჭალაფშატა

2(8) – ნაგებობა №16 საკუროთხევლთან.

Vitis vinifera – კულტურული ვაზი.

Triticum aestivum L. – რბილი ხორბალი.

Hordeum vulgare L – კილიანმარცვლიანი ქერი.

Panicum miliaceum L- ფეტვი.

Galium spurium L. – ენდრონიკა.

Galium tricornes Stokes. – ხოვერა.

Bupleurum rotundifolium L. – ქვაპურა.

Lygia passerina (L.) Fas. – აზნაურა.

Lolium sp. – დვარძალი.

Medicago lupulina L. – სვიისებრი იონჯა.

Malva silvestris L. – ბალბა.

Potentilla argentea L. - მარწყვა ბალახი.

Setaria viridis – მწვანე ძურწა.

Rumex acetosa – მუაუნა.

Silene natans L. – ქოთანა.

3(10) ნაგებობა №16, 31 ა2 თ.ჭ. №5.

ხორბლის ფრაგმენტი.

Galium spurium

Lolium sp.

4(12) – ნაგებობა №31 ე2 312. იატაკიდან – 1.55მ.

Hordeum sp. – ქერის ფრაგმენტი.

Polygonum patulum M. B. – წიაღა.

5(13) – ნაგებობა №13 – 1.00მ.

T. dicoccum Schubl – ხორბალი ორმარცვალა 50გრ.

6(14) – ნაგებობა №14 თ.ჭ. №2 1.55მ.

Hordeum vulgare L. – კილიანმარცვლიანი ქერი.

7(15) – ნაგებობა №13 33ე1 ქოთანა – 1.00მ.

Hordeum vulgare L. – კილიანმარცვლიანი ქერი.

8(15) – ნაგებობა №14 თ.ჭ.-დან – 1.55მ.

Hordeum sp. – ქერის ფრაგმენტი.

Triticum sp – ხორბლის ფრაგმენტი.

Panicum miliaceum L. – ქერი.

Chenopodium album L. – ნაცარქათამა.

Stachys annua L. – დედაფუტკარა.

Trifolium sp. - სამეურა.

9(17) – ნამოსახლარი 34. დერგი. – 1.55 მ.

Panicum miliaceum L. – ფეტვი.

10(19) – ნამოსახლარი 34 დ2 ორმო №3. – 1.55 მ.

Triticum aestivum L. – რბილი ხორბალი.

11(20) – ნამოსახლარი 34. ქვევრი – 1.55 მ.

Vitis vinifera L. - კულტურული ვაზი.

Triticum monococcum L. - კულტურული ერთმარცვალა.

Secale cereale ssp *segetale* L. – სარეველა ჭვავი.

Hordeum vulgare L. -კილიანმარცვლიანი ქერი.

Vicia sp. –ცერცველა.
 Trifolium sp. - სამეურა.
 Solanium nigrum-ძაღლეურძენა
 12(21) – სამარხი №79 თ.ჭ.-დან – 1.20მ.
 Chenopodium sp. – ნაცარქათამა (ფრაგმენტი).
 13(25) – სამარხი №93 თ.ჭ. №1 – 1.45მ.
 Avena sp. - შერია.
 Hordeum sp. – ქერის ფრაგმენტი.
 Polygonum sp. – მატიტელა.
 14(26) – სამარხი №94 სამტუხა თ.ჭ.-დან – 1.35მ.
 Brassica sp. –კომბოსტო.
 Trifolium sp. - სამეურა.
 15(27) – სამარხი №94 დოქიდან.– 1.35მ.
 Medicago lupulina L. - სვიისებრი იონჯა.
 Chenopodium sp. – ნაცარქათამა (ფრაგმენტი).
 16(37) – ნაგებობა №17 თხრილი 46 ქვევრიდან. 1.85მ.
 Horreum vulgare L. -კილიანმარცვლიანი ქერი.

ლიტერატურა

1. Доброхотов В. Н. – 1961, Семена сорных растений. Москва.
2. Жуковский П.М. – 1971, Культурные растения и их сородичи Л. Колос.
3. Кац Н. Я; кац С. В. Кипиани М. Г. – 1965, Атлас и определитель плодов и семян встречающихся в четвертичных отложениях СССР М. наука.
4. Негруль А.М. – 1960, Эволюция размера семян и ягод у винограда. – Известия ТСХА, №2/33/ - с. 111-119.
5. Роллов – 1908, Дикорастущие растения Кавказа их распространение свойства и применение.
6. Latalova M. – 1999, Palaeoecological reconstruction of the enviromental conditions and economy in early medieval Wolin – against a background of the landscape. Acta Palaeobotanica vol. 39 №2. Krakow.
7. Hillman G. On the origins of domestic rye – 1978, Secale cereale: the finds from aceramik Can Casan III in Turkey. – “Anatolian Studies” v.XXYIII, Ankara, p.157-174.
8. Rusishvili N. – 1991, Fossilised spesies of the wheat from the territory of Georgia. Acta interdistiplinaria archaeologica. VII Nitra.

კლდის ნამოსახლარის პალეოეთნობოტანიკური მასალის

სახეობრივი შემადგენლობა

ცხრილი 1

№	Species	ადგილი																Familia
		1(1)	2(8)	3(10_	4(12)	5(13)	6(14)	7(15)	8(15)	9(17)	10(19)	11(20)	12(21)	13(25)	14(26)	15(27)	16(37)	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	18
1	Avena sp.													+				Graminae
2	Brassica sp.														+			Cruciferae
3	Bupleurum rotundifolium L.		+															Umbelliferae
4	Chenopodium album L.																	Chenopodiaceae
5	Chenopodium sp								+				+					Chenopodiaceae
6	Elaeagnus angustifolia L.	+																Elaeagnaceae
7	Galium spurium L.		+	+							+							Rubiaceae
8	Galium tricornes Stokes.		+															Rubiaceae
9	Hordeum sp.								+					+				Graminae
10	Hordeum vulgare L.		+		+		+	+				+					+	Graminae
11	Lolium sp		+	+														Graminae
12	Lygia passerina (L.) Fas.		+															Thymelaeaceae
13	Malva silvestris L.		+															Malvaceae
14	Medicago lupulina		+												+			Leguminosae
15	Panicum miliaceum L.		+						+		+							Graminae
16	Polygonum patulum M.B.				+													Polygonaceae
17	Polygonum sp.												+					Polygonaceae
18	Potentilla argentea L.		+															Rosaceae
19	Rumex acetosa L.		+								+							Polygonaceae

20	Secala segetale (Zhuk.)Roshew.											+						Graminae
21	Silene setarivia																	Caryophyllaceae
22	Solanium nigrum											+						Solanaceae
23	Stachys annua L.										+							Labiatae
24	Trifolium sp.										+	+			+			Leguminosae
25	Triticum aestivum L.	+									+							Graminae
26	Triticum dicoccum Schubl.					+						+						Graminae
27	Triticum monococum L.											+						Graminae
28	Triticum sp.			+														Graminae
29	Vicia sp.											+						Leguminosae
30	Vitis vinifera	+										+						Vitaceae

ნაგებობა №16 საკუროთხეველთან T. aestivum-ის პარამეტრები და ინდექსები
ცხრილი № 2

№	L	B	T	L/B	B/L%	T/L%	T/B%
1	5.2	3.2	2	1.6	61.5	38.5	62.5
2	4.5	3	2	1.5	66.7	44.4	66.7
3	4.5	2.5	2.2	1.8	55.6	48.9	88

ორმო №3 1.55 მ. T. aestivum-ის პარამეტრები და ინდექსები
ცხრილი № 3

№	L	B	T	L/B	B/L%	T/L%	T/B%
1	5	3.5	2	1.43	70	40	57.1
2	4.5	3	2	1.5	66.7	44.4	66.7

ნაგებობა №13 1.0 მ. T. dicoccum - ის პარამეტრები და ინდექსები
ცხრილი № 4

№	L	B	T	L/B	B/L%	T/L%	T/B%
1	5.5	2.2	2	2.5	40	36.4	90.9
2	5.8	3	2	1.93	51.7	34.5	66.7
3	5.5	2.7	2.1	2.03	49.1	38.2	77.8
4	6.2	2	2	3	32.3	32.3	100
5	5.5	2.2	2	2.5	40	36.4	90.9
6	5.3	2.2	1.8	1.9	52.8	33.9	64.3
7	6.2	2.3	2.1	2.7	37.1	33.9	91.3
8	6.3	2.1	2	3	33.3	31.7	95.2
9	5.2	2.2	2.2	2.4	42.3	42.3	100
10	6.5	2.7	2.1	2.4	41.5	32.3	77.8
11	5.5	2.2	2	2.5	40	36.4	95.2
12	4.8	2.5	2.1	1.9	52.1	43.8	84
13	6	2.8	2	2.9	46.7	33.3	71.4
14	6	2.1	2.2	2.9	35	36.7	104.7
15	6	2.5	2.3	2.4	41.7	38.3	92

ნაგებობა №16 საკუროთხევლიდან 1.55მ. Hordeum vulgare-ს
პარამეტრები და ინდექსები
ცხრილი № 5

№	L	B	T	L/B	B/L%	T/L%	T/B%
1	6	3.2	2	1.8	53.3	33.3	62.5
2	5	3	1.8	1.7	60	36	36

3	5	2.8	1.5	1.8	56	36	53.6
---	---	-----	-----	-----	----	----	------

ნაგებობა №13 33-ე1 ქოთანის Hordeum vulgare-ს

პარამეტრები და ინდექსები

ცხრილი № 6

№	L	B	T	L/B	B/L%	T/L%	T/B%
1	5	2.5	1.8	2	50	36	72

ნაგებობა №17 თხრილი №46 18.5 მ. ქვევიდან Hordeum vulgare-ს

პარამეტრები და ინდექსები

ცხრილი № 7

№	L	B	T	L/B	B/L%	T/L%	T/B%
1	4.5	2.5	2	1.8	55.6	44.4	80

დანართი

ნამოსახლარ კლდის (ნავენახარი) ფენების, სამარხების და ჭურჭლის შიგთავის პალინოლოგიური დახასიათება

ე. ყვავაძე

განხილულ ნამოსახლარიდან აღებული და შესწავლილ იქნა 22 ნიმუში. ესენია შენობა №16, №17, №19-ის სათავსოების, საკურთხეველის, ორმოების და ჭურჭლიდან ამოღებული მასალა. პალინოლოგიურად გამოკვლეულია აგრეთვე ხუთი სამარხის სინჯებიც: სამარხი №79, 85, 87, 93, 94. მასალა დამუშავდა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში.

პირველ ეტაპზე მასალის ლაბორატორიული დამუშავება ხდება დღეისათვის არსებული მეთოდის მიხედვით. 100-150 გრამი ნიადაგი (ან სხვა სახის ქანი) თავსდება ფაიფურის 1000 გრამიან ჭიქაში, მას ვასხამთ მწვავე კალიუმის (ან ნატრიუმის) 10 პროცენტთან ხსნარს და ვათავსებთ ანთებულ ქურაზე და ვაღუდებთ 3-5 წუთის განმავლობაში (თან წკირით ურევთ). შემდეგ ვაცივებთ და მიღებულ მასას ვხსნით სუფთა წყალში და ვატარებთ წვრილ საცერში, რომლის დანაყოფია 0,1 მილიმეტრი. მოხარშულ და საცერში გატარებულ ნიმუშს ვათავსებთ დიდ ჭიქაში და ვტოვებთ 24 საათის განმავლობაში.

მეორე ეტაპი. ნიმუშიდან ნალექს ცენტრიფუგირებით გამოვყოფთ. შემდეგ მას ვრეცხავთ დისცილირებულ წყლით, მანამ, სანამ განარეცხი წყალი არ გახდება გამჭვირვალე. მიღებულ მასალას ვასხამთ კადმიუმის მძიმე სითხეს და 20 წუთის განმავლობაში ვახდენთ მის ცენტრიფუგირებას. ამ პროცესის დროს ხდება ნიადაგის და მტვრის მარცვლების განცალკევება. მტვრის მთელი მასა ზემოთ ამოტივტივდება, ჩვენ მას პატარა ჭიქაში გადმოვასხამთ, გავაზავებთ დისცილირებულ წყლით და დავტოვებთ 24 საათით. კადმიუმის მძიმე სითხე მზადდება შემდეგ ნაირათ: 1 კილოგრამი კადმიუმის იოდინი (CdI-2) და 800 გრამი კალიუმის იოდინი (KI) იხსნება 900 გრამ ცხელ დისცილირებულ წყალში, შემდეგ იფილტრება და კეთდება ხსნარი, რომლის კუთრი წონა უნდა იყოს 2,2.

მესამე ეტაპი. ვაწარმოებთ მიღებული ხსნარის ცენტრიფუგირებას პატარა სინჯარებში, ვრეცხავთ კადმიუმისგან და ვაკეთებთ აცეტოლიზს, რის შედეგადაც მტვრის მარცვლები მუქდება. ამის შემდეგ მტვრის მარცვლების იდენტიფიკაცია საკმაოდ ადვილია. აცეტოლიზი კეთდება შემდეგ ნაირად: მზადდება ხსნარი, რომლის შემადგენლობაში შედის 9 ნაწილი ძმრის ანჰიდრიდი და ერთი ნაწილი მარილმჟავა. მასალას წინასწარ ვაშრობთ ძმარმე ავაში დამუშავებით და მისი ცენტრიფუგირებით. აცეტოლიზის ხსნარში მოთავსებულ ნიმუშს უკეთებთ აბაზანას (სინჯარას ვდებთ ცხელ წყალში, 2 წუთით, ხოლო წყლის ტემპერატურა უნდა იყოს არა ნაკლებ 80 გრადუსი). მას ისევ ვაცენტრიფუგირებთ 5 წუთით და შემდეგ ხდევ ნიმუშის ჯერ გამშრალება ისევ ძმარმე ავის საშუალებით. ბოლოს ვაწარმოებთ ნიმუშის გარეცრვას დისცილირებული წყლით. მოგროვილ მტვერს ვაშრობთ და კვლევისთვის ვათავსებთ გლიცერინში. გამოკვლევისას ვიღებთ თითო წვეთ მასალას და ვამზადებთ პრეპარატს. მიკროსკოპში ხდება მტვრის

მასალის იდენტიფიკაცია და მათი დათვლა. ერთ ნიმუშიდან საჭიროა დაითვალოს არა ნაკლებ 200-300 მტვრის მარცვალი.

მეთხე ეტაპი. მცენარეთა მტვრის მარცვლების საერთო რიცხვის მიღების შემდეგ ყველა ნიმუშისათვის ხდება პროცენტების გამოთვლა მცენარეთა ეკოლოგიური ჯგუფების მიხედვით და მათი დატანა დიაგრამაზე. პალინოგრამის არწერა და ანალიზი მცენარეული საფარის აღდგენის საშუალებას იძლევა. თავის მხრივ, მცენარეული საფარის ტიპი პალეოკლიმატის რეკონსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს.

(პირველ ეტაპზე მასალა იხარშებოდა კალიუმის ტუტეში, მეორე ეტაპზე ხდებოდა მისი ცენტრიფუგირება მძიმე სითხეში და მესამე ეტაპზე კი ტარდებოდა მასალის აცეტოლიზი, ანუ შეღებვა). ანალიზის შედეგან მიწიდან გამოყოფილი იქნა მტვრის მარცვლების და სხვა სახის პალინომორფების საკმარისი რაოდენობა.

სამარხი 79. აქ გამოკვლეული იქნა თიხის ჭურჭლის შიგთავსი. პალინოლოგიურ კომპლექსში ბევრია სათესი მარცვლოვნები და განსაკუთრებით კი ხორბლის მტვერი. ბევრია აგრეთვე ხორბლის ნათესების სარეველები (ცხრილი I). ესენია მატიტელა (*Polygonum*), ნარშავი (*Carduus*) და სხვა. ბევრია აგრეთვე მარცვლოვნების ეპიდერმისის მაკრონაშთები. ამიტომ ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჭურჭელში ხორბალი იყო მოთავსებული.

სამარხი 85. ამ სამარხის ქვევრის ძირიდან აღებულ სინჯში აგრეთვე ბევრია მარცვლოვნების მტვერი და მათი ეპიდერმისის ნაფლერები. დომინირებს ხორბალი. ნათესების სარეველთაგან არის ხვართქლას (*Convolvulus*), მატიტელას (*Polygonum*), წიწიბურას (*Fagopyrum*), და სდიდილო (*Centaurea*) მტვრის მარცვლები. საინტერესოა ის ფაქტი რომ ქვევრში საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბამბის ძაფის ბოჭკოები (ტაბულა I). შესაძლოა ბამბის ნაჭრით ქვევრი ან ირეცხებოდა, ან მშრალდებოდა. ნაპოვნია აგრეთვე რამოდენიმე სელის ბოჭკო. არა პალინოლოგიური ფოსილებისგან აღმოჩენილია პარაზიტული ჰელმინტების კვერცხები, ნაკელის სოკოს სპორები (*Sordaria*) და ფიჭვის მერქნის უამრავი პარენქიმული უჯრედები, რაც სამარხის ხის კონსტრუქციების დასტური უნდა იყოს.

ამავე სამარხის პატარა ზომის თიხის ჭურჭლის შიგთავსიდან აღებულ ნიმუშში ნაპოვნია უამრავი წყალმცენარე (*Dinoflagellata*) და ამიტომ აქ ალბათ წყალი იყო მოთავსებული. მაგრამ მიხვეტილ ძვლებთან აღებული სინჯის პალინოლოგიური სპექტრი სულ სხვა ხასიათისაა. ბევრია ტყის ელემენტი. არის ფიჭვის (*Pinus*), ნაძვის (*Picea*), მურყნის (*Alnus*), წიფლის (*Fagus*) და თხილის (*Corylus*) მტვრის მარცვლები. არის ტყის გვიმრების სპორები (*Polypodiaceae*). ბალახოვნებიდან ბევრია ნაცაქათამას, ციხორიუმის, ველური მარცვლოვნების, ასტრების მტვრის მარცვლები. გარდა ამისა კარგადაა წარმოდგენილი ყველა ტიპის სარეველა, როგორც ნათესების, აგრეთვე სახლის ეზოსი და გზისპირა რუდერალების.

აღსანიშნავია რომ მიცვალებულის ჩონჩხთან ნაპოვნია ბამბის და სელის ბოჭკოები, რომლებიც შესაძლოა მიცვალებულის ტანისამოსის ნაშთია. სწორედ ტანისამოსი შეიცავდა დიდი რაოდენობით კარგად დაცულ მტვრის მარცვლებს და სპორებს (Kvavadze, Narimanishvili 2006a,b). პალინოლოგიური სპექტრი კი ასახავს იმ გარემოს მცენარეულობას სადაც ადამიანი მოღვაწეობდა. წიწვოვნების მტვრის დიდი რაოდენობა იმისი მოწმობაა რომ დაკრძალვა გაზაფხულზე მოხდა. ამ აზრის არგუმენტი არის აგრეთვე ის, რომ განხილულ ნიმუშში ნაპოვნია ტკიპების ჯაგრისები. ტკიპების აქტიურობა კი მხოლოდ თბილ სეზონში ხდება.

სამარხი 87, ჭურჭელი №1. ამ ჭურჭლის მასალაში ძალიან ბევრია ხორბლის (*Triticum*), ქერის (*Hordeum*) და სხვა კულტურულ მარცვლოვნების მტვერი. უხვადაა წარმოდგენილი აგრეთვე ნათესების სარეველები და მარცვლოვნების ეპირემისის უჯრედები. არის სელის ქსოვილის მიკრონაშთები, შესაძლოა ჭურჭელი გადაფარებული იყო სელის ტილოთი. ასე რომ ამ ჭურჭელშიც ხორბლეული უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

სამარხი 93, ხელადა (ჭურჭელი №1). განხილულ ჭურჭლის პალინოლოგიურ სპექტრში აღმოჩენილია კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლები (ცხრილი I). არის აგრეთვე კაკლის (*Juglans regia*) და თხილის (*Corylus*) მტვერი. გარდა ამისა პანოვნია ვენახების და ბაღების უამრავი სარეველები. აშკარაა რომ დოქში ღვინო იყო.

სამარხი 94. სამტუჩა დოქი. ამ დოქშიც ნაპოვნია ვაზის მტვრის მარცვლები და ვენახის სარეველები. კაკლის და თხილის მტვრის მარცვლები ჭურჭლის პალინოლოგიურ სპექტრში არ არის. მაგრამ აღინიშნება ხორბლის მტვერი (ცხრილი I). აქ დაფიქსირდა სელის და ბამბის ქსოვილის ბოჭკოები. არის შაბიამნის ფერად შეღებილი ბამბის ძაფის ნაშთი. შესაძლოა დოქს ამ შემთხვევაშიც ტილო გადააფარეს.

სამარხი 94. ჩეულებრივი თიხის დოქი. დოქის შიგთავსის პალინოლოგიურ სპექტრში არის წყალმცენარეთა მიკრონაშთები (*Dinoflagellata*). ამის გარდა ნაპოვნია ბევრი ისეთი ბალახოვნები, რომლებიც დამახასიათებელია ნათესების ნიადაგებისთვის. ჩვენი ვარაუდით დოქში ჯერ წყალი უნდა ყოფილიყო, მერე კი, როცა სამარხი ჩაინგრა შიგ განამარხებული ნიადაგი მოხვდა.

ნაგებობა 13 (კვადრატი A-33, e-1). ქოთნის ძირი. განხილული ქოთნის ძირიდან ამოღებული სინჯის პალინოსპექტრი საკმაოდ სპეციფიური არის. აქ ბევრია ნარშავის (*Carduus*) მტვერი. დათვლილი იქნა მისი 31 მტვრის მარცვალი. ამ მცენარეს ნორჩი ყლორტები კარგი საკვებია (Гроссгейм 1946, 1949, Скляровский 1975). მწნილსაც ამზადებენ. ამიტომ ქოთანში ნარშავისგან დამზადებული საკვები უნდა ყოფილიყო. ისიც უნდა ითქვას რომ ნარშავისგან ბევრ წამალს ამზადებენ (Гамерман и др. 1976, Шретер и др. 1979). პალინოლოგიურ სპექტრში აღინიშნება ნათესების სარეველები. ნაპოვნია ხორბლის და ქერის მტვრის მარცვლები, რაც იმაზე მეტყველებს რომ ჭურჭელში ფაფეულიც მზადდებოდა. ნაპოვნია სელის ძაფის რამოდენიმე ბოჭკო. სელის ტილოთი ქოთანს ამშრალეზდნენ, ან შიგ მოთავსებულ საჭმელს ქსოვილს აფარებდნენ.

ნაგებობა 14, თიხის ჭურჭელი №2. განხილულ ქოთნის პალინოლოგიურ სპექტრში ბევრია ნაცარქათამას მტვრის მარცვლები. არის აგრეთვე ხორბლის და ხორბლის ნათესებისთვის დამახასიათებელი სარეველების მტვერი. აქაც პანოვნია სელის და ბამბის ქსოვილის ბოჭკოები. უნდა ვივარაუდოთ რომ ქოთანში ან ნაცარქათამას მხალი მზადდებოდა, ან შიგ მისი ნაყოფები ინახებოდა.

ნაგებობა 16, თიხის ჭურჭელი №3. აქაც, როგორც მეთოთხმეტე ნაგებობის ჭურჭელში ნაცარქათამას უამრავი მტვრის მარცვალია აღმოჩენილი. განხილულ პალინოლოგიურ სპექტრში ნაკლებია ხორბლის მტვრის როლი. კარგადაა წარმოდგენილი ნათესების სარეველები. გარდა ამისა ნაპოვნია ყაყაჩოს და სხვა ეზოს რუდერალების მტვრის მარცვლები. მაშასადამე ამ მესამე ქოთანში ნაცარქათამასგან დამზადებული საჭმელი უნდა ყოფილიყო.

საკურთხეველი, ნაგებობა 16. აქ აღებულ ორგანულ ნაშთის პალინოლოგიურმა კვლევამ აჩვენა რომ სპექტრი ძირითადად შედგენილია ხორბლეულობის მონაწილეობით. ჭარბობს ხორბალი, არის აგრეთვე ქერის

მტვერი. გარდა ამისა ბევრია მარცვლოვნების ეპიდემიის ფოსილიები და ნათესების სხვადასხვა სარეველები. მაგალითად მატიტელა, წიწიბურა, ხვართქლა და სხვა. ჩვენი აზრით საკუროთხველზე ძირითადად ხორბლეულის პროდუქტს ათავსებდნენ.

ნაგებობა 16, ჭურჭელი №6. შიგთავსის პალინოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა ნაცარქათამას მტვრის სიუხვე. კარგადაა წარმოდგენილი ხორბლეულობის მტვრის მარცვლები და განსაკუთრებით კი ბევრია ხორბლის მტვერი. არის ნათესების სარეველები. გარდა ამისა ნაპოვნია ადამიანის საცხოვრებლის ეზოსი და გზისპირა სარეველების მტვრის მარცვლები. უნდა ვივარაუდოთ, რომ განხილულ ჭურჭელში ნაცარქათამას მხალი და ფაფეულს ამზადებდნენ.

ნაგებობა 16, ჭურჭელი №4. ამ ჭურჭლის ძირიდან ამოღებულ ორგანულ ნაშთში იგივე პალინოლოგიური სპექტრი გამოვლინდა როგორც მეექვსე ქოთანში. მაგრამ აქ ხორბლეულობის მტვერი გაცილებით მეტია. დომინანტი კი ისევ ნაცარქათამაა. აღმოჩენილია სელის ქსოვილის ნაშთებიც. შესაძლოა ჭურჭელში ინახებოდა ნაცარქამას ნაყოფები და ხორბლეული. ან და ზემოაღნიშნულ პროდუქტიდან ამ ქოთანში საჭმელი მზადდებოდა.

ნაგებობა 16, ჭურჭელი №1 და №5. განხილულ ქოთნების შიგთავსის პალინოლოგიური სპექტრი ანალოგიურია ზემოთმოყვანილ ქოთნების მასალის სპექტრებისა. პირველი დომინანტი არის ნაცარქათამას და მეორე კი ხორბლეულობის მტვერი. არის ნათესების სარეველები. აღმოჩენილია მარცვლოვნების ეპიდემიის ნაშთების უამრავი რაოდენობა. ნაპოვნია ეზოს რუდერალების მტვრის მარცვლები. ქოთნებში ბევრია სელის ქსოვილის ბოჭკოები. ბამბის ძაფის მიკრონაშთები კი ცოტაა.

ნაგებობა 17, კვადრატ ა-19. ქვევრის ფსკერიდან აღებული ნიმუში. ამ ნიმუშის პალინოლოგიური კომპლექსი უაღრესად საინტერესოა. ნაპოვნია კულტურული ვაზის მტვრის მარცვლები (ცხრილი I, ტაბულა III). უხვადაა წარმოდგენილი ვენახის სარეველებიც. მაგრამ ბევრია აგრეთვე ხორბლეულობის და მათი სარეველების მტვრის მარცვლების რაოდენობა. ამიტომ ქვევერი ჯერ ღვინისთვის იყო, მაგრამ შემდგომ პერიოდში (შესაძლოა ბზარის შემდეგ) იქ ხორბლეულობა ინახებოდა. ხემცენარეთაგან აქ ნაპოვნია მურყნის, სოჭის, ნაძვის და ფიჭვის მტვრის მარცვლები. არის სელის და ბამბის ტექსტილის ბოჭკოებიც.

ნაგებობა 19, დიდი ჭურჭლის შიგთავსი. განხილულ ჭურჭელში პირველი დომინანტი ხორბლეულია (ძირითადად ხორბალი და ქერი) და მათთან არსებული სარეველები (ლილილო, წიწიბურა, მატიტელა, ნარშავი და სხვა). ნაცარქათამას მტვრის მარცვლები კი ცოტაა. აღინიშნება სელის ტექსტილის ბოჭკოები.

ნამოსახლარი, კვადრატ ა-34, ორმო. განხილულ ორმო პალინოლოგიური კომპლექსის მიხედვით სამეურნეო უნდა ყოფილიყო. აქ ბევრია ხორბლეული (ხორბალი და ქერი). არის მარცვლოვნების ეპიდემიის ნაშთები. აღინიშნება ნათესების სარეველები. ესენია ხვართქლა, მატიტელა, ჩვეულებრივი მატიტელა, ნარშავი და სხვა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აქ არის აღმოჩენილი პარაზიტული ჰელმინტების ღორის სოლიტერის (*Taenis solium*) და ტრიხურას (*Trichura*) კვერცხები (იხ. ფოტოტაბულა). არის ამ ორმოს პალინოლოგიურ სპექტრში წიფლის, ნაძვის, ფიჭვის და არყას მტვრის მარცვლებიც. ნაპოვნია სელის და ბამბის ქსოვილის ბოჭკოები.

ამავე კვადრატში, 85 სმ-ის სიღმეზე აღებული და პალინოლოგიურად შესწავლილია ქვევრის შიგთავსი (ნიმუში №20, ცხრილი I). აქაც ბევრია

ხორბლეულების მტვერი და მარცვლოვნების უამრავი ეპიდემიის უჯრედები. ნაპოვნია ნათესების და ადამიანის საცხოვრებლის ეზოს რუდერალები. არის ნაკელის სოკოების სპორები და ნექსტილის ბოჭკოები (ბამბა და სელი). ხემცენარეთაგან აღმოჩენილია მხოლოდ წიწვოვნები. ესენია სოჭი, ნაძვი და ფიჭვი.

განხილულ კვადრატის 45 სმ-ს დონეზე აღმოჩენილ დერგიდან შესწავლილია შიგთავსის ერთი ნიმუში. პალინოლოგიურ სპექტრში დომინირებს ნაცარქათამას მტერის მარცვლები. ნაცარქათამა კარგი საკვებია არა მარტო ადამიანისთვის. მისი ნაყოფები და თესვები შინაური ცხოველების გამოსაკვებადაც ვარგისია.

ნამოსახლარის სათავსო №13. განხილულ ნაგებობის ნაშთში აღმოჩენილია ფიჭვის მერქნის უამრავი პარენქიმული უჯრედები (ტაბულა III). ნაპოვნია თხილის, ხორბლიც და ქერის მტერის მარცვლები. არის აღმოჩენილი აგრეთვე ყაყაჩოს მტერის მარცვლები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ მცენარეს მაშინ საკვებად იყენებდნენ. ნათესების სარეველების მტვერი კარგადაა წარმოდგენილი. არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხებიდან ნაპოვნია უამრავი სოკოს სპორები, და ტკიპების ჯავრისები. არის ბამბის ქსოვილის ბოჭკოებიც.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ გვიან ანტიკურ დროს და ადრე შუასაუკუნეებში განხილულ ტერიტორიაზე ადამიანის ძირითადი მოღვაწეობა მიწათმოქმედება იყო. მემინდვრეობის გარდა აქ კარგად იყო განვითარებული მევენახეობა და მებაღეობა. მეცხოველეობაც იყო, მაგრამ უპირატესობა მაინც მიწათმოქმედებას ქონდა. იმდროინდელი პალეოლანდშაფტიც დღევანდელთან შედარებით სულ სხვანაირი უნდა ყოფილიყო. თუ დღეს აქ ტყე საერთოდ არ იზრდება, მაშინ ტყის მასივები კარგად იყო განვითარებული. ტყეში წიწვოვნების გარდა, რომლებიც მთების უფრო ზედა სარტყელებში უნდა ყოფილიყვნენ, იზრდებოდა წიფელი, რცხილა, მურყანი, ცაცხვი, მუხა და სხვ. ფართოფოთლოვნების ტყის და მევენახეობის არსებობა თბილი კლიმატის გარეშე ვერ იქნებოდა. ნალექების წლიური რაოდენობაც დღევანდელთან შედარებით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. ამის დასტურია აქ ნაპოვნი ტენის მოყვარული გვიმრების სპორები და აღმოჩენილი ჰელმინტების კვერცხები. ცნობილია, რომ ჰელმინტოზი უფრო მეტად ვრცელდება ტენიან კლიმატურ პირობებში. აღმოჩენილი ღორის სოლიტერის კვერცხები იმის დასტურიცაა რომ მოსახლეობა მეღორეობას მიყვებოდა. მეღორეობა კი როგორც წესი ვითარდებოდა ტყით დაფარულ ლანდშაფტებში.

კლდე	სამ.79	სამ.85	სამ.85	სამ.85	სამ.87	სამ.93	სამ.94	სამ.94	ნაგ.13	ნაგებ.14	შენ.16	შენ.16	შენ.16	შენ.16	შენ.16	შენ.16	ნაგებ.17	ნაგ.19	ნაგ.ა34	ნაგ.ა34	ნაგ.ა34	სათაგ.13
ნიმუშის ტიპი	ქურჭ.	ქვევრი	ქურჭ.	ძვლები	ქურ.1	ქურ.1	დოქი	დოქი	ქურჭ.	ქურჭ.2	ქურჭ.3	საკურ.	ქურჭ.6	ქურჭ.4	ქურჭ.1	ქურჭ.5	ქვევრი	ქურჭ.	ორმო	ქვევრი	დერვა	ორგანიკა
ნიმუშის ნომერი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
სუმცენარეთა ჯგუფი:																						
Abies nordmanniana		1						1									2			1		
Picea orientalis	1	5	9	15	6	1	3	1	3	1	8		3	2	8		8		4	1	2	
Pinus	11	51	21	35	24	12	18	19		11	24	2	10	39	26	1	68	1	17	10		3
Betula		1																	1			
Juglans regia			2			1									1							
Carpinus caucasica	1		1				1							1								
Alnus	1	2		1	1												2					
Fagus orientalis			2	3			1												1			
Quercus					1		3							1								
Tilia		2																				
Salix															1							
Corylus		2		3	1	1		1							1							
Ephedra					1																	
Vitis vinifera						1	2										5					
სუმცენარეთა ჯგუფის ჯამი	14	64	35	57	34	16	28	22	3	12	32	2	13	43	37	1	85	1	23	12	2	3
ბალახოვანთა ჯგუფი:																						
Poaceae	1	6	2	4	3	2	6	3	4	4	10	4	2	3	3	4	7	2	5	6		5
Triticum	9	7	6		18	3	2	1	3	1	3	10	6	13	10		36	6	9	15	2	2
Hordeum					2			1	1			4	1	3			2	3	2		2	
Cerealia	7	2	2	1	9	6	8	4	2	3	4	7	5	9	6	1	21	11	20	3	6	6
Chenopodiaceae	10	23	12	14	14	16	27	28	3	8	61	7	25	22	29	3	21	4	24	10	27	8
Chenopodium album			1			2						1			4				2			

Artemisia		1																				
Aster type	1	5	1	7		4					2		2	2	3		1				1	1
Achillea			1	2	1	2	1			1			1	1	2		1					
Cichorioidae	15	17	31	5	10	20	19	19	5	5	20	6	12	4	19		33	3	13	17	7	3
Carduus	6	2	1	4	5	4	1	3	26	2	1	1	4	1	1		3	2	2		2	
Centaurea		1		2											2		2	1				
Serratula				1	1		1					1			3		2			1		
Urtica					1																	
Fagopyrum		2					1				1	1	1	2	5		2	3		2		
Polygonum type	9	10	17	2	14	9	11	5	4	4	5	3	2	17	3	2	19	3	2	7	5	5
Polygonum aviculare						3		3						3					2			
Convonlvulus		2				3		1				1		1					1			
Ranunculus	2		2		1								3		2							
Papaver							1				1											1
Geranium							2															
Apiaceae	3		3			2		3		2				2							1	5
Caryophyllaceae					2						1				1		1		1		3	
Boraginaceae	2				1			2							3							
Viscum																	2					
Plantago m/m															1	2	1					
Fabaceae		2																				
Brassica						2	3		2			6		2			4	1	2			1
Knautia					1																	
Bothrychium lunaria											2											
Polypodiaceae	3	10	2	5	1	4	3	1			5			2	5		10		3	2		
Polypodium vulgare																	1					
Adiantum				1											1							
Undeterminate NAP			4					4	3	3			3	4	3	3	7	4	3		5	3
ბავშვების ჯამი	68	90	85	48	84	82	86	78	53	33	116	52	67	91	106	15	176	43	91	63	61	40

პაღლინობის საერთო ჯამი:	82	154	120	105	118	98	114	100	56	45	148	54	80	134	143	16	261	44	114	75	63	43
----------------------------	----	-----	-----	-----	-----	----	-----	-----	----	----	-----	----	----	-----	-----	----	-----	----	-----	----	----	----

გამოყენებული ლიტერატურა.

1. Гаммерман А.Ф., Кадаев Г.Н., Шупинская М.Д., Яценко-Хмелевский А.А. 1975. Лекарственные растения. Изд. Высшая школа. Москва. 488 стр.
2. Гроссгейм А.А. 1946. Растительные ресурсы Кавказа. Баку, Изд. АН Азерб.ССР, 671стр.
3. Гроссгейм А.А. 1949. Определитель растений Кавказа. Москва, Гос. изд. Советская наука, 747 стр.
4. Шреттер А.И., Муравьева Д.А., Пакалин Д.А., Ефимова Ф.В. 1979. Лекарственная флора Кавказа. Из-во Медицина, Москва, 368 стр.
5. Kvavadze E., Narimanishvili G. 2006a. An experimental approach to the palynology of remains from Middle Bronze Age Burials in Saphar-Kharaba, southern Georgia). Abstr. of 7-th European Palaeobotany-Palynology Conference, Prague , p.77-78.
6. Kvavadze E., Narimanishvili G. 2006b. The remains of *Gossypium*, *Linum* and sheep hairs as textile fibers of cotton, flax and wool in palynological material from Bronze Age burials. Palyno-Bulletin, vol.2. No.1-4, Innsbruck, p.34-37.

ტაბულების აღწერა.


ცხრილი I. ნამოსახლარ კლდის (ნავენახარი) ფენებიდან და სამარხებიდან მოპოვებული მცენარეთა მტერის და სპორების რაოდენობა.


ტაბულა I. მიწათმოქმედების ელემენტები. 1-4, კულტურული ვაზი (*Vitis vinifera*); 5-10. 13-15, ხორბალი (*Triticum*); 11,12 ქერი (*Hordeum*); 16-18 ნარშავი (*Carduus*), x 600.


ტაბულა II. ტყის ელემენტები. 1-3 ნაძვი (*Picea orientali*); 4,5 ფიჭვი (*Pinus*); 6-რცხილა (*Carpinus caucasica*), x600.


ტაბულა III. არაპალინოლოგიური ხასიათის ნამარხები. 1,2 ბამბის ტექსტილის ბოჭკო; 3-5 ფიჭვის (*Pinus*) მერქნის პარებქიმური უჯრედები; 6,7 პარაზიტული ჭიის *Trichura*-ს კვერცხები; 8-ღორის სოლიტერის ჰელმინტის (*Taenia solium*) კვერცხები, x600


ტაბულები


















VI

KLDE
IV-217







X




XI






XIII



XIV





XVI



KLDE
IV-217

Burial N 73



KLDE
IV-217


Burial N 21



KLDE
IV-217
Burial N 82








KLDE
IV-217
Burial N 27





KLDE
IV- 217


Burial N 48









XXVII



XXVIII






XXX



XXXI



KLDE
IV- 217






XXXIV


KLDE
IV- 217

860












XXXIX



KLDE
IV-217



XL



KLDE
IV- 217

Structure N 16



Structure N 23



XLII







XLIV



XLV



XLVI



XLVII



KLDE
IV- 217

1390



1482




1426



1654



XLIX




L




LI










LV



LVI



LVII







LX



LXI

KLDE
IV- 217

1491



1406





LXIII

KLDE
IV- 217



1407



1430




1466

KLDE
IV- 217

1471



LXV




LXVI




KLDE
IV- 217
NAVENAKHARI SITE






LXIX








LXXII












LXXVII



LXXVIII

KLDE
IV- 217

